ბელათის ფრესკების გადასარჩენად A2

"ისლამბულის ბრიგადები" - სახელის რეკლამირება თუ რუსული სპეცსამსახურების სატყუარა A5

მოგონება B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 2 სექტემბერი, 2004 წელი. №208 (757)

ფასი 50 თეთრი

# სამართლიანობა, რომელიც ზოგჯერ კანონის ჩარჩოში არ ჯდება



ბესო გულაშვილის ფოტო

ნიღბიანები - ეს იყო პირველი პრეტენზია, რაც ხელისუფლებას ჩინოსანთა დაპატიმრებების სერიის დროს წაუყენეს.

*ისინი თვლიდნენ, რომ ყოვლისშემძლენი არიან, რომ მათი გავლენა უსაზღვროა, რომ მათ ძალაუფლებას ვერაფერი მოერევა, რომ არაფერი არსებობს მათ ხელისუფლებაზე ზევით, რომ არაფერი დგას საკუთარ კეთილდღეობაზე მაღლა, რომ ქვეყანა არ სცილდება მათ კაბინეტებსა და საკუთარ ჯიბეებს და, საერთოდ, მთელი ქვეყანა იმისთვის არსებობს, რომ კომფორტულ კაბინეტებში მათ მშვიდად ყოფნასა და მათი ჯიბეების გასქელებას მოემსახუროს. ცხადია, ცდებოდნენ და თავიანთ შეცდომებზე დასაფიქრებლად სად მოძებნიდნენ იმაზე მეტ დროს, ვიდრე ციხის კედლებში.*

სოფიკო ჩხაიძე

ფაქტია, ვარდების რევოლუციას სხვა არაფერი სასიკეთო რომ არ მოჰყოლოდა, ის მაინც შეიძენდა მნიშვნელობას იმით, რომ კიდევ ერთხელ დაადასტურა - უცვლელი ხელისუფლება არ არსებობს და გადამწყვეტ მომენტში ქვეყნის მმართველობას ხელში ხალხი იღებს. ხალხის ძალით მოსულმა ხელისუფლებამ კი ხალხის შეკვეთის შესრულებას მიჰყო ხელი. თუმცა, ცივილიზებული სამყაროს დემოკრატიული ფასეულობები გაცილებით მეტს იტევს, ვიდრე მხოლოდ ხალხის სურვილია და ეს, უპირველეს ყოვლისა, კანონის უზენაესობა გახლავთ. კანონის უზენაესობა კი კანონის წინაშე თანასწორს ხდის ყველას, განურჩევლად რასისა, რელიგიური მრწამსისა, ეროვნებისა, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და, ცხადია, პოლიტიკური სიმპათიებისა.

აქედან გამომდინარე, აღარაფერს ვიტყვით იმ სამართლიანობაზე, რომელიც თან სდევს ყოფილი ხელისუფლების საქვეყნოდ ცნობილი კორუმპირებული წარმომადგენლების დაპატიმრებას ან იმ გრძნობებზე, რომელსაც განიცდის თითოეული, საკუთარი პენსიის მოთმინებით მომლოდინე პენსიონერი მორიგი ასეთი ჩინოსნის დაკავებისას.

პირდაპირ ვთქვათ, სამართლიანია - მათ ხომ იმ ფულს გადაახდევინებენ, რომელიც თავის დროზე ამ პენსიონერებს, და არა მარტო მათ, მოპარეს. საქმე სხვა გახლავთ, ის, რასაც მომავალში ჩვენი ქვეყანა უნდა დაეყრდნოს - კანონიერება. ამ თვალსაზრისით კი, აშკარად ვართ ზოგჯერ მცირე, ზოგჯერ კი საკმაოდ სერიოზული ლაფსუსების მოწმენი.

პირველი პრეტენზია, რაც გახმაურებულ დაპატიმრებებთან დაკავშირებით სამართალდამცველებს წაუყენეს, საინფორმაციო საშუალებებით ფართოდ გაშუქებული, ყველა საჭირო თუ არცთუ აუცილებელ შემთხვევაში ნიღბიანი სპეცრაზმელების გამოყენებით სპეცოპერაციების ჩატარება გახლდათ. არასამთავრობო სექტორის მხრიდან ხმამაღლა გამოთქმულ ამ შენიშვნებს პასუხად ექსტრემალური ღონისძიებების აუცილებლობის დასაბუთება კი არა, მხოლოდ ის მოჰყვა, რომ სპეცოპერაციების ჩატარება მკაცრად გასაიდუმლოებული გახდა, ჟურნალისტებსა და მათ ოპერატორებს იქაურობას ახლოს არ აკარებენ და, შესაბამისად, საზოგადოებაც ამ თვალსაზრისით ინფორმაციას აღარ ფლობს. საერთოდ, ინფორმაციის გამჭვირვალობის დეფიციტი ყოფილი მაღალი თანამდებობის პირთა დაპატიმრებებსა და მათი საქმეების გამოძიების პროცესში ნამდვილად იგრძნობა და, პირველ რიგში, ეს სწორედ იმ დიდი

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ნორდ-ოსეთი"-ს ტრაგედია

*მოსკოვში, დუბროვკაზე ორი წლის წინ დატრიალებული ტრაგედია მეორდება. ამჯერად, გაცილებით შორს, ჩრდილოეთ ოსეთის პატარა ქალაქში. თითქოს ახლა უკვე სხვა დროა ("ჩეჩნეთში სიტუაცია სტაბილურია", - ასეთი აზრის დამკვიდრებას ცდილობს რუსეთის მედია), მაგრამ უნებლიე პარალელები მაინც ჩნდება. შეგახსენებთ, "ყველა დროის საუკეთესო სპეცოპერაციას რუსეთის ისტორიაში" ოფიციალურად 128 მძევალი და 50 თავდამსხმელი შეეწირა, არაოფიციალურად კი... მაშინ ხელისუფლებამ, მძევალთა გამოხსნის მიზნით, სპეცოპერაცია განახორციელა და, ფაქტობრივად, გაწირა "ნორდ-ოსტის" წარმოდგენის სანახავად მისული მაყურებელი. გაიმეორებს თუ არა პუტინი იგივეს ამ შემთხვევაშიც?*

გუშინ დილით, ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში, დაახლოებით 09.00 საათზე, შეიარაღებულ ადამიანთა ჯგუფმა №1 საშუალო სკოლის შენობა აიღო. ტერორისტების მიერ აყვანილ მძევალთა რიცხვის შესახებ მთელი დღის განმავლობაში განსხვავებული ცნობები ვრცელდებოდა. სავარაუდოდ, მათი რიცხვი 400-მდე აღწევს, რომელთაგან 130 - 200 ბავშვია.

ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, თავდამსხმელთა რაოდენობა 15-დან 25-მდე მერყეობდა. შავ სამოსში გამოწყობილი ნიღბიანები ყუმბარმტყორცნებითა და ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი. რუსული საინფორმაციო წყაროები იტყობინებიან, რომ თავდამსხმელთა შორის შაჰიდებიც არიან.

გაგრძელება A5 გვერდზე



## ეკონომიკა

### საბაჟო ბიუჯეტს 128 პროცენტით ასრულებს



გოდაბრელიძე კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კონტრაბანდის ძირითადი წყაროები ქვეყანაში დაკეტილია, ან მკაცრად კონტროლდება.

A4

## საზოგადოება

### "კოკა-კოლა" ცემში



სამაჩაბლოდან ჩამოყვანილი 105 მოზარდის ერთი თვის დასასვენებელი თანხა, ახალციხისა და ბორჯომის რაიონების გამგებლების თხოვნის საფუძველზე, "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ" შესაბამისი ობიექტების ანგარიშზე გადარიცხა - სულ 17 960 ლარი.

A6

## სამართალი

### მრიცხველების ქურდები ჯერ მხოლოდ დაადგინეს



გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში "თელასის" გენერალური დირექტორი დანგირას მიკოლაიუნასი მხოლოდ იმიტომ მივიდა, რომ ქართველ სამართალდამცველებთან ერთად ჟურნალისტებისთვის დენის მრიცხველების ქურდების გამოვლენის შესახებ ეცნობებინა.

A4

## ამინდი

| | 2/9 | 3/9 |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | 31 |
| ქუთაისი | 32 | 31 |
| ბათუმი | 29 | 28 |
| სოხუმი | 29 | 27 |
| ფოთი | 30 | 28 |
| თელავი | 31 | 29 |
| ზუგდიდი | 32 | 29 |
| გორი | 28 | 27 |
| ჭიათურა | 31 | 29 |
| გაგრა | 27 | 26 |
| სამტრედია | 32 | 30 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7650 |
| ევრო | 2.1461 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1673 |
| რუბლი | 0.0603 |

## თავდაცვის მინისტრი უტევს და თავს იცავს

გიორგი ასანიშვილი

*თავდაცვის მინისტრმა საგანგებო ბრიფინგზე დეტალურად ისაუბრა მის უწყებაში მიმდინარე პროცესებზე და განსაკუთრებული ყურადღება იმ გადაცდომებსა და დანაშაულის ფაქტებზე გაამახვილა, რომლებმაც საზოგადოებაში გარკვეული მითქმა-მოთქმა გამოიწვია.*

თავდაცვის მინისტრი კიდევ ერთხელ უბრუნდება იმ ფაქტს, როდესაც ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ოპერაციების დროს, დალუქულ ყუთებში ხელყუმბარების ნაცვლად რიყის ქვები აღმოჩნდა. შემოწმებით დადგინდა, რომ გაცემული 30 ყუთიდან თითოეულში სამი-ოთხი ხელყუმბარა აკლდა და პოზიციებზე დანაკლისმა 117 ცალი ხელყუმბარა შეადგინა. ამის შემდეგ დაიწყო ოსიაურის შეიარაღების ბაზის საცავებში დასაწყობებული ხელყუმბარების რეალური ოდენობის დადგენა. შედეგად გაირკვა, რომ თითოეულ ყუთში ორ-ორი ცალი ხელყუმბარის დანაკლისია. ბარამიძის განცხადებით, აღნიშნულთან დაკავშირებით დაკავებულია საბრძოლო მასალების შენახვის საცავის უფროსი ა. თედიაშვილი, ხოლო საქმეს გენერალური პროკურატურა იძიებს.

გიორგი ბარამიძე მომხდარს საბოტაჟს უწოდებს და ვარაუდობს, რომ იგი მერკანტილური ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

ჯარში მხოლოდ ხელყუმბარები როდი იკარგება. როგორც ჩანს, ასევე "დიდი მოთხოვნილებაა" საწვავ-საპოხ მასალებზეც: თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში, ვიცე-პოლკოვნიკ გელა მაღალთაძის მხრიდან, ადგილი ჰქონდა დოკუმენტების გაყალბებას და საწვავის გარკვეული ოდენობის მიწერის ფაქტებს, რის გამოც თავდაცვის სამინისტრომ 353,5 ათასი ლარის ზარალი ნახა. მინისტრის თქმით, მალე მაღალთაძე, თედიაშვილის მსგავსად, თემიდის წინაშე წარსდგება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ახალი გამოწვევა - ბაზარი

მაია ჭალაგანიძე
ბათუმიდან

*გუშინდელი პირველი სექტემბერი აღარ იყო სწავლის დაწყების ამაღლებული და ერთდღიანი დღესასწაული, რადგან კეთილმა ბიძიებმა სწავლის დაწყება 20 სექტემბრისთვის გადადეს. სამაგიეროდ, ეს დღე სიახლის მომტანი უნდა ყოფილიყო ბათუმის საკოლმეურნეო ბაზრისთვის - პირველ სექტემბერს ახალ შენობაში უნდა გადასულიყვნენ და ვინ იცის, ამ ღირსშესანიშნავი ფაქტის აღსანიშნავად ხელისუფლებას იქნებ პატარა საზეიმო ცერემონიალიც მოეწყო. მოვიდოდნენ მინისტრები, დაათვალიერებდნენ ახალ ბაზარს, გაესაუბრებოდნენ გაღიმებულ, თეთრწინსაფრიან მოვაჭრეებს, გაიკითხავდნენ ფასებს და კმაყოფილნი წავიდოდნენ უკან. ამისთვის ყველაფერი მზად იყო კიდეც, სრულ კომუფლიაჟში გამოწყობილი ახალი ბაზრის დაცვის თანამშრომლების ჩათვლით. საზეიმო პირველი სექტემბერი მაინც არ შედგა - ძველი ბაზრიდან გაჯიუტებული მოვაჭრეების გადაყვანა ვერც აჭარის შსს-ს წარმომადგენლებმა შეძლეს, ვერც მათ დასახმარებლად გამოძახებულმა სპეცრაზმმა. გამთენიისას ჩატარებული ოპერაციის შედეგად მოვაჭრეები კვლავ ადგილზე დარჩნენ. შეხლა-შემოხლაში ორივე მხარე დაზარალდა. სროლებიც გაისმა, რასაც მხარეები ერთმანეთს აბრალებენ.*

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 მთავარი თემა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 მთავარი თემა

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 მოგონება B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## თამაზ ნადარეიშვილის დამკრძალავი კომისიის შესახებ

შეიქმნა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, გაერო-ს საერთაშორისო ინფორმატიზაციის აკადემიის აკადემიკოსის, პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, გენერალ-მაიორის, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერის **თამაზ ნადარეიშვილის** დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ ჟვანია (კომისიის თავმჯდომარე), ეთერ ასტემიროვა, გიორგი ბარამიძე, ბიძინა ბრეგაძე, თეიმურაზ მჟავია, ირაკლი როსტომაშვილი, ლონდერ ცაავა, თამაზ ჭანტურია, გიორგი ხაინდრავა.

თ. ნადარეიშვილის დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

## თამაზ ნადარეიშვილის დამკრძალავი სახელმწიფო კომისიის განცხადება

გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე 1995-2004 წლებში, გაერო-ს საერთაშორისო ინფორმატიზაციის აკადემიის აკადემიკოსი, პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გენერალ-მაიორი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი

### თამაზ ნადარეიშვილი

დაკრძალვა შაბათს, 4 სექტემბერს, 15.00 საათზე; გამოსვენება საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

სამოქალაქო პანაშვიდი 2 და 3 სექტემბერს, 16.00 - 20.00 საათამდე.

მისამართი: დელისის ქუჩა, მე-3 ჩიხი, ბინა N14.



## თამაზ ნადარეიშვილი

სრულიად საქართველოს და განსაკუთრებით აფხაზეთის საზოგადოებას ჟამთა უკუღმართობამ კიდევ ერთი უმძიმესი განსაცდელი და ტკივილი დაატეხა თავს.

დაუნდობელმა სიკვდილმა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პოლიტიკური შტაბის რიგებს ვერაგულად გამოსტაცა გამორჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის საზოგადოების აღიარებული პოლიტიკური ლიდერი, შეუვალი და უკომპრომისო წინამძღოლი, თანამემამულეების ბედზე მოფიქრალი და მათი გაჭირვების მოჭირნახულე, უშიშარი, გამოცდილი და თავდადებული თანამებრძოლი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი, გენერალ-მაიორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე 1995-2004 წლებში თამაზ ნადარეიშვილი.

თამაზ ნადარეიშვილი დაიბადა 1955 წლის 19 ივლისს ქალაქ გაგრაში. 1971-1974 წლებში სწავლობდა თბილისის სამხედრო-საარტილერიო სასწავლებელში, 1981 წელს დაამთავრა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი.

1974-1979 წლებში მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების გაგრის განყოფილებაში, 1979-1990 წლებში ეწეოდა საზოგადოებრივ, ახალგაზრდულ და პარტიულ საქმიანობას. იყო გაგრის ქალაქკომის მეორე მდივანი.

1990 წელს არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად, 1991 წელს - აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, 1992 წლის იანვარში - აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. 1992 წლის ნოემბერში დაინიშნა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და იმავდროულად - აფხაზეთის თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარედ.

1995-2004 წლებში არჩეულ იყო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ (დევნილობაში).

თამაზ ნადარეიშვილი პირველთაგანია, ვინც აფხაზეთში მოღვაწე პარტიულ-პოლიტიკური ნომენკლატურიდან მხარში ედგა ქართულ ეროვნულ მოძრაობას, აქტიურად დაუპირისპირდა აფხაზურ სეპარატიზმს და ღია კონფრონტაციის გზით სიცოცხლის ბოლო წუთამდე ებრძოდა მას.

თამაზ ნადარეიშვილი ცნობილი იყო, როგორც უკომპრომისო პოლიტიკოსი. მისი პოზიცია და პოლიტიკური კრედო მუდამ განპირობებული იყო რეალური ობიექტურობით. იგი ეყრდნობოდა პირად გამოცდილებას, აფხაზეთში კონფლიქტის წარმოშობისა და გაღვივების რეალური მიზეზების ანალიზს.

ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, მან ძალზე მძიმე, პოლიტიკური ბატალიებით აღსავსე გზა განვლო, მაგრამ თავისი მოღვაწეობის ყველა ეტაპსა და უბანზე სწორი, მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობით გამორჩეული ცხოვრებისეული პოზიცია ეკავა.

მისი ვაჟკაცური სული და პატრიოტული შემართება განსა-კუთრებით აფხაზეთში საომარი მოქმედების დროს გამოვლინდა.

თამაზ ნადარეიშვილს, პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, გაერო-ს საერთაშორისო ინფორმატიზაციის აკადემიის აკადემიკოსს, კავკასიის საერთაშორისო და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, უაღრესად დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზეთის პრობლემის გარშემო არსებული ინფორმაციული ვაკუუმის გარღვე-ვაში. იგი იყო ოთხი წიგნის, 22 სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიების, უამრავი საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციების ავტორი. მისი საჯარო გამოსვლები, როგორც ქვეყანაში, ისე საერთაშორისო კომპეტენტური და ავტორიტეტული ორგანიზაციების უმაღლეს ფორუმებზე, გამოირჩეოდა პირდაპირობით, ობიექტურობით, აფხაზეთის პრობლემის ღრმა და მიუკერძოებელი ხედვით.

იგი აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა. კითხულობდა ლექციათა კურსს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ეროვნულ სამხედრო აკადემიაში. რიგი ევროპული სამეცნიერო წრეების მოწვევით კითხულობდა ლექციათა კურსს ჰანოვერის, გიოტინგენის, ჰამბურგის, მიუნხენის, ანტვერპენის, ლონდონის, ლუნებერგის უნივერსიტეტებში. საბრძოლო ჯილდოებთან ერთად, მიღებული ჰქონდა საქართველოს საპატრიარქოს მადლობის სიგელი და ვერცხლის მედალი.

შერვაშიძეების შთამომავალი მუდამ ამაყობდა, რომ მის წინაპრებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ერთიანი საქართველოს ისტორიაში, რომ ისინი, აფხაზებიცა და ქართველებიც, საქართველოს საკუთარ სამშობლოდ აღიქვამდნენ და მათთვის წარმოუდგენელი იყო ქართველებისა და აფხაზების დაპირისპირება. სიცოცხლის ბოლომდე ღრმად სწამდა, რომ სამართალი იზეიმებდა და აფხაზეთში კვლავ აღორძინდებოდა ძირძველი ტრადიციული ქართულ-აფხაზური ერთობა, ძმობა და მეგობრობა.

მისი უეცარი სიკვდილი მშვიდობიანი, მძინარე ქალაქის თავზე ჭურვის მოულოდნელ აფეთქებას ჰგავს, თუმცა თვითონაც და მის გარშემომყოფნიც ქვეცნობიერად გრძნობდნენ, რომ მუდამ კრიტიკული რეჟიმის ზღვარზე მომუშავე მისი გული, რომელიც გამორჩეულად მწვავე, რადიკალური იდეების გენერატორი იყო, შეიძლებოდა დროზე ადრე დაფერფლილიყო.

სამწუხაროდ, ვერც თავად და ვერც მისი თანამებრძოლები სათანადოდ ვერ აფასებდნენ ამ თვითმკვლელობის ტოლფას მოქმედებას. ასეც მოხდა. აფხაზეთის გარშემო მიმდინარე პრობ-ლემების სრული სტაბილიზაციის, აფხაზეთთან მიმართებაში რუსეთის იმპერიული ამბიციების აშკარა გააქტიურების ფონზე, მომძლავრებულმა უიმედობის ახალმა ტალღამ საბოლოო დაღი დაასვა მის გულს.

ქვეყანას დააკლდა პიროვნება, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხელმძღვანელი, ოჯახმა დაკარგა მზრუნველი და მოსიყვარულე თავკაცი, სანათესაომ - საიმედო და ყველას ქომაგი ადამიანი, სამეგობრომ - გვერდში მდგომი ღირსეული მეგობარი, აფხაზეთის საზოგადოებამ - მათ აწმყოსა და მომავალზე მოფიქრალი, აფხაზეთის დაბრუნებისათვის თავდადებული მებრძოლის სიმბოლოდ ქცეული წინამძღოლი, აფხაზეთის ომის ვეტერანებმა - მათთან ერთად ბრძოლებში გამობრძმედილი, მათი გულის მესაიდუმლე, ყოველთვის საბრძოლველად შემართული სარდალი.

აფხაზეთში საკუთარ კარმიდამოში დაბრუნების აუხდენელი ოცნებით დაიფერფლა კიდევ ერთი ჭეშმარიტი ქართველი რაინდის სიცოცხლე.

სრულიად საქართველოს მოსახლეობა თამაზ ნადარეიშვილის ვაჟკაცური, შეუვალი და უკომპრომისო პატრიოტული სულის შესაბამისი გულისტკივილით და უმძიმესი დანაკლისის განცდით აცილებს თავის ღირსეულ მამულიშვილს უკანასკნელ გზაზე, ერთადერთი ურყევი იმედით, რომ მისი მშფოთვარე სული და იდეები არ მოასვენებენ მის თანამებრძოლებს და აფხაზეთის დაბრუნების ახდენილი ოცნება მარადიულ ძეგლად, გვირგვინად მოევლინება მის ხსოვნას.

*მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ჟვანია, გურამ აბსანძე, ზურაბ ადეიშვილი, ეთერ ასტემიროვა, გიორგი ბარამიძე, გელა ბეჟუაშვილი, აკაკი გასვიანი, ელგუჯა გვაზავა, პაატა დავითაია, ლევან ვარშალომიძე, სალომე ზურაბიშვილი, გივი თარგამაძე, კონსტანტინე კემულარია, ზურაბ კოკაია, ვასილ მაღლაფერიძე, მიხეილ მაჭავარიანი, მიხეილ მახარაძე, ვანო მერაბიშვილი, ნაპოლეონ მესხია, თეიმურაზ მჟავია, ოთარ ჩარკვიანი, ლონდერ ცაავა, დავით ცანავა, გიორგი ხაინდრავა, ზურაბ ჯგუბურია.*

# თავდაცვის მინისტრი უტევს და თავს იცავს

პირველი გვერდიდან

შეიარაღებულ ძალებში "ფულის კეთება", თურმე, ორცხობილებითაც შეიძლება. თავდაცვის სამინისტროს სურსათ-სანოვაგის ცენტრალურ ბაზაში ჩატარებულმა შემოწმებამ აჩვენა, რომ შპს "კოლხის" მიერ შემოტანილი 4500 კილოგრამი ორცხობილას ხარისხი სტანდარტებს არ შეესაბამება და საკვებად უვარგისია. "ორცხობილას საქმეს" შესყიდვების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი ნ. ღონიაშვილი და სურსათ-სანოვაგის ცენტრალური ბაზის უფროსი ჯ. ბეჟუაშვილი "შეეწირნენ".

გუშინდელ ბრიფინგზე გიორგი ბარამიძე თავდაცვის სამინისტროს მიერ კვების პროდუქტების ტენდერის გარშემო ატეხილ მითქმა-მოთქმასაც შეეხო. მინისტრი უსაფუძვლოდ მიიჩნევს ამ ტენდერში დამარცხებული ფირმების, "ზურჯისა" და "კოლხის" პრეტენზიებს იმის შესახებ, თითქოს მათ პურის ცხობაზე ნებართვა მხოლოდ ბოლო მომენტში მოსთხოვეს. მინისტრის თქმით, ტენდერში სამართლიანად გაიმარჯვა შპს "კრწანისი-პურმა", რომელმაც ვალდებულება აიღო, ქართულ არმიას ერთი კილოგრამი თეთრი პური 75 თეთრად, ხოლო რუხი - 66 თეთრად მიაწოდოს.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

თავდაცვის მინისტრი იძულებულია, მისი თანამდებობიდან წასვლის შესახებ ხმებიც გააქარწყლოს.

ამასთან, როგორც ირკვევა, გამარჯვებულ საწარმოსა და სამინისტროს ხელმძღვანელობას შორის გამართული მოლაპარაკების შემდეგ, "კრწანისი-პურმა" ორივე სახის პროდუქციაზე, შესაბამისად, სამი და ერთი თეთრი დააკლო, რისი გათვალისწინებითაც, თავდაცვის სამინისტრო, მინიმუმ, 10 ათას ლარს დაზოგავს.

თავდაცვის მინისტრმა გუშინ კატეგორიულად უარყო გავრცელებული ხმები იმის შესახებ, თითქოს, ახლო მომავალში თანამდებობას დატოვებს და თავდაცვის მინისტრის პოსტზე მას რევაზ ადამია შეცვლის. ბარამიძის განცხადებით, თავდაცვის მინისტრის გათავისუფლების შესახებ ჭორებისა და "უაპელაციაო განცხადებების" ავტორები ხშირ შემთხვევაში ის ჟურნალისტები არიან, რომლებიც ან "იოლად ეგებიან სხვის პროვოკაციას, ან თავად არიან დაინტერესებული სკანდალური თემის ტირაჟირებით".

# ახალი გამოწვევა - ბაზარი

პირველი გვერდიდან

მოკლედ, ზეიმი ჩაიშალა, რადგან სულაც არ ჰქონდა საზეიმო განწყობა ძველი ბაზრის მოვაჭრეთა ერთ ნაწილს, რომელიც უკვე რამდენიმე ღამეა, ბაზარში ათენ-აღამებს. პირველი სექტემბერი მათ სპეცრაზმთან ბრძოლაში გაითენეს. კარგად ნავარჯიშევი და თავდაცული რაზმი გააძევეს და გამარჯვებულები დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდნენ. ეს იყო პირველ სექტემბერს, ორ სექტემბერს კი, ალბათ, ბაზრის აბუნტებული მოვაჭრეები და მათი მომხრეები გაიმყარებენ თავდაცვით პოზიციებს, შემოირაგებიან ქვიშის ტომრებით, გაავლებენ ეკლიან ღობეებს, მერე დაიწყებენ ულტიმატუმებს, იტყვიან, აქედან იმიტომ გვყრიან, ეს ადგილი ამა და ამ მაღალჩინოსანს უნდაო, მერე ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ პრობლემა მშვიდობიანად მოგვარდეს და ეს მხოლოდ იმიტომ იქცევა სახელმწიფოებრივ პრობლემად, რომ ვიღაც გადამყიდველს, ვისაც ერთის ნაცვლად ხუთი და ათი ადგილი აქვს ნაყიდი, არ უნდა ახალ ბაზარში გადასვლა, რადგან იქ ამის საშუალება არ ექნება. აბუნტებული გადამყიდველები ბაზრის არაოფიციალური მეპატრონეები არიან. მათ ეკითხებათ ყველაფერი - ვინ დადგება და ვინ გაყიდის, ვის უნდა ეთქვას უარი, ვინ და რა ფასად უნდა გაყიდოს და ა.შ. ბაზრის ადმინისტრაციის აბუნტებული ნაწილი ახლა ჭკუას არიგებს ძველი ბაზრის გადამყიდველებს და ურჩევს - დაასუფთავეთ, ანტისანიტარია რომ არ დაგვწამონ, ჩეკების ფული აკრიფოთ და ბიუჯეტში შევიტანოთ, დაზიანებული ადგილები შევაკეთოთო და ა.შ. ის ხალხი იძლევა განკარგულებებს, ვინც თავად იჯიბავდა დასუფთავების, ჩეკების, ბიუჯეტის ფულს და ახლა ამ ყველაფრის დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგა, ხალხს აბუნტებენ და ახალი ტიპის დაუმორჩილებლობას ქმნიან. მოკლედ, ეს ისეთი ზონაა, რომ ბაზარი პენიტენციალურ სისტემას უფრო უნდა ეკუთვნოდეს, ვიდრე სხვა რომელიმე უწყებას.



სეირან ბაროიანის ფოტო

დაპირისპირება თუ კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდა, ბათუმის ძველი ბაზრიდან ნანგრევები დარჩება.

ამ გამოცდილი გადამყიდველების უფლებებს ისეთი გამოცდილი იურისტი და პოლიტიკოსი იცავს, როგორიც კობა დავითაშვილია. თუ მის აქამდე გაკეთებულ საქმეებს გადავხედავთ, ალბათ ბოლომდე დაიცავს. მაგრამ, ეს ის ხალხი არ არის, ვისი გულისთვისაც ბატონი დავითაშვილი იშიმშილებს ისე, როგორც პენსიონრების საქმის გამო. რადგან უმწეო პენსიონრებისგან განსხვავებით, ამ გადამყიდველებს უამრავი სხვა ადამიანის უფლება აქვთ შელახული (და მათ შორის, იქნებ ბატონი კობასიც), რადგან ან წონაში იტყუებიან, ან ფასში და ან ხარისხში. სახლში მიტანილ პროდუქტზე აუცილებლად ვირთხა იქნება გადარბენილი, რადგან ცნობილია, რომ ძველ ბაზარში ათიათასობით მღრნელი ბინადრობს. საწყობებში კი, სადაც პროდუქტი ინახება, ენით აუწერელი ანტისანიტარიაა. ბაზრის გადატანის მცდელობა წინა ხელისუფლებასაც ჰქონდა. მაშინაც ამ გადამყიდველების წინააღმდეგობის გამო აქცია არ შედგა. მაგრამ მაშინ ხელისუფლება იკვებებოდა ბაზრის ფულით, და არა მხოლოდ ხელისუფლება - აბაშიძის ძაღლებისთვის ყოველ დღე 40 კილოგრამი ხორცი მიჰქონდათ უფასოდ.

სპეცრაზმს ასეთი საეჭვო წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა (რაც მართლაც საკვირველია პროდუქტების გამყიდველი ქალებისგან...), ხელისუფლება გამჭვირვალეობა-საჯაროობით ზედმეტად რომ არ გართულიყო და არა შეთანხმებით, არამედ პრინციპულად, გადაჭრით ეთქვა: ბაზარი ქალაქის ცენტრიდან გადავა! გადავა უფრო კარგ შენობაში, კარგ პირობებში და ინფრასტრუქტურაში და რომ ტურიზმის განსავითარებლად და ქალაქის ესთეტიური სახისთვის ასე აჯობებს; რომ სულ მალე ბათუმში დიდი ბიზნესმენები იწყებენ საქმის კეთებას, ქარხნების ამუშავებას, ხალხის დასაქმებას და ჩვენი მხრიდან ცივილური ურთიერთობები უნდა დავახვედროთ და ა.შ. ეს რომ გადაჭრით ეთქვათ, ბაზარში 1 სექტემბერი სხვაგვარად გათენდებოდა და არც ასლან აბაშიძის მგვანი ტიპი გამოჩნდებოდა დასაცინად - სწორედ ამ ფორმით აღნიშნეს ბაზარში მიღწეული ლოკალური გამარჯვება გაბრიყვებულ და გაწამებულ მოვაჭრეებს ამოფარებულმა "არწივებმა", რადგან ასეთი იაფფასიანი ქარაგმები და მინიშნებები წინა მეთაურის საყვარელი გატაცება იყო.

იაფფასიანი გამოწვევები კი თავმოყვარე ხელისუფლებას პრინციპული ქმედებებისკენ უბიძგებს.

# გელათის ფრესკების გადასარჩენად

ორმოცდაათამდე სოციალურად დაუცველ ადამიანს, ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნინო ბურჯანაძემ განსაკუთრებული საჩუქარი გაუკეთა და ისინი დასასვენებლად ბორჯომში გაამგზავრა. მათი უმეტესობა 50-60 წელს გადაცილებული ადამიანები არიან, რომელთაც ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებში 30-35 წელი ჰქონდათ ნამუშევარი. დღეს კი ყველასგან მივიწყებული უბრალო პენსიონერები იყვნენ.

პირველ ეტაპზე, ნინო ბურჯანაძის ხელშეწყობით, ბორჯომში 12 დღით დაისვენებენ ავტოქარხნის, ელექტრომექანიკურის, ლითოფონის ყოფილი თანამშრომლები და ლადო მესხიშვილის აკადემიური თეატრის მსახიობები. ადამიანები სიხარულს დაუფარავად გამოხატავდნენ. ერთ-ერთი მათგანი მეგობარს უყვებოდა, რომ ქარხანაში 35 წელი იმუშავა და ამ ხნის მანძილზე დასასვენებლად არავის გავუშვივარო.

**"ოცდაათი წელი ქარხანაში თერმულ საამქროში ვიმუშავე. შრომის გმირი და ვეტერანი ვიყავი, მაგრამ ამდენი ყურადღება მაშინაც არავის მოუქცევია, მადლობელი ვარ იმისათვის, რომ ჩვენი დამსახურება გაიხსენეს და ყურადღება მოგვაქციეს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ერთერთმა პენსიონერმა მაყვალა კოხრეიძემ. თავის მხრივ ნინო ბურჯანაძე ოქტომბრის ბოლომდე კიდევ რამოდენიმე ასეულ პენსიონერს ჰპირდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დასვენებას.

რაც შეეხება დაფინანსების წყაროებს, პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ხანდაზმული ადამიანების გახარებაში კეთილი ადამიანები ეხმარებიან. **"ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ხანშიშესული ადამიანების სახეებს კამყოფილს ვხედავ. იმედს ვიქონიებ, რომ ისინი ასევე კმაყოფილები დაბრუნდებიან ბორჯომიდან. ვეცდები, რომ გარკვეული პერიოდულობით ადამიანთა გარკვეული ჯგუფი წავიდნენ დასასვენებლად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შევეცდებით, რომ მაქსიმალურად სამართლიანად განაწილდეს ეს საჩუქარი. ოქტომბრის ბოლომდე კიდევ რამდენიმე ასეული ადამიანი დაისვენებს,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.



ბექა სისაურის ფოტო

კათოლიკოს პატრიარქი და პარლამენტის თავმჭდომარე კმაყოფილნი არიან ამერიკელების მიერ გელათში შესრულებული სამუშაოებით. (შუაში აშშ-ს ელჩი რიჩარდ მაილსი).

ამის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ მაჟორიტარის ოფისში გადაინაცვლა, სადაც მთელი დღის განმავლობაში მოქალაქეებს იღებდა. შუადღისთვის კი იგი გელათში გაემგზავრა, სადაც, საქართველოს პატრიარქთან და ამერიკის ელჩთან ერთად, ამერიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის შედეგებს გაეცნო.

აღნიშნული პროექტი მონასტრის ფრესკების დიაგნოსტიკურ კვლევასა და პირველი რიგის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების დაგეგმვას ითვალისწინებდა. იგი ამერიკის მხარის მიერ გახლდათ დაფინანსებული, ხოლო სამუშაოები კი საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის ფონდმა განახორციელა. პროექტის შესრულების აუცილებლობა კი გელათის ფრესკული მხატვრობის დაზიანებებმა განაპირობა, რასაც, სპეციალისტების დასკვნით, ძირითადად გარემო და მიკრობიოლოგიური პირობები იწვევს. სასულიერო პირების განმარტებით, ბოლო ათი წლის განმავლობაში შეუიარაღებელი თვალითაც შეიმჩნევა ფრესკების გავარდისფერება-გამომარილების ნიშნები. ამიტომაცა, ფრესკათა შემდგომი დაიზიანების შესაჩერებლად, აუცილებელი გახდა დაზიანებების მიზეზების დროული გამოკვლევა. აღნიშნულის გამო, საქართველოს პატრიარქმა ამერიკის ელჩის მიმართ განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა.

**"ამერიკის საელჩო, მისი აღმატებულება ამერიკის ელჩი დიდ ყურადღებას იჩენს ქართული კულტურის მიმართ და საკმაოდ სოლიდურ თანხებს რიცხავს, რაც გელათს ნამდვილად სჭირდება. მე მინდა ჩვენი ეკლესიისა და ხალხის სახელით დიდი მადლობა მოვახსენო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, ამ დიდი ყურადღებისათვის. ეს არის კარგი მაგალითი სხვებისათვისაც,"** - განაცხადა უწმინდესმა და უნეტარესმა.

ამერიკის ელჩის მიმართ მადლიერება გამოხატა ნინო ბურჯანაძემაც.

**"მინდა მადლობა გადავუხადო ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩს. ყველაზე მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური სამუშაოები გელათში უკვე ჩატარებულია და ცნობილია, რა სჭირდება ტაძრის გადარჩენას. დარწუნებული ვარ, რომ ბატონი ელჩი მეორე ეტაპშიც ასევე მნიშვნელოვან მონაწილეობას მიიღებს და ჩვენ გელათს მივიყვანთ იმ მდგომარეობამდე, როდესაც საფრთხე აღარ დაემუქრება. ამ აქციით ამერიკის ელჩმა მსოფლიოს დაანახა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი პარტნიორია არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ იგი პატივს სცემს ქვეყნის ისტორიას და სულიერ ღირებულებებს,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. თავის მხრივ არც ამერიკის ელჩი მალავდა პროექტის განხორციელების გამო კმაყოფილებას.

**"ჩემთვის ძალზე სასაიმოვნოა აღვნიშნო, რომ შევიტანეთ წვლილი გელათის მეცნიერულ შესწავლასა და ფრესკების მდგომარეობის დადგენაში. ეს ადგილი მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მსოფლიო ისტორიისა და კულტურისათვისაც,"** -განაცხადა რიჩარდ მაილსმა.

*ბექა სისაური,*
*ქუთაისიდან*

## პრეზიდენტის განცხადება

*გუშინ ჩრდილოეთ ოსეთში მომხდარ ტერორისტულ აქტსა და ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე საქართველოს მეთაურმა ლიკანის სამთავრობო რეზიდენციიდან გააკეთა რამდენიმე განცხადება.*

**"მიუხედავად სხვა პრობლემებისა, ჩვენ ჩრდილოეთ ოსეთთან, ტრადიციულად, მეგობრული ურთიერთობები გვაკავშირებს და ჩვენთვის ძალიან შემაშფოთებელია საერთოდ ის, რაც ხდება რუსეთში. ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ ჩვენ ძალიან სერიოზული ნაბიჯები გადავდგით საქართველოში ტერორიზმის საფრთხის გამორიცხვასთან დაკავშირებით და ამ კუთხით ყველანაირი დახმარება აღმოვუჩინეთ წარსულში და მომავალშიც აღმოვუჩენთ რუსეთის ხელმძღვანელობას. ამგვარად, მინდა გამოვხატო ჩემი შეშფოთება და შევთავაზო რუსეთს კიდევ უფრო ფართო თანამშრომლობა ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი ბესლანი, სადაც ტერორისტული აქტი განხორციელდა, საქართველოს საზღვრებთან საკმაოდ ახლოს მდებარეობს, ჩვენ რაიმეს შიში არ უნდა გვქონდეს. **"ქართული სოფლები დაცულია. მთელი ამ ბოლო დღეების განმავლობაში არ მომხდარა არც ერთი შეიარაღებული თავდასხმა. ეს იმას ადასტურებს, რომ ჩვენი პოლიტიკა იყო სწორი. სამწუხაროდ, ჩვენი მხრიდან იყო მსხვერპლი და ეს იმის გამოც მოხდა, რომ ჩვენი სოფლები დაცული ყოფილიყო. ბოლო თვის განმავლობაში ჩვენ გადავდგით პირველი სერიოზული ნაბიჯი ამ რეგიონში საქართველოს იურისდიქციის აღსადგენად. ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვება სხვა მშვიდობიანი ნაბიჯები. ჩვენ მზად ვართ გავმართოთ მოლაპარაკებები ურთიერთობის მთელ კომპლექსზე. შესაბამისი გარანტიები მივცეთ ყველას, მაგრამ ჩვენ აღარ დავუშვებთ იმას, რომ ეს რეგიონი კრიმინალების სათარეშო გახდეს. ჩვენ სერიოზული მხარდაჭერა მივიღეთ ევროკავშირიდან, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან. ისინი ამ საკითხის ინტერნაციონალიზაციას ემხრობიან. შერბილდა რუსეთის ტონი და ეს მისასალმებელია. დანარჩენი არის ჩვენი მარიფათის ამბავი. ჩვენ უნდა შევასრულოთ დაპირება და უნდა დავაბრუნოთ ბავშვები სკოლებში, როცა დაიწყება სწავლა და უნდა უზრუნველვყოთ არა მხოლოდ ამ ბავშვების, არამედ დიდი და პატარა ლიახვის სოფლების უსაფრთხოება."**

გუშინდელ გამოსვლაშივე პრეზიდენტი სხვა საკითხებსაც შეეხო, კერძოდ, კომენტარი გაუკეთა აჭარის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის დაკავებას და მთავრობის სოციალურ ვალდებულებებს. პრეზიდენტის თქმით, მომავალი კვირიდან დამატებით კიდევ ერთი თვის სახელფასო დავალიანებას დაიფარება, ხოლო პენსიონერები ცხადად იგრძნობენ, რომ ხელისუფლება დანაპირებს პირნათლად ასრულებს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვალერი ჩეჩელაშვილი არ გამორიცხავს შემოდგომაზე რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის თბილისში ვიზიტს და ამ ვიზიტისას ორ ქვეყანას შორის ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმებას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერი ედუარდ კოკოითი ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში გაემგზავრა, რათა ამ მძიმე ვითარებაში "რუსეთის რესპუბლიკის "მოძმე" ხალხის გვერდით დადგეს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უკიდურეს აღშფოთებას გამოხატავს ჩრდილოეთ ოსეთში ოთხშაბათს, დილით, უცნობი შეიარაღებული პირების მიერ ქალაქ ბესლანის საშუალო სკოლაზე განხორციელებული თავდასხმის და მასწავლებლების, მოსწავლეების და მათი მშობლების მძევლად აყვანის გამო. **პრაიმ-ნიუსი**

## ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N785

*2004 წლის 1 სექტემბერი ქ. თბილისი*

საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

1. დამტკიცდეს "საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 21 ივლისის N281 ბრძანებულებით შექმნილი მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა:

სოსო ცინცაძე - საქართველოს დიპლომატიური აკადემიის რექტორი, ჟურნალ "პოლიტიკის" მთავარი რედაქტორი, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი გაჩეჩილაძე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს წევრი

იგორ კვესელავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგე, პროფესორი, საბჭოს წევრი.

რამაზ საყვარელიძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზოგადი და კლინიკური ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი, საბჭოს წევრი.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერის დღეს.

*მიხეილ სააკაშვილი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# სამართლიანობა, რომელიც ზოგჯერ კანონის ჩარჩოში არ ჯდება

პირველი გვერდიდან

ოდენობით თანხების ბიუჯეტში გადახდას ეხება, რაც საზოგადოების თვალში ყველაზე მომგებიანი ეფექტის მატარებელია. რაც სახელმწიფოს, ანუ ხალხს ეკუთვნოდა და ძავანბა კორუმპირებულმა ჩინოვნიკმა მოიპარა, უკან უნდა დაბრუნდეს - ამგვარი შეფუთვით მიწოდებული მოვლენა კი სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს გენერალური პროკურატურის თვითშემოქმედება, რომელსაც, პრინციპში, არანაირი საკანონმდებლო ბაზა არ გააჩნია. სამაგიეროდ, აქვს სრულიად გასაგები მიზანი - ბიუჯეტის შევსება. სხვა საკითხია, რამდენად ამართლებს მიზანი საშუალებას და რამდენად დასაშვებია, რომ ორგანო, რომელიც [illegible] რება, თუნდაც, საუკეთესო მოსაზრებებით, [illegible] ძემ 15 მილიონი დოლარი, ხოლო აკაკი ჩხაიძემ, რომელსაც გამოძიება 50 მილიონ დოლარამდე თანხის მითვისებას ედავებოდა, სულ 4 მილიონი ლარი? ამაზე პასუხი არ არსებობს.

რაც შეეხება ბრალდებულის სტატუსის მქონე ყოფილი მაღალი თანამდებობის პირთა სასამართლო პროცესებს, სადაც ბევრ, გამოძიების პროცესში საიდუმლოდ შენახულ ფაქტს შეიძლება აეხადოს ფარდა, სავარაუდოდ, სექტემბერში უკვე ერთი მათგანის - დავით მირცხულავას საქმის განხილვა დაიწყება, [illegible] თუმცა, როგორც ქვემოთ შეიტყობთ, რამდენიმე ცნობილი, ყოფილი თანამდებობის პირის საქმეს სასამართლო განხილვის პერსპექტივა ეკარგება - უმაღლესი მართლმსაჯულება მათ საქმეებს არსებითად აღარ განიხილავს.

## კანონიერი, მაგრამ საიდუმლო

სოფიკო ჩხაიძე

*რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი შეფი და ყოფილი ხელისუფლების ფინანსისტად მოაზრებული აკაკი ჩხაიძე, რომელიც ბათუმში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, დიდი ხმაურით დააპატიმრეს, დაახლოებით ერთი თვის წინ სრულიად უხმაუროდ, საერთოდ გაათავისუფლეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან - მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც სახელმწიფოსთვის მიყენებულ მილიონობით ზარალს ითვლიდა, შეწყდა.*



ბათუმში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, დიდი ხმაურით დაპატიმრებული აკაკი ჩხაიძე დაახლოებით ერთი თვის წინ სრულიად უხმაუროდ, საერთოდ გაათავისუფლეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან.

რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ უკვე ძებნილად გამოცხადებული აკაკი ჩხაიძის ბათუმში დაპატიმრება მნიშვნელოვანი მოვლენა ნამდვილად გახლდათ. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, სანამ აჭარაში ასლან აბაშიძის კლანი ბატონობდა, აჭარის ტერიტორიაზე ოფიციალურ თბილისს, ადგილობრივი მმართველი რეჟიმის ნების საწინააღმდეგო მსგავსი აქციის ჩატარება არასოდეს გაურისკავს.

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ კი დაამტკიცა, რომ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, ყოველგვარი, ხელოვნურად შექმნილი ბარიერების დაძლევა შესაძლებელია.

დღისით, მზისით, ბათუმის ცენტრში მდებარე საავადმყოფოში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სამსახურების წარმომადგენლებმა ისე დააკავეს საკუთარი უსაფრთხოების გარანტიებში სრულიად დარწმუნებული ჩხაიძე, რომ აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯემალ გოგიტიძემ მხოლოდ ჩოლოქის გადაკეტვის ბრძანების გაცემა მოასწრო.

ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის დეტალურად გაშუქება და საზოგადოებისთვის გაცნობა, ჟურნალისტების მონდომების გარდა, ხელისუფლებამვე უზრუნველყო. ასევე საკმაო ხმაური მოჰყვა აკაკი ჩხაიძის პატიმრობიდან გათავისუფლებასაც მას შემდეგ, რაც მან საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ 4 მილიონ დოლარამდე თანხა გადაიხადა.

აკაკი ჩხაიძის რეპუტაციიდან გამომდინარე, გასაკვირი არ გახლდათ, რომ ნებისმიერი თანხის შემცველი ბრალდება, რომელსაც კი მას გამოძიება უყენებდა და ცოტა ნამდვილად არ გახლდათ, საზოგადოების დიდი ნაწილის მხრიდან არასაკმარისად აღიქმებოდა.

დანაშაულები, რომელთა ჩადენასაც ქართველი სამართალდამცველები აკაკი ჩხაიძეს ედავებოდნენ, საკმაოდ დიდ თანხებს ეხებოდა. ყველაზე მცირე აქედან "საქართველოს რკინიგზასა" და ორ ჰესს - "ჩითახევ ბორჯომსა" და "ბჟილჰესს" - შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად გადაცემული ქონებისათვის განკუთვნილი ერთჯერადი გადასახადის - 134 141 ლარის გადაუხდელობა იყო, რასაც სანქცია-საურავების სახით კიდევ 33 545 ლარი დაერიცხა. ამას ემატებოდა რამდენიმემილიონიანი ბრალდება, რომელიც, აგრეთვე, ორ ფირმასთან - "ალეგრა ტრანს ლიმიტედსა" და შპს "ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ"-სთან დადებულ ხელშეკრულებებს უკავშირდებოდა და სადავო თანხის ოდენობა 6 113 382 ლარს აღწევდა. აქვე იყო უვარგისად ცნობილი ვარგისი ვაგონების ჯართად დაჭრა და გაყიდვა, მუშთაიდის ბაღში მდებარე "საბავშვო რკინიგზის" ოთხსართულიანი ადმინისტრაციული შენობის სასწრაფოდ, ვარდების რევოლუციის მეორე დღესვე გასხვისება კერძო ფირმაზე, რომლის მფლობელიც აკაკი ჩხაიძის ახლო მეგობარია. ამასთან, ოთხსართულიანი შენობა, სულ რაღაც, 60 ათას ლარად გაიყიდა.

მოკლედ, აკაკი ჩხაიძისთვის წარდგენილ ბრალდებებში ასახულმა თანხამ ჯამში 50 მილიონს მიაღწია, თუმცა, საბოლოოდ, სამართალდამცველები მისგან 4 მილიონი დოლარის გადახდას დასჯერდნენ, რაც იმთავითვე გარკვეული ეჭვების გამოთქმის საფუძვლად იქცა. აკაკი ჩხაიძე ამ თანხის ბიუჯეტში შეტანის შემდეგ, პატიმრობიდან გაათავისუფლეს, თუმცა იქვე საჯაროდ ითქვა, რომ მისი გათავისუფლება მისთვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას სულაც არ ნიშნავს, რომ მისი საქმის გამოძიება გრძელდება, სასამართლომდე მივა და სასამართლომ რკინიგზის ყოფილ შეფს, შესაძლოა, გაცილებით დიდი თანხის გადახდა დააკისროს. ცხადია, სასამართლო განხილვა გულისხმობდა ალტერნატივასაც, ანუ სასამართლოს მიერ იმ მტკიცებულებების არასაკმარისად მიჩნევას, რაც გამოძიებამ ჩხაიძის წინააღმდეგ შეაგროვა, მაგრამ საკუთარ საქმიანობაში დარწმუნებულ გენერალურ პროკურატურაში ამ შესაძლებლობას არც უშვებდნენ. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ყოფილი ხელისუფლების სკანდალურად ცნობილი წარმომადგენლის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა იმდენად გახლდათ გასაიდუმლოებული, რამდენადაც ამ ფაქტის შესახებ, თავად პროცესის მონაწილე პირების გარდა, არავის შეუტყვია.

არადა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ, აკაკი ჩხაიძის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა ღია პროცესზე, დაახლოებით ერთი თვის წინ დააკანონა. საქმის შეწყვეტის შესახებ სასამართლოს შუამდგომლობით გენერალურმა პროკურატურამ მიმართა. შუამდგომლობის საფუძველს კი ქართულ სამართლებრივ სივრცეში შემოღებული ახალი ნორმა - საპროცესო შეთანხმება წარმოადგენდა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სულ ახლახან შეტანილი ცვლილებების თანახმად კი, ბრალდებულსა და პროკურორს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია და გულისხმობს გარიგებას ბრალზე ან შეთანხმებას სასჯელზე. სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებს, თუმცა ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებაზე და თანამშრომლობს გამოძიებასთან. ბრალზე გარიგებისას კი ბრალდებული აღიარებს დანაშაულს ან თანამშრომლობს გამოძიებასთან.

კონკრეტულად, რომელი ნორმის მიხედვით დაიდო აკაკი ჩხაიძესთან საპროცესო შეთანხმება, ჩვენთვის იმ უბრალო მიზეზითაა უცნობი, რომ ამგვარი შეთანხმების პირობების გასაიდუმლოებას კანონი იცავს.

**"სასამართლო პროცესი, რომელზეც, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, აკაკი ჩხაიძის გათავისუფლება დადასტურდა, ათ წუთს თუ გრძელდებოდა. ასეთ შემთხვევებში მოსამართლე, ფაქტობრივად, განიხილავს, შეთანხმება ბრალდებულზე ზეწოლის ან მისი მოტყუების შედეგად ხომ არ არის მიღწეული,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას აკაკი ჩხაიძის ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა. მისივე თქმით: **"მართალია, გარკვეული იურიდიული ლაფსუსები არსებობს, თუმცა, აკაკი ჩხაიძის გათავისუფლება კანონის სრული დაცვით მოხდა. როგორც ჩანს, სასამართლოში დავის გაგრძელება არც ერთ მხარეს არ აწყობდა და შეთანხმებასაც მიაღწიეს".**

მეორე მხრივ, არ გვაქვს საფუძველი, გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელობის კეთილსინდისიერებასა და მიუკერძოებლობაში ეჭვი შევიტანოთ, თუმცა, სრულიად გაუგებარია გენერალური პროკურატურის პოზიცია, რომელმაც "საქართველოს რკინიგზის" ყოფილ გენერალურ დირექტორთან საპროცესო შეთანხმების დადება არ გაახმაურა. მით უმეტეს, რომ საქართველოს კანონმდებლობის ამ ახალი ნორმის ამუშავებას ექსპერტ-იურისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ბრალდებულებთან ამგვარი შეთანხმების დადების თითოეულ ფაქტს ამ ეტაპზე პრეცედენტის სახე აქვს.

იმედი ვიქონიოთ, რომ ერთადერთი მიზეზი, რაც აკაკი ჩხაიძის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დროებით საიდუმლოდ დატოვებას შეიძლება ედოს საფუძვლად, ამ გადაწყვეტილების არაპოპულარობა გახლავთ.

## დაპატიმრებათა ტალღას ვერც საგადასახადო სამსახურები გადაურჩა

*მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საგადასახადო სამსახური ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ სისტემად ითვლებოდა, დაკავებულ მაღალჩინოსანთა ვრცელ სიაში მხოლოდ სამი პიროვნება აღმოჩნდა, რომლებსაც აღნიშნულ სამსახურში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ. ესენი არიან: საგადასახადო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე იასე ზაუტაშვილი, მისი ყოფილი მოადგილე ლევან კალანდაძე და ასევე საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოქმედი მოადგილე ვახტანგ ჩახნაშვილი. არც ერთი მათგანი დღეს საპყრობილეში აღარ იმყოფება, მათ პირობითი თავისუფლება გამოძიების მიერ დასახელებული თანხის გადახდის სანაცვლოდ მიიღეს.*

თამარ კაციტაძე

ვახტან ჩახნაშვილი მიმდინარე წლის 24 იანვარს საგადასახადო დეპარტამენტში, საკუთარ კაბინეტში, სპეცრაზმის მეშვეობით დააკავეს, საიდანაც პირდაპირ გენერალურ პოკურატურაში მიიყვანეს და, რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ, იგი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ეჭვმიტანილის სტატუსით წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჩახნაშვილის მიმართ საქმე გასულ წლებში იყო აღძრული, როდესაც იგი მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსი იყო.

**"ჩახნაშვილი ეჭვმიტანილია სოციალური ფონდიდან ცენტრალურ ბიუჯეტში თანხების გადაქაჩვაში. მან ფიქტიური წერილების გამოყენებით ბიუჯეტი შესრულებულად აჩვენა,"** - ასეთი კომენტარი გააკეთეს თავის დროზე გენპროკურატურაში.

წლების წინ აღძრული საქმის გამოძიება, რომელიც მაშინ ჩვენთვის უცნობი მიზეზით შეწყდა, კვლავ განახლდა და 26 იანვარს ჩახნაშვილის ეპიზოდზე სისხლის სამართლის ახალი საქმეც აღიძრა. მსხვილ გადამხდელთა ყოფილ ხელმძღვანელს გამოძიება პირველ ეტაპზე 400 ათას ლარს ედავება, თუმცა მოგვიანებით, სადავო თანხამ რამდენიმე მილიონს გადააჭარბა. ჩვენი ინფორმაციით, საუბარი იყო 4 მილიონ 800 ათასი ლარზე. **"ამ საქმეში მარტო ჩახნაშვილი არ არის ბრალდებული. ეს არის ერთიანი ჯაჭვი, სადაც ძალიან ბევრი ადამიანია ჩართული,"** - აღნიშნავდა მაშინდელი გენპროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი. გავრცელებული ხმებით, სამართალდამცველები ჯაჭვის ერთ რგოლში "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერს მიხეილ მაჭავარიანს გულისხმობდნენ, რომელიც დასახელებული დანაშაულის პერიოდში საგადასახადო და შემოსავლების მინისტრის თანამდებობაზე მუშაობდა. თუმცა, მოსალოდნელი ბრალდება მაჭავარიანმა იმთავითვე უარყო და ჩახნაშვილის საქმის ირგვლივ მისი გვარი აღარ დასახელებულა.

თავად ვახტანგ ჩახნაშვილმა კი რამდენიმეთვიანი პატიმრობის შემდეგ ბიუჯეტში 3 მილიონი ლარი გადაიხადა და ფაქტობრივი თავისუფლება მიიღო. იგი ამჟამად პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. მისი საქმის გამოძიება კი უკვე დასრულდა და საქმის ტომები, დაახლოებით, ერთი კვირის წინ გადაიგზავნა სასამართლოში.

პოლიციის ზედამხედველობა აქვს შეფარდებული საგადასახადო დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარეს იასე ზაუტაშვილს და მის მოადგილეს ლევან კალანდაძეს, რომლებიც საპყრობილის კედლებს გამოძიების მიერ დასახელებული თანხის გადახდისთანავე დაემშვიდობნენ.

სადავო 900 ათასი ლარიდან ზაუტაშვილს 300 ათასი დოლარის გადახდა მოუწია, კალანდაძეს - მხოლოდ 50 ათასი ლარისა, დანარჩენი თანხა კი მათ საქმეზე ბრალდებულმა და ასევე წინასწარ პატიმრობაში აყვანილმა ახალდანიშნულმა საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ლევან ქისტაურმა და მისმა მოადგილემ გიორგი ბეროზაშვილმა დაფარეს. აღნიშნული თანამდებობის პირების დაპატიმრების მიზეზი გახდა შპს "იმედის" და მისი უფროსის ლევან კეჟერაშვილის საქმიანობა. კეჟერაშვილი ამჟამადაც მიმალვაშია და მასზე გამოცხადებულია ძებნა. გამოძიების მასალების თანახმად, შპს "იმედის" ანგარიშზე 2002 წლიდან 2003 წლამდე საბაჟო და საგადასახადო სამსახურების თანამდებობის პირების ხელშეწყობითა და სხვადასხვა მაქინაციებით, აქტივის სახით, 900 ათასი ლარი დაირიცხა. ანუ სახელმწიფოს აღნიშნული ფირმის ვალი ხელოვნურად დაედო. მოგვიანებით კი "იმედს", რომელსაც თამბაქოს წარმოებასთან არანაირი შეხება არ ჰქონდა, კანონის დარღვევით, დაახლოებით 5 მილიონი სიგარეტის აქციზური მარკა გადაეცა. ამით ფირმას, რომელსაც "იმედმა" აქციზები მიჰყიდა საშუალება მიეცა, აღურიცხავი სიგარეტი ეწარმოებია. სწორედ აღნიშნული ფირმის უკანონო საქმიანობის გამო, დასახელებულ თანამდებობის პირებს ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში წარედგინათ.

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო სამსახურის ყველა დაკავებულმა თანამდებობის პირმა გამოძიების მიერ დასახელებული თანხა ბოლომდე გადაიხადა, როგორც გენპროკურატურაში ირწმუნებიან, მათ მიმართ აღძრული საქმის გამოძიება კვლავ გრძელდება და არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ახალი დანაშაულები გამოვლინდეს. თავად ბრალდებულები კი, მიუხედავად თანხის გადახდისა, დანაშაულს არ აღიარებენ და საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას სასამართლოში გეგმავენ. მაგრამ, მაინც არ გამორიცხავენ, რომ მათ მიმართ წარმოებული საქმე შეწყდეს. რადგან ზარალი, რომელიც, გამოძიების მასალების თანახმად, ბრალდებულთა ქმედებების შედეგად სახელმწიფოს მიადგა, ანაზღაურებულია. თუმცა, საამისოდ რამდენიმე დეტალია მოსაგვარებელი. კერძოდ, უნდა გაირკვეს ძებნილი პირების პოზიცია მათი წილი სადავო თანხის გადახდასთან დაკავშირებით.

## ძებნილ ლევან მამალაძეს სასამართლო დაუსწრებლადაც გამოუტანს განაჩენს

*ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძე ედუარდ შევარდნაძის გარემოცვის იმ ნაწილს მიეკუთვნება, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ყოფილი ხელისუფლების რეპუტაციის საბოლოოდ განადგურებაში. აქედან გამომდინარე, გენერალური პროკურატურის მიერ მისთვის წარდგენილი ბრალდებები და ქონების ის ჩამონათვალი, რომლის გაღებაც მამალაძის ოჯახს, სასამართლოს ძალით, სახელმწიფოს სასარგებლოდ მოუხდა, ბევრს ცოტადაც კი ეჩვენება.*

ქვემო ქართლის გუბერნატორის ბრალდებულად გამოცხადება ვარდების რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ძალიან მალე მოხდა. ეს არც გახლდათ გასაკვირი რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსული ძალის მისდამი დამოკიდებულებისა და იმ სისხლის სამართლის საქმის გათვალისწინებით, რომელსაც პროკურატურის გამომძიებლები წლების მანძილზე იძიებდნენ. სწორედ ამ, კარგა ხნის წინ აღძრულ საქმეში მრავლად მოიპოვებოდა მამალაძის ბრალეულობის დამადასტურებელი მასალები, რომლებსაც შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მხოლოდ და მხოლოდ ყოფილი ხელისუფლების მამალაძისადმი სიმპათიის გამო არ მოჰყვა. მხოლოდ მერე აღმოჩნდა, რომ ეს მასალები საკმარისი ყოფილა იმისათვის, რომ ლევან მამალაძისთვის დაუსწრებლად წაეყენებინათ ბრალი თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში და მასზე ძებნა გამოეცხადებინათ.

მიუხედავად თითქმის ცხრათვიანი ძებნისა, ჟურნალისტებისგან განსხვავებით, სამართალდამცველებმა ბრალდებულის მოხელთება ვერ მოახერხეს, თავად ლევან მამალაძის ადგილ-სამყოფელის შესახებ კი, მას შემდეგ, რაც მოსკოვის მეტროში მისი სეირნობის კადრები მთელმა საქართველომ იხილა, ყოფილი გუბერნატორის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია აღარ გახმაურებულა.

თუმცა, მამალაძის არყოფნას პროკურატურისთვის ხელი არ შეუშლია, რომ მამალაძის საქმის გამოძიება თითქმის ბოლომდე მიეყვანათ, დაუსწრებლად ჩამოერთვათ მისთვის საკმაოდ სოლიდურ თანხად შეფასებული დაუსაბუთებელი ქონება. და მეტიც, საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები გამოძიებას, შემდგომ კი სასამართლოს უფლებას აძლევს, ბრალდებულის დაუსწრებლად გადაიცეს საქმე სასამართლოში, განიხილოს კიდეც და განაჩენიც გამოიტანოს.

თუმცა, ჯერჯერობით, ბოლომდე მხოლოდ მამალაძისთვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევაა მიყვანილი.

გენერალურმა პროკურატურამ მამალაძის დაუსაბუთებელ ქონებად ყოფილი გუბერნატორის დედისა და მეუღლის სახელზე გაფორმებული კოჯრის აგარაკი, თბილისში, ატენის ქუჩაზე მდებარე ბინა, შინდისსა და წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთები და თავად მამალაძისა და მისი მეუღლის საბანკო ანგარიშები მიიჩნია და სასამართლომაც დააკმაყოფილა ამ ქონების ჩამორთმევის შესახებ შეტანილი შუამდგომლობა. ეს ქონება, გამოძიების განმარტებით, ძებნილს გუბერნატორად მუშაობის პერიოდში აქვს შეძენილი და, მთლიანობაში, ნახევარ მილიონ დოლარად ფასდება. ეს მაშინ, როცა, ლევან მამალაძე, კეთილსინდისიერად რომ ეცხოვრა და თანაც, თავისი ოფიციალური შემოსავლებიდან კაპიკი არ დაეხარჯა, 17 ათასი ლარის შეგროვებას თუ შეძლებდა.

რაც შეეხება გამოძიების დასრულებას, თბილისის პროკურატურაში, ჯერჯერობით, მამალაძის განკარგულებაში მყოფი აპარატის თანხების განაკარგვასთან დაკავშირებით დაწყებული შემოწმების შედეგებს ელიან და არ გამორიცხავენ, რომ ამ შემოწმების შედეგებმა ყოფილი გუბერნატორის ბრალდებათა ნუსხა, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გაამდიდროს.

მანამდე კი ყოფილ გუბერნატორს ბრალდება უკვე აქვს წაყენებული 33 ეპიზოდში, ამათგან, 31 - ქრთამის აღებას, ერთი - ავტომანქანის გამოძალვას და ერთიც საარჩევნო ბიულეტენების განადგურების ორგანიზებას ეხება. მამალაძის მიერ გამოძალული ქრთამის ოდენობა, გამოძიების მონაცემებით, 600 ათას ლარს აღემატება, ხოლო გამოძალული მანქანის ღირებულება 35 000 აშშ დოლარია.

რაც შეეხება მამალაძის ადვოკატის ალექსანდრე ალადაშვილის პოზიციას, იგი აცხადებს, რომ წარდგენილ ბრალდებებში მისი დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულოა და პროკურატურას მის წინააღმდეგ მტკიცებულებები არ გააჩნია. რაც შეეხება ახალდაწყებულ შემოწმებას, ალადაშვილის აზრით:

**"ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მათ მამალაძის წინააღმდეგ მტკიცებულებები არ გააჩნიათ და ახალ მასალებს ეძებენ."**

როგორც ცნობილია, წარდგენილ ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს თავად ლევან მამალაძეც და სჯერა, რომ საკუთარ სიმართლეს დაამტკიცებს, თუმცა კი, ამ დაქადნების განხორციელებას აშკარად ვერ ბედავს.

**მერაბ ჟორდანია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი**

მისი მხრიდან დაფიქსირდა გამოძიებასთან სადავო თანხის დაფარვის პირველი პრეცედენტი. სისხლის სამართლის კოდექსის 160-მუხლის თანახმად, ბრალი ედებოდა 750 ათასამდე ლარის გადასახადის დაფარვაში, თუმცა ამ თანხის სრულად დაფარვის შემდეგ, მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ისე შეწყდა, რომ [illegible] 4 მილიონი დოლარის [illegible] მერაბ ჟორდანიას სახელს უკავშირებდნენ.

**გია ჯოხთაბერიძე, "მაგთიკომის" დამფუძნებელი, ედუარდ შევარდნაძის სიძე**

მიუხედავად იმისა, რომ მას გამოძიება, სულ რაღაც, 700 ათასი ლარის დაფარვას ედავებოდა, ექსპრეზიდენტის სიძემ ციხიდან გათავისუფლების სანაცვლოდ, რეკორდული თანხა - 15 მილიონი დოლარი შეიტანა სახელმწიფო ბიუჯეტში და ამით საქართველოს სამართალდამცველ ორგანოებთან სრული ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო. [illegible]

**შოთა მეფარიძე, თბილისის სატყეო მეურნეობის ყოფილი დირექტორი**

[illegible]

**გივი ჯაფარიძე, საქართველოს სატყეო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე**

[illegible]

**[illegible], ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორი; [illegible], ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორის მოადგილე; [illegible], ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურის გამომძიებელი**

[illegible]

**თემურ სუპატაშვილი, "სადახლოს" ბაზრობის დირექტორი**

[illegible] - 2 მილიონ 118 764 ლარის ბიუჯეტისთვის დამალვა ედავება. სუპატაშვილს პატიმრობის მაქსიმალური ვადა - 9 თვე სექტემბერში ეწურება და, შესაბამისად, მისი საქმე სასამართლოს გადაეცემა.

**ომარ გოგია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე; ნუგზარ გოგია, ომარ გოგიას ძმა და მისი საქმიანი პარტნიორი; ნოდარ ბულბულაშვილი, "თბილსრესის" ყოფილი ფინანსური დირექტორი**

"იმელის" შენობაში ხმაურიანი სპეცოპერაციის შედეგად დაპატიმრებულ ნოდარ ბულბულაშვილსა და, ტყუპისცალი ძმის ნაცვლად, სამართალდამცველთა ხელში ჩავარდნილ ნუგზარ გოგიას გამოძიება "თბილსრესის" ხელმძღვანელობასთან ერთად ჩატარებული ფინანსური მაქინაციის შედეგად დიდი ოდენობით, არც მეტი, არც ნაკლები, 13 მილიონი დოლარის მითვისებას ედავება. იგივე ბრალდება აქვს წაყენებული დღემდე ძებნაში მყოფ ომარ გოგიას, რომელმაც, კულუარული ინფორმაციით, მისი დაკავების დაგეგმვის შესახებ ინფორმაცია წინასწარ მიიღო და მიმალვა მოახერხა.

სხვათა შორის, ძიების პროცესში ნუგზარ გოგია ერთხელ უკვე გაათავისუფლეს პატიმრობიდან, მაგრამ იმის გამო, რომ ძმის საქმეებში იგი საკმაოდ ღრმად გახლდათ ჩახედული, კვლავ დააპატიმრეს.

**ზურაბ ჭანკოტაძე, სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე**

სამოქალაქო ავიაციის ყოფილ თავმჯდომარეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით, თანამდებობის არაერთგზის ბოროტად გამოყენებისათვის აქვს წაყენებული, რაც 3-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიების მტკიცებით, ჭანკოტაძემ უკანონოდ დაადგინა სპეციალური მოსაკრებელი ავიაბიზნესში მოღვაწე კომპანიებისთვის, რითაც მათ რამდენიმე ასეული ათასი დოლარის ზარალი მიაყენა.

**გიორგი გოგოლაძე, სააქციო საზოგადოება "აზოტის" ყოფილი გენერალური დირექტორი**

გიორგი გოგოლაძეს გამოძიება მისი დირექტორად მუშაობის პერიოდში, თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, სახელმწიფოსათვის მიყენებულ ზარალს ედავება. იგი გასულ კვირას დააკავეს და ლონდონში რეგისტრირებულ ფირმასთან ერთად საქართველოს ბიუჯეტისთვის 1 200 000 ლარის დამალვა ბრალდება. თუმცა, ამ ფირმის მიგნება გამოძიებამ დღემდე ვერ შეძლო და ამიტომაც ვარაუდობენ, რომ ის, შესაძლოა, საერთოდაც არ არსებობს.

**დავით ჯიბღაშვილი, "ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის" ყოფილი გენერალური დირექტორი; იოსებ ნატროშვილი, "ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის" გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილე**

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ყოფილი გენერალური დირექტორი და მისი მოადგილე, რომელიც გარკვეულ პერიოდში დირექტორის მოვალეობასაც ასრულებდა, ერთმანეთის მიყოლებით დააკავეს. ჯიბღაშვილს პროკურატურა - 3,7 მლნ ლარით, ნატროშვილს კი 2,5 მილიონი ლარით ბიუჯეტის დაზარალებას ედავება. დღესდღეობით, მას შემდეგ, რაც საბითუმო ბაზრის ახალმა ხელმძღვანელობამ სადავო თანხის ოდენობის გადასახადი ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადა, ორივე მათგანი პატიმრობიდან გათავისუფლებულია. თუმცა, საბითუმო ბაზრის ახლანდელი დირექტორის ალბერტო სოლისის მტკიცებით, თანხა მან არა გამოძიების მიერ წარდგენილი ბრალდებების, არამედ გარკვეული სახის გადასახადის დასაფარად გადაიხადა.

**თენგიზ გოგიჩაშვილი, სააქციო საზოგადოება "ქართული შაქრის" ხელმძღვანელი**

საგადასახადო ამნისტიის დაპირების შემდეგ ბიზნესმენ გოგიჩაშვილისთვის 230 ათას ლარამდე გადასახადის დამალვის პრეტენზიის წაყენება, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც მან, ამნისტიის მოლოდინში, ბიუჯეტისთვის მილიონობით დავალიანების შესახებ წარადგინა განაცხადი, პრეცედენტული ნამდვილად გახლდათ. მეტიც, გოგიჩაშვილს სადავო თანხა სამართალდამცველებმა ისე გადაახდევინეს, რომ იგი ბრალდებულადაც კი არ უცვნიათ. შესაბამისად, იგი ამჟამად ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან თავისუფალია.

**გიორგი კენჭაძე, ყოფილი პარლამენტარი, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი**

გიორგი კენჭაძე პირველი გახლდათ დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერთა შორის, რომელიც ციხის გისოსებში აღმოჩნდა. იგი სამართალდამცველებმა სპეცოპერაციის შედეგად კანცელარიის შენობის ეზოში, სწორედ იმ დროს დააკავეს, როდესაც აჭარელ ბიზნესმენს ქრთამი გამოსძალა და ფულით სავსე ჩანთით ხელში კანცელარიაში შედიოდა. მიუხედავად ბევრი მითქმა-მოთქმისა, დღემდე არ დასახელებულა, სად მიჰქონდა კენჭაძეს გამოძალული 100 ათასი დოლარი.

თემის გაგრძელება A8 გვერდზე

# ახალი წესები საფინანსო ოპერაციებში მონაწილეებისათვის

*საქართველოს ეროვნული ბანკი, მასთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახური და ფინანსთა სამინისტრო, სხვა უწყებებთან ერთად, იმ ზღვრული თანხის განსაზღვრაზე მუშაობს, რომლის გადახურდავებისასაც მოქალაქეს სავალუტო ჯიხურში პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა დასჭირდება.*

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელის, ნიკა გეგუჩაძის ინფორმაციით, სავალუტო ჯიხურებში ფულის გადახურდავებისას პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა 1999 წლიდან სავალდებულოა.

2000 წელს ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო პრეზიდენტ შევარდნაძის 1999 წლის განკარგულების შესრულება, რომელიც ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში ფულის გადახურდავებისას მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენას ითვალისწინებდა.

მაგრამ ეს მოთხოვნა სრულდებოდა მხოლოდ ზოგიერთ კომერციულ ბანკსა და ვალუტის გადამცვლელ პუნქტში. ნაწილი კი ამ მოთხოვნას საერთოდ არ ასრულებდა, რადგან თავად პუნქტები ლიცენზირებული არ იყო.

**"პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით, ფინანსთა სამინისტროს სავალუტო ოპერაციების აღნუსხვისათვის სპეციალური ქვითრების შემუშავება დაევალა, რომელმაც აღნიშნული ფორმა 2000 წლისათვის შეიმუშავა. 2002 წელს სავალუტო ჯიხურების ლიცენზირების წესებში შევიდა ცვლილებები და სავალუტო ოპერაციისას პირადობის მოწმობის წარდგენა სავალდებულო გახდა, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა არ სრულდებოდა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ზღვრული თანხის დადგენაზე, რომლის დროსაც საბუთის წარდგენა საჭირო გახდება,"** - განაცხადა ნიკა გეგუჩაძემ.

ზღვრული თანხა, სავარაუდოდ, 1000 აშშ დოლარის, ან მასზე მეტი თანხით განისაზღვრება და ამ ზღვარს ქვემოთ ფულის გადახურდავებისას მოქალაქისათვის პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა სავალუტო ჯიხურის მეპატრონისათვის საჭირო არ გახდება.

*24 საათი*

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ოთხშაბათს გამართული ვაჭრობის შედეგებით, ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში, წინა სესიასთან შედარებით 0,0100 ნიშნულით გაიზარდა და 1,7650 ლარით განისაზღვრა, - აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საავტომობილო გზების დეპარტამენტი აქციის "საქართველოს გზები-2004" ფარგლებში დღეს მორიგ გასვლას საქართველოს სამხედრო გზის მიმართულებით მოაწყობს. როგორც "ინტერ-პრესს" საავტომობილო გზების დეპარტამენტში განუცხადეს, აქციის მიზანია სამხედრო გზის ავტომაგისტრალზე მსოფლიო ბანკის კრედიტით მიმდინარე აღდგენით-სარეაბილიტაციო სამუშაოების დათვალიერება და არსებული ვითარების განხილვა. აქციის მონაწილეები სონდის ხევზე ახალი ხიდის მშენებლობას მოინახულებენ და მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის (113-ე და 83-ე კილომეტრზე) მეწყერის შედეგად დაზიანებულ გზაზე მიმდინარე სარეკონსტრუქციო-აღდგენით სამუშაოებს დაათვალიერებენ. **ინტერ-პრესი**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**

**განცხადება**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სამუშაოდ იწვევს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების სამმართველოში სამუშაოდ

**მოვალეობები**:

სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების სამმართველოს მოხელე:

- ახორციელებს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას;
- ამზადებს დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დოკუმენტების პროექტებს;
- აწარმოებს განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკას;
- განაზოგადებს განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკას.

**მუშაობის დაწყების მსრუველებმა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უნდა წარმოადგინონ:**

- საქართველოს მოქალაქის მოწმობა;
- ორი ფოტოსურათი;
- ავტობიოგრაფია;
- უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომი და მისი ასლი საგამოცდო წესით დადგენილი ჩაბარებული საგნების დანართითურთ).

სასურველია, წარმოდგენილ იქნას ყველა ის მოწმობა თუ სერთიფიკატი, რომელიც მოპოვებული აქვს მუშაობის დაწყების მსურველს. ამასთან, უპირატესობა მიენიჭებათ იმ პირებს, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. გარდა ზემოაღნიშნულისა, შერჩევისას გათვალისწინებული იქნება სამუშაო სტაჟი, იურისტად მუშაობის გამოცდილება, საპროცესო კანონმდებლობის ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები.

მსურველებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 2004 წლის 30 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე შაბათ-კვირის გარდა, 11 საათიდან 17 საათამდე.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

**მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N80, მეორე სართული, ოთახი 13, ტელეფონი: 95-36-21**

**ს.ს" თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**3 სექტემბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ჭავჭავაძის გამზირის (ნაწილობრივ), თამარაშვილის(ნაწილობრივ), წყნეთის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**3 სექტემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
გლდანის მასივის IV მიკრორაიონის, თიანეთის გზატკეცილის, ვართაგავას, მორეტის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**3 სექტემბერს, 14.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ანტონ კათალიკოსის, ბამბის რიგის, ჩალაუბნის, ჩახრუხაძის, ერეკლე მეორის, ივერიის, ლესელიძის(ნაწილობრივ), ნაკაშიძის, რკინის რიგის, შარდენის, შავთელის, სიონის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# საბაჟო ბიუჯეტს 128 პროცენტით ასრულებს

### თუმცა, იმპორტირებული მობილური ტელეფონების 50 პროცენტი ჯერ კიდევ განუბაჟებელია

*საბაჟო დეპარტამენტში რვა თვის შედეგებს ითვლიან. დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი გოდაბრელიძე შედეგებით კმაყოფილია. ამის მიზეზი კი ბიუჯეტის 128 პროცენტით შესრულება და კონტრაბანდის 80 პროცენტით შემცირებაა. თუმცა, გოდაბრელიძე აღიარებს, რომ გარკვეულ პროდუქციასთან მიმართებაში პრობლემები ჯერ კიდევ არის.*

ეთერ მამულაშვილი

მაგალითად, საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელი აღიარებს, რომ მობილური ტელეფონების თითქმის 50 პროცენტი ქვეყანაში ჯერ კიდევ არალეგალურად შემოდის და განუბაჟებელია. გოდაბრელიძის თქმით, საიუველერო ნაწარმის დიდი ნაწილიც ჩრდილშია მოქცეული, რომლის აღრიცხვასაც მისი უწყება, ტექნიკური პრობლემების გამო, ვერ ახერხებს. **"ოქროულობა შეიძლება კაცმა ჯიბეში ჩაიდოს და აეროპორტით ისე შემოიტანოს, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგოს. ჩვენ იმის ტექნიკური საშუალება არა გვაქვს, რომ ჩანთა დეტალურად დავათვალიეროთ. ამის აპარატურა არ არსებობს,"** - აღნიშნა საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ "24 საათთან" საუბრის დროს.

თუმცა, ეს ყველაფერი წვრილმანია იმ ფონზე, როცა დეპარტამენტი იმ პროდუქციის თითქმის 90-პროცენტიან ლეგალიზაციას ახერხებს, რომლის წყალობითაც, წლების განმავლობაში ბიუჯეტი ივსებოდა და დღესაც ივსება. ეს - ნავთობპროდუქტები და სხვა აქციზური საქონელია, საიდანაც შემოსავლები, გასული წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით, წელს ორჯერ, ზოგიერთ შემთხვევაში, სამჯერ გაიზარდა. წლის დასაწყისში პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დავალება, რომ საბაჟო დეპარტამენტს წლის ბოლომდე ქვეყანაში კონტრაბანდული პროდუქციის წილი 80 პროცენტით შეემცირებინა, წლის მერვე თვეში უკვე შესრულებულია - ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებენ დეპარტამენტში. საბაჟოს თავმჯდომარე ამბობს, რომ 80-პროცენტიან მაჩვენებელს (ნავთობპროდუქტების კუთხით) მისმა უწყებამ კარგა ხანია, გადააჭარბა. შედარებისთვის: თუკი შარშან აგვისტოში დეპარტამენტმა ქვეყანაში 30 ათასი ტონა იმპორტირებული ნავთობპროდუქტების განბაჟება "მოახერხა", წელს ამ მაჩვენებელმა 52 ათას ტონას გადააჭარბა. არანაკლებ შთამბეჭდავია ციფრები, როცა საუბარი იმპორტირებულ თამბაქოს ეხება. გასული წლის შვიდ თვეში განბაჟებული სიგარეტის ღირებულება ამერიკულ დოლარებში 145 ათასზე ოდნავ ნაკლები იყო. წელს კი ეს ციფრი თითქმის 15-ჯერ გაიზარდა - 1 მილიარდ 970 მილიონი დოლარი.



ვახო ბესელიას ფოტო

*გოდაბრელიძე კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კონტრაბანდის ძირითადი წყაროები ქვეყანაში დაკეტილია, ან მკაცრად კონტროლდება.*

გოდაბრელიძე კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კონტრაბანდის ძირითადი წყაროები ქვეყანაში დაკეტილია, ან მკაცრად კონტროლდება. ერგნეთის ბაზრობა, წითელი ხიდი და აჭარა - ეს ის ადგილებია, რომლის წყალობითაც, კონტრაბანდას გზა ხსნილი ჰქონდა. სხვათა შორის, ამ ადგილების დამსახურება იყო, რომ ქვეყნის ბიუჯეტს წელიწადში, საბაჟო დეპარტამენტის მიახლოებითი გათვლებით, 120-150 მილიონი დოლარი აკლდებოდა.

**"ცხინვალის რეგიონის გავლით ქვეყნის ტერიტორიაზე, კონტრაბანდული გზით, თითქმის ყველა სახეობის რუსული წარმოების, კვების პროდუქტები, ნავთობროდუქტები, იაფფასიანი, რუსული სამარკო სიგარეტები და, განსაკუთრებით, ხორბალი და ფქვილი შემოდიოდა,"** - აღნიშნა გოდაბრელიძემ. მისივე თქმით, კონტრაბანდული საქონლით, დედაქალაქის ბაზრებისა და ბაზრობების გარდა, დასავლეთ საქართველოსა და სამცხე-ჯავახეთის თითქმის ყველა რაიონი მარაგდებოდა.

ალბათ, ბუნებრივია, რომ ყოველივე ამან ლოგიკური ასახვა ჰპოვა ბიუჯეტზე. საბაჟო დეპარტამენტი მიმდინარე წლის აგვისტოს გეგმას თითქმის 15-მილიონიანი გადაჭარბებით ასრულებს. ნაცვლად 50.545.000 ლარისა, გოდაბრელიძის უწყებას ბიუჯეტში თითქმის 65 მილიონი შეაქვს. **"გასათვალისწინებელია, რომ ეს გეგმა ახალი, გაზრდილი ბიუჯეტით არის დამტკიცებული,"** - თავს იწონებს საბაჟოს თავკაცი.

# პირველად ევროპაში

### ნოვაცია ქართული ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელში

დიანა ჩაჩუა

*შპს "მაგთიკომი" ახალ სამუშაო სეზონს ახალი მომსახურებების დანერგვით იწყებს. პირველად ევროპაში ქართული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია "Push-to-talk" სერვისს ნერგავს. ამ მომსახურების სახით "მაგთიკომი" მომხმარებლებს ერთი ღილაკის დაჭერით რამდენიმე აბონენტთან ერთდროულად საუბრის საშუალებას მისცემს. მოცემულ პროექტს "მაგთიკომი" "მოტოროლასთან" ერთად განახორციელებს. აღსანიშნავია, რომ ხსენებული სერვისის გარდა ქართული კომპანია მომხმარებელს კიდევ ორ სიახლეს სთავაზობს.*



იურა ლობოდინის ფოტო

*ქართველ მომხმარებელს ევროპაში პირველს ეძლევა საშუალება, "მაგთიკომის" ახალი მომსახურების - ქორო-გუნდური კავშირის წყალობით, ერთდროულად რამდენიმე აბონენტთან ისაუბროს.*

ქართველ მომხმარებელს ევროპაში პირველს ეძლევა საშუალება, "მაგთიკომის" ახალი მომსახურების - ქორო-გუნდური კავშირის წყალობით, ერთდროულად რამდენიმე აბონენტთან ისაუბროს.

გუშინ ახალი სახის მომსახურება ქართული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიაში ნოვაციის ქართველმა და უცხოელმა ავტორებმა მომხმარებლებს და ჟურნალისტებს ერთობლივად წარუდგინეს. "ქორო" ჩვეულებრივი მობილური ტელეფონისა და ე.წ. რაციის გაერთიანებას წარმოადგენს. ეს სისტემა მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ ჩეთს წააგავს, თუმცა განსხვავება ის არის, რომ ამ უკანასკნელის აბონენტები ერთმანეთს ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნიან, აქ კი ტექსტის ნაცვლად ხმოვანი შეტყობინება იგზავნება. **"Push-to-talk"-ის მსგავსი ახალი სერვისები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა განვამტკიცოთ ლიდერობა საქართველოს ბაზარზე. ჩვენ "მოტოროლასთან" ერთად 1997 წლიდან ვმუშაობთ. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაძლიერდა ამ კომპანიის მოწინავე გლობალური გამოცდილებისა და მძლავრი პროგრამული გადაწყვეტის შემოთავაზების უნარის წყალობით, რამაც იგი ამ პროექტის იდეალურ განმახორციელებლად აქცია,"** - განაცხადა "მაგთიკომის" გენერალურმა დირექტორმა დევიდ ლიმ.

აღსანიშნავია, რომ "მაგთიკომი" ევროპაში პირველი აცხადებს *"Push-to-talk"* ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სერვისის - ქოროს წინაკომერციულ სტადიაზე გაშვებას. ამ ეტაპზე ახალი სერვისი არაკომერციულ რეჟიმშია ჩართული. ამასთან, თუ ჩვეულებრივი რაციის მუშაობის ზონა საკმაოდ შეზღუდული არეალით ხასიათდება, "ქოროთი" სარგებლობას მომხმარებელი ყველგან შეძლებს, სადაც "მაგთიკომის" დაფარვის ზონა ვრცელდება, ანუ - საქართველოს დასახლებული ტერიტორიის 95 პროცენტზე.

უნდა აღინიშნოს, რომ "ქოროთი" სარგებლობა მხოლოდ "მოტოროლას" სპეციალური მოდელის აპარატით არის შესაძლებელი, რომელიც საქართველოში არ შემოდის. იმის გათვალისწინებით, რომ "ქორო" ევროპის მასშტაბით საქართველოში პირველად ინერგება, "მოტოროლას" სპეციალური მოდელები შეზღუდული რაოდენობით გამოდის. ამასთან, როგორც "მაგთიკომის" გენერალური დირექტორის მოადგილემ ლევან ბუჩუკურმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, "მოტოროლას" ახალი მოდელის წარმოების თაობაზე სურვილი უკვე გამოთქვეს კომპანია "სამსუნგმა" და "სიმენსმა". მისივე განცხადებით, "ნოკიასაც" გააჩნია მსგავსი მოდელი, თუმცა იგი მცირე დახვეწას მოითხოვს. "მაგთიკომის" მენეჯერის ზურაბ ბესელიას განცხადებით, კომპანია "ქოროს" მომსახურებას კომერციულ რეჟიმში, სავარაუდოდ, ერთ თვეში გაუშვებს.

"მაგთიკომის" გენერალური დირექტორის მოადგილე ლევან ბუჩუკური "ქოროს" მომსახურების ტარიფის მოცულობას ჯერ არ ასახელებს, თუმცა აღნიშნავს, რომ ახალ სერვისში ჩართვის სურვილი რამდენიმე კომპანიამ უკვე გამოთქვა, რაც, მათი აზრით, იმით არის გამოწვეული, რომ ახალი მომსახურება ხელსაყრელია გუნდური კომუნიკაციისათვის.

"ქოროს" მომსახურება გუშინ გამართულ პრეზენტაციაზე ორ სხვა სიახლესთან ერთად წარადგინეს. ეს არის მულტიმედიურ შეტყობინებათა (MMS) და მობილური ინტერნეტით სარგებლობის მომსახურება.

GPRS ტექნოლოგიაზე დაფუძნებული MMS მომსახურება საშუალებას იძლევა, მობილურ ტელეფონზე გაიგზავნოს და მიღებულ იქნას ფოტოსურათები და ფერადი ნახატები, შეიქმნას შეტყობინება ვიდეო ან გრაფიკული გამოსახულებისაგან, და ასევე დაერთოს მუსიკალური ფონი.

აღნიშნული სამი სერვისით სარგებლობა ქართველ მომხმარებელს დღეიდან მულტიმედიურ შეტყობინებათა მომსახურებით შეუძლია დაიწყოს. ჩვეულებრივი მობილური კავშირისგან განსხვავებით, მოცემული მომსახურების ტარიფი არა წუთობრივი, არამედ გადაცემული ინფორმაციის მოცულობის მიხედვით განისაზღვრება. ცნობისათვის, ერთი გადაცემული მეგაბაიტის საფასური ერთ ლარს, ხოლო ერთი ფოტოს გაგზავნა, ზომის გაუთვალისწინებლად, 60 თეთრს შეადგენს. **"ეს არ იქნება ტელეფონების ეკრანზე განლაგებული ლოგოს ტიპი. აბონენტს შეუძლია გაგზავნოს სტანდარტული ფოტოსურათი, რომელიც ტელეფონით გადაიღო ან საკუთარ კომპიუტერში აქვს განთავსებული,"** - აღნიშნა ლევან ბუჩუკურმა.

მისივე ინფორმაციით, საქართველოში ტარიფი ევროპის ქვეყნებთან შედარებით დაბალი იქნება, რადგან ჩვენთან საფასურში ინფორმაციის მიღების ფასი არ დევს, **"მომხმარებელი ხომ მხოლოდ გაგზავნის საფასურს იხდის. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ფასი ფოტოსურათის ზომის მიხედვით არ განისაზღვრება. ხმარებაში შემოდის მობილური ტელეფონების ახალი მოდელები, რომლებიც დიდი ზომის ფოტოების გაგზავნის საშუალებას იძლევა,"** - დაამატა მან.

# ამერიკას ანტიდემპინგური პოლიტიკის გატარების უფლებას არ აძლევენ

თორნიკე შარაშენიძე

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ აშშ-ს საწინააღმდეგოდ კიდევ ერთი დადგენილება გამოიტანა. კერძოდ, ორგანიზაციამ ამერიკის წინააღმდეგ ევროკავშირსა და კიდევ რამდენიმე ქვეყანას სავაჭრო სანქციების შემოღების ნება დართო. ამის მიზეზად აშშ-ში რამდენიმე ხნის წინ შემოღებული ანტიდემპინგური კანონი, ე.წ. ბერდის შესწორება იქცა.

ბერდის შესწორების მიხედვით, იმ ფირმებს, რომლებიც საქონელს აშშ-ში დადგენილ ფასებზე იაფად ყიდიან, სოლიდური ჯარიმის გადახდა ეკისრებათ. ამოღებული თანხა კი (ჯარიმების სახით) იმ ამერიკულ კომპანიებს გადაეცემა, რომლებიც პირველად შეიტანენ საჩივარს დემპინგზე (საქონლის დადგენილზე უფრო დაბალ ფასში გაყიდვაზე).

ბერდის შესწორებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ევროკავშირში, იაპონიაში, კანადაში, ბრაზილიაში, ინდოეთში, მექსიკაში, ჩილესა და სამხრეთ კორეაში. შესწორების ამოქმედების შემდეგ, მნიშვნელოვნად შეიზღუდა ამ ქვეყნებიდან ფოლადის, თევზეულის, სანთლისა და სხვადასხვა საკვების ექსპორტი. ცხადია, საბოლოოდ, ამ ქვეყნებმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას მიმართეს. ორგანიზაციის დადგენილების მიხედვით, მომჩივანებს უფლება აქვთ, აშშ-ს დაადონ სანქციები, რომელთა ღირებულება შეიძლება ბერდის შესწორების შედეგად ამოღებული თანხის 72 პროცენტს აღწევდეს.

ჯერჯერობით, მომჩივანებს - უპირველესად კი, ევროკავშირს - სანქციების შემოღება არ გადაუწყვეტიათ. როგორც ყოველთვის, არის იმედი, რომ აშშ დათმობებზე წავა და კონფრონტაციაზე წასვლა საჭირო არ გახდება. ამის იმედს უკვე არსებული გამოცდილება იძლევა: ევროკავშირმა აშშ-ს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში სხვა საკითხებზეც ასევე უჩივლა. მაგალითად, ძველი კონტინენტი უკმაყოფილო იყო აშშ-ს მიერ თავისი ექსპორტიორებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესებით. ორგანიზაციამ ევროკავშირის მხარე დაიჭირა და საპასუხო სანქციების შემოღების უფლებაც დართო, მაგრამ სანქციების შემოღება არ მომხდარა - აშშ დათმობაზე წავიდა.

ამერიკა ბერდის შესწორებას უსამართლო ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ აქტს უწოდებს და ეს ლოგიკურად ასეცაა - დემპინგის წინააღმდეგ ბრძოლა ხომ მიღებული პრაქტიკაა სახელმწიფო პოლიტიკაში. თუმცა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დადგენილებაშიც არის თავისი ლოგიკა - გლობალიზაციის პირობებში ყველანაირი სავაჭრო ბარიერები უნდა მოისპოს, სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა საერთაშორისო საზოგადოების ინტერესები უნდა დადგეს.

# პირველი ოქტომბრიდან რუსეთში ნავთობის ექსპორტის გადასახადი გაიზრდება

პირველი ოქტომბრიდან რუსეთი ნავთობის ექსპორტის გადასახადს ზრდის. როგორც "რია ნოვოსტი" იტყობინება, რუსეთის ფინანსთა სამინისტროს საბაჟო გადასახადების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრ საკოვიჩმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ ახალი ტარიფი ტონაზე 87,9 დოლარს შეადგენს. მოცემულ ეტაპზე, პირველ აგვისტოს შემოღებული ტარიფი მოქმედებს, ტონაზე 69,9 დოლარის ოდენობით.

ამა წლის პირველი აპრილისთვის ექსპორტის გადასახადი 37,5 დოლარს შეადგენდა. ამგვარად, ნახევარი წლის მანძილზე გადასახადი თითქმის გაორმაგდა.

საექსპორტო გადასახადი ყოველ ორ თვეში სპეციალური ფორმულით გადაიხედება, რომელიც განვლილ ორი თვეში მსოფლიო ნავთობის ფასებზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დგინდება. საკოვიჩის განცხადებით, რუსული ნავთობის საშუალო ფასმა ივლისი-აგვისტოს თვეში ბარელზე 37,388 დოლარი შეადგინა.

რუსეთის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ საექსპორტო გადასახადის საკითხი 3 სექტემბერს გასამართ საგარეო ვაჭრობის დამცავი ზომების კომისიის სხდომაზე იქნება განხილული.

უნდა აღინიშნოს, რომ ოდნავ ადრე, რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრი გერმან გრეფი ბენზინზე ფასების ზრდის შეჩერებისთვის, ნავთობპროდუქტებზე საექსორტო გადასახადის გაზრდის აუცილებლობაზე საუბრობდა.

*24 საათი*

# "ნორდ-ოსეთი"-ს ტრაგედია





პირველი გვერდიდან

### მძევალი მოსწავლეები

1 სექტემბერს მთელ რუსეთში სასწავლო წელი დაიწყო. სწავლა განახლდა როგორც საშუალო, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში. ბესლანის №1 საშუალო სკოლაც სასწავლო წლის დაწყებას ზეიმობდა, როდესაც სკოლის ეზოში კბილებამდე შეიარაღებულ ნიღბიანთა ჯგუფი შეიჭრა და შეკრებილ ბავშვებს, მათ მშობლებსა დ მასწავლებლებს სკოლის შენობაში შესვლა უბრძანა. პირველი მსხვერპლი სწორედ ამ მომენტიდან დაფიქსირდა. ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, დაღუპულია 2 და დაჭრილია 9 ადამიანი. თუმცა, ზოგი მონაცემებით, დაღუპულთა რიცხვი უფრო მეტია. რუსეთის საინფორმაციო სააგენტოები აცხადებენ, რომ სკოლის შენობის შტურმისას ერთ-ერთი თავდამსხმელიც დაიღუპა.




შემდეგ მოვლენები ასეთი შემთხვევებისთვის ჩვეული სცენარით განვითარდა. ტერორისტებმა დანაღმეს სკოლის შენობა, ცოცხალ ფარად გამოიყენეს მოზარდები და შენობის სახურავზე სნაიპერები განალაგეს. ოდნავ მოგვიანებით, ცნობილი ხდება ტერორისტთა მთავარი მოთხოვნა - რუსეთის ჯარმა დატოვოს ჩეჩნეთის ტერიტორია. აღსანიშნავია, რომ სკოლაში გამაგრებულმა ტერორისტებმა უარი განაცხადეს მოლაპარაკებები ეწარმოებინათ ჩრდილოეთ ოსეთის მთავარ მუფთთან, რუსლან ვალგასოვთან და ბესლანის პროკურორ ალან ბატაგოვთან. ისინი ჩრდილოეთ ოსეთისა და ინგუშეთის პრეზიდენტების, ალექსანდრ ძასოხოვისა და მურატ ზიაზიკოვის, და ექიმ ლეონიდ როშალის მისვლას ითხოვენ, - სხვა პარლამენტარებს არ შეხვდებიან. ცნობილი ბავშვთა ექიმი, პროფესორი ლეონიდ როშალი ორი წლის წინათ, "ნორდ-ოსტის" ტრაგედიის დროსაც შუამავლის როლს ასრულებდა - რამდენად ნაყოფიერად, თავად განსაჯეთ.

შუადღისთვის ვრცელდება დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომ დანაღმული სკოლიდან რამდენიმე ათეულმა ბავშვმა გამოღწევა შეძლო...

### გარე სამყაროს მოწყვეტილი ქალაქი

გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, ბესლანი დანარჩენ რესპუბლიკას მოწყვეტილი იყო. გადაკეტილი იყო მთავარი დამაკავშირებელი ავტომაგისტრალი "კავკასია", არ მუშაობდა აეროპორტი. ყველაფერ "სიკეთესთან" ერთად, ქალაქთან სატელეფონო კავშირიც შეწყდა. დილიდან სკოლის შენობასთან შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროებისა და საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ძალები იყვნენ მობილიზებულნი. "რია-ნოვოსტის" ცნობით, ორსართულიანი სკოლა და მისი შემოგარენი ძალოვნებმა ალყაში მოაქციეს. ბლოკირებულ შენობასთან თავი მოიყარეს რეგულარული არმიის ნაწილებმაც.

ბუნებრივია, №1 საშუალო სკოლა საალყო მდგომარეობისთვის მზად არ ყოფილა, შესაბამისად, იქ არ იყო სურსათ-სანოვაგე და მედიკამენტები. ადვილი წარმოსადგენია, რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ სკოლის შენობაში მყოფი ბავშვები.

თვითმხილველთა თქმით, ტერორისტებმა სკოლის სპორტდარბაზი დანაღმეს. სამართალდამცავი ორგანოები აცხადებენ, რომ ტერორისტები, შენობის შტურმის შემთხვევაში, სპორტდარბაზის აფეთქებით იმუქრებიან. "სკოლაში შეჭრილ ტერორისტთა შორის ორი შაჰიდი იმყოფება, რომელთაც წელზე ასაფეთქებელი მოწყობილობა აქვთ დამაგრებული", - აცხადებს ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის პრესმდივანი. ზოგიერთი ინფორმაციით, დანაღმულია სკოლის შემოგარენიც.

### მოლაპარაკებები ტერორისტებთან?

მსგავს შემთხვევებში მოლაპარაკებები მსხვერპლის თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებად გვევლინება ხოლმე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორი წლის წინ დუბროვკაზე, სამდღიანი მოლაპარაკებების მიუხედავად, მძევლები მაინც დაიღუპნენ. ასე რომ, მოლაპარაკებების დაწყების შესახებ საღამოს, უშიშროების სამსახურის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული განცხადებები მძევლებისთვის და მათი ახლობლებისთვის დიდად სანუგეშო არ უნდა ყოფილიყო. აპრიორი ცნობილია, რომ ტერორისტთა მთავარი მოთხოვნის დაკმაყოფილება - ჩეჩნეთიდან ჯარის გამოყვანა - "პუტინის რუსეთს" აზრადაც არ მოუვა.

გუშინ სააგენტო "იტარტასს"-ზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ძალოვნებმა მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ წინასწარ იცოდნენ. თუმცა, სამწუხაროდ, მისი თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. საგანგებო სიტუაციისადმი მზადყოფნას ისიც ადასტურებს, რომ საპირველსექტემბრო ზეიმის დროს სკოლაში, რატომღაც, მილიციელებიც იყვნენ. სწორედ მათთან შეტაკებას მოჰყვა პირველი მსხვერპლი.

### რუსეთს ტერორთან ბრძოლა უჭირს

რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი გუშინ სინანულით აღნიშნავდა: "არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ ტერაქტების სერია არ გაგრძელდება. "აფეთქება სადგურ "რიჟსკაია"-სთან, სამწუხაროდ, პირველი ტერაქტი არ არის, და ვშიშობ, უკანასკნელიც არ იქნება. ფაქტობრივად, ჩვენ ისეთი ომი გამოგვიცხადეს, სადაც მოწინააღმდეგე უხილავია და არც ფრონტის ხაზი არსებობს". ძნელია, ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო...

ოფიციალურმა მოსკოვმა აღიარა, რომ ტერორიზმთან ბრძოლა ძალიან რთულია, თითქმის შეუძლებელიც. ამიტომაც ამბობს, ალბათ, თავდაცვის მინისტრი: "მარტო სამართალდამცავ ორგანოებს ამ საკითხის გადაწყვეტა გაუჭირდებათ, თუმცა ყველა ძალოვანი სტრუქტურა ამ საფრთხესთან ბრძოლაზეა ორიენტირებული". რუსეთმა დახმარებისთვის საერთაშორისო საზოგადოებასაც მიმართა. გუშინ, გვიან ღამით, რუსეთის მოთხოვნით, გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა შედგა. სავარაუდოდ, რუსული მხარე შეეცდება, საბჭოს წევრებმა რუსეთში გახშირებულ ტერაქტებთან დაკავშირებით ერთიანი პოზიცია ჩამოაყალიბონ.

ტერორიზმი 21-ე საუკუნის ყველაზე დიდი საფრთხეა. მასთან ბრძოლა მართლაც უკიდურესად რთულია, მაგრამ ერთი რამაა გასაკვირი: რატომ არ ცდილობენ რუსეთში ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრას? ამის ნაცვლად, სერგეი ივანოვი იმით იმშვიდებს თავს, რომ ტერაქტები თითქმის მთელ მსოფლიოში ხორციელდება. იმის აღიარება კი არ სურს, რომ "ჩეჩნური ტერორიზმის" ცნება თავად რუსულმა უზომო აგრესიამ წარმოშვა.

# "ისლამბულის ბრიგადები" - სახელის რეკლამირება თუ რუსული სპეცსამსახურების საჭყუარა

ნაკლებად ცნობილი ტერორისტული დაჯგუფება "ისლამბულის ბრიგადები", რომელმაც ორი რუსული სამგზავრო თვითმფრინავის აფეთქება და მოსკოვში მეტროს სადგურ "რიჟსკაიასთან" განხორციელებული ტერაქტები თავის თავზე აიღო, სავარაუდოდ, ალ ქაიდასთან დაკავშირებული ჩეჩენი "ბოევიკების" ორგანიზაციაა. ამგვარი მოსაზრება გამოთქვა ტერორიზმის სფეროში ავტორიტეტულმა ექსპერტმა, ლონდონის ისლამური ცენტრის "ალ-მაკრიზის" დირექტორმა ახმედ ას-სუბაიმ. თუმცა, არსებობს რამდენიმე ვერსია იმისა, თუ ვის და რისთვის დასჭირდა აგვისტოს ტერაქტებთან კონტექსტში "ისლამბულის ბრიგადების" ხსენება.

დაჯგუფების სახელწოდებაში ეგვიპტელი ექსტრემისტის სახელი ფიგურირებს, რომელიც ფუნდამენტალისტებს შორის დიდი პატივით სარგებლობს. ახალგაზრდა ოფიცერმა ხალიდ აჰმედ შაუქი ალ-ისლამბულიმ (მეტსახელად "ზაფირი"), თავის ორ თანამოაზრესთან ერთად, 1981 წელს, სამხედრო აღლუმის დროს ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი მოკლა. ეს მკვლელობა საერთაშორისო ორგანიზაცია "ძმები მუსლიმების" მიერ იქნა მომზადებული, ხოლო მიზეზი ისრაელიდან ეგვიპტის ჯარების გამოყვანა გახლდათ. თავის დროზე, "ძმები მუსლიმები" პალესტინური ტერორისტული ორგანიზაციების "ჰამასისა" და "ისლამური ჯიჰადის" შექმნის სათავეებთან იდგა.

ხალიდ ალ-ისლამბული 1982 წლის 15 აპრილს, სხვა შეთქმულებთან ერთად, სიკვდილით დასაჯეს. როგორც ახმედ ას-სუბაი აღნიშნავს, ისლამბული თანამედროვეობის პირველ საყოველთაოდ ცნობილ შაჰიდად (წამებულად) იქცა. პატივისცემის ნიშნად, თეირანში მისი სახელი ერთ-ერთ ქუჩას დაარქვეს და საფოსტო მარკების სერიაც კი გამოუშვეს.

შეთქმულების დაპატიმრებისა და სიკვდილით დასჯის შემდეგ, ეგვიპტეში "საგანგებო მდგომარეობა ნომერ 162"-ის კანონი იქნა შემოღებული. ამ კანონის საფუძველზე, ქვეყანაში ასობით ექსტრემისტი გაასამართლეს და იატაკქვეშა რელიგიური ორგანიზაციები აკრძალეს. ნაწილობრივ ამის გამო, ბოლო შვიდი წლის მანძილზე ეგვიპტეში მასშტაბური ტერაქტები არ განხორციელებულა, მაგრამ ცნობილია, რომ "ძმები მუსლიმები" და სხვა ექსტრემისტული ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას მაინც განაგრძობენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ "ისლამბულისტების" შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაცია არსებობს. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მას ხალიდ ალ-ისლამბულის ძმა, მუჰამედი ხელმძღვანელობს. თუმცა, ტერორისტული ორგანიზაციის კავშირები ავღანეთშიც შეიძლება მოიძებნოს. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, მუჰამედ ალ-ისლამბული 1982 წელს პაკისტანში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ავღანეთის ომისათვის მეომრების გადაბირებას და წვრთნას ახორციელებდა. ასევე ცნობილია, რომ ის ახლოს იცნობს ალ ქაიდას ლიდერს უსამა ბინ ლადენს. ზოგიერთი ცნობით, ისლამბული 2001 წელს ჩეჩნეთშიც იმყოფებოდა.

სხვა ექსპერტების აზრით, "ისლამბულის ბრიგადების" თავკაცი ალ ქაიდას ერთ-ერთი სულიერი მოძღვარი - შეიხი ტახირ ალ-მურშიდი გახლავთ. ერთ-ერთ ისლამისტურ ინტერნეტ-საიტზე აღმოჩენილია "ისლამბულის ბრიგადების" მებრძოლების ფოტო, რომლებიც ვითომდა ლიბანში "აინ ელ-ხილვას" ბანაკებში გადიან წვრთნებს, მაგრამ ამის უტყუარი მტკიცებულება არ მოიპოვება.

თუმცა, როგორც თავად ტერორიზმის ეგვიპტელი ექსპერტები აღნიშნავენ, ეს ჯერ კიდევ არ ადასტურებს იმას, რომ დაჯგუფებაში ეგვიპტელები და არაბები შედიან. რამდენადაც ცნობილია, მცირე ტერორისტული ორგანიზაციები, იქნება ეს ჩეჩნური, ბალკანური თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების დაჯგუფებები, ხშირად ცნობილი შაჰიდის სახელს იყენებენ. ასევე ცნობილია ისიც, რომ ისინი ორგანიზაციის სახელწოდებას პერიოდულად ცვლიან, რათა მათზე მონადირე სპეცსამსახურებს გზა-კვალი აუბნიონ.

2004 წელს ამ დაჯგუფების სახელწოდებამ 31 ივლისს გაიჟღერა, როდესაც პაკისტანის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ შაუქათ აზიზზე თავდასხმა განხორციელდა. აზიზის კორტეჟზე იერიში კამიკაძე ტერორისტმა მიიტანა, რომლის შედეგადაც რამდენიმე კაცი დაიღუპა და ათობით ადამიანი დაიჭრა. თავად მინისტრი უვნებელი გადარჩა.

ებრაული წყაროების თანახმად, 2001 წელს მუჰამედ ალ-ისლამბული აიმან აზ-ზავაჰირისთან ერთად "ეგვიპტელი ავღანელების" დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა, რომელიც სამხრეთ ავღანეთის პროვინცია ნაგარხარში, ქ. ჯალალაბადის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო დისლოცირებული. თუმცა, ავღანეთის დაბომბვის შემდეგ, ისლამბულიმ სასწრაფოდ დატოვა ქვეყნის ტერიტორია. ზოგიერთი უცხოური გაზეთის თანახმად, მუჰამედი ჩეჩნეთში გადაბარგდა, სადაც 2002 წელს ჩეჩენი სეპარატისტების სამხედრო ფორმირებების წევრი იყო.

რაც შეეხება 2004 წელს რუსეთში განხორციელებულ ტერაქტებს, არსებობს პირველი ვერსია, რომ "ისლამბულის ბრიგადები" ტრაგედიაზე სახელის რეკლამირებას ეწევიან. ზუსტად იგივე მოხდა 2001 წლის 11 სექტემბერს, როდესაც მანამდე უცნობი ტერორისტული ორგანიზაციის - "იაპონიის წითელი არმიის" სახელი ამოტივტივდა. ტელეკომპანია ალ-ჯაზირას მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელი, აკრამ ხაზამი მიიჩნევს, რომ ისლამბულის ბრიგადები რუსეთის ტერაქტებთან არავითარ კავშირში არ არიან. "მე ამ ინფორმაციის არ მჯერა. ორგანიზაცია ბოლოს 25 წლის წინ გამოჩნდა, როდესაც ანვარ სადათი მოკლეს. მას შემდეგ მათზე არაფერია ცნობილი", - აცხადებს ხაზამი.

მეორე ვერსიის თანახმად, "გმირული" დასახელება, უბრალოდ, ალ ქაიდასთან დაკავშირებული ჩეჩენი ბოევიკების ორგანიზაციის მიერ იქნა გამოყენებული. არის მოსაზრება, რომ ეს ჩეჩნური ორგანიზაცია "თავისუფალი იჩქერიის" ლიდერების, მათ შორის, მასხადოვისა და ბასაევის მიერ იმართება. თუმცა, არსებობს მესამე ვერსიაც, რომ "ისლამბულის ბრიგადების" სახელს რუსული სპეცსამსახურები იყენებენ, რათა რუსეთში საერთაშორისო ტერორიზმის გაჩენის თაობაზე მსოფლიოს ყურადღება მიაპყრონ.

*24 საათი*

### გადამწვარი მეჩეთი - დახოცილი ნეპალელების სანაცვლოდ

ერაყში ტერორისტთა მიერ გატაცებული 12 ნეპალელის სიკვდილით დასჯის ამსახველმა კადრებმა, რომელიც ერთ-ერთ ისლამურ ინტერნეტ-გვერდზე გავრცელდა, თავისი სისასტიკით მსოფლიო შეძრა. ბუნებრივია, თანამემამულეთა სიკვდილმა ნეპალში ადეკვატური რეაქცია გამოიწვია და შურისძიების მიზნით, მათ ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში არსებული მეჩეთი - ჯამა გადაწვეს. გამძვინვარებულმა ნეპალელებმა იერიში სამთავრობო შენობასა და ახლო აღმოსავლეთის ორი ავიაკომპანიის ოფისებზეც მიიტანეს. მასობრივმა უწესრიგობამ ხელისუფლებას კატმანდუში კომენდანტის საათის შემოღება აიძულა.

"ჩვენ შურისძიება გვინდა", - ისმოდა აქციის მონაწილეთა მხრიდან მეჩეთ ჯამაზე შეტევისას.

ნეპალის ხელისუფლებას ბევრი დაუდევრობაში ადანაშაულებს, რადგან, მათი აზრით, მძევალთა გასათავისუფლებლად ყველა ზომა არ იქნა მიღებული. დახოცილი ნეპალელები ერაყში მზარეულებად და დამლაგებლებად მუშაობდნენ, რომლებიც ერაყის ისლამისტურმა დაჯგუფებამ ათიოდე დღის წინ გაიტაცა, შემდეგ კი სასტიკად გაუსწორდა.

ისლამურ ვებ-გვერდებზე გავრცელებული ინფორმაციით, 12 ნეპალელი მძევალი სიკვდილით ისლამის წინააღმდეგ ამერიკელთათვის აღმოჩენილი დახმარების გამო დაისაჯა. აქვე, ცნობისათვის: ნეპალი ერაყში დისლოცირებულ კოალიციურ ძალებში არ შედის.

Botschaft der Bundesrepublik
Deutschland in Georgien

Die Botschaft der Bundesrepublik Deutschland

sucht baldmöglichst
einen Hausmeister

Die Tätigkeit umfasst folgende Aufgaben:
- Wartung u. Reparatur der technischen Anlagen (insbesondere Heizungs-, Sanitär- u. Elektroinstallationen)
- Materialbeschaffung

Bewerberinnen bzw. Bewerber sollten über folgende Qualifikationen und Erfahrungen verfügen:
- handwerkliche Berufserfahrung
- Führerschein
gute Deutschkenntnisse

Bitte richten Sie Ihre Bewerbungen mit folgenden Unterlagen
- Lebenslauf
- Zeugnissen
- Empfehlungsschreiben
- Nachweis über Deutschkenntnisse

bis zum 15.09.2004 an
die Botschaft der Bundesrepublik Deutschland
z.Hdn. Frau Klemke
Straße Telawi Str. 20, Sheraton Metechi Palace Hotel
Ort 0103 Tiflis

გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო საქართველოში

სასწრაფოდ ეძებს

სახლის მნეს

მასზე დაკისრებულ მოვალეობებში შედის:
- ტექნიკური მოწყობილობა-დანადგარების ტექმომსახურება და შეკეთება (მეტადრე გათბობის სისტემის, სანიტარული კვანძებისა და ელექტროგაყვანილობების)
- მასალების შეძენა
კონკურსში მონაწილე პირებს უნდა ჰქონდეთ
შემდეგი კვალიფიკაცია და გამოცდილება:
ხელოსნად მუშაობის პროფესიული გამოცდილება
- ავტომანქანის მართვის მოწმობა
- გერმანული ენის საფუძვლიანი ცოდნა

გთხოვთ თქვენი განაცხადები შემდეგ საბუთებთან ერთად:
- ავტობიოგრაფია
- ატესტატი/დიპლომი/სერთიფიკატი
- სარეკომენდაციო წერილი
- გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი ცნობა

15.09.2004-მდე შემოიტანოთ
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოში
და ჩააბაროთ პირადად ქალბატონ კლემკეს
თელავის ქ. 20, სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი
0103 თბილისი

ქალაქ თბილისის უსინათლო ბავშვთა რესპუბლიკური საშუალო სპეციალური სკოლა-ინტერნატი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას მოსამზადებელ კლასში, 2004-2005 სასწავლო წლისათვის

**სწავლება ქართულ ენაზეა. სწავლების პერიოდში მოსწავლეები სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებიან.**

**საშუალო განათლების მიღებასთან ერთად მოსწავლეები ეუფლებიან ჯაგრისების დამზადებისა და მასაჟისტის პროფესიას, რის შემდეგაც ენიჭებათ მესამე და მეოთხე თანრიგის ოსტატისა და მედიცინის დის კვალიფიკაცია, ჯანმრთელობის დაწესებულებებში მუშაობის უფლებით.**

**დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ: თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, გუთნის ქუჩა №6, (მეტრო ავლაბარსა და სასტუმრო "მეტეხს" შორის). ტელეფონები: 77 14 83, 77 32 33, 77 32 10.**

Save the Children
USA

## კომპოზიტორთა კონკურსი
### ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტი

"Save the Children" (ფედერაცია - გადავარჩინოთ ბავშვები) აცხადებს კომპოზიტორთა კონკურსს მუსიკალური ქუდის შესაქმნელად. მუსიკალური ქუდი შეიქმნება ბავშვთა სატელევიზიო თოჯინური დადგმებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია 6-9 წლის ბავშვებისათვის. პროექტის რეგიონალური ბუნებიდან გამომდინარე, შერჩეული მუსიკალური ქუდი გამოყენებული იქნება სატელევიზიო დადგმებში საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ მუსიკალური ქუდის ნიმუში, 1 წუთის ხანგრძლივობის, ფორტეპიანოთი შესრულებული. მუსიკალური ქუდის ნიმუშის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია მელოდიურობა, ჰარმონიულობა და რიტმი, რომელიც უნდა იყოს მიმზიდველი 6-9 წლის ასაკის ბავშვებისათვის. კონკურსში გამარჯვებულისათვის გათვალისწინებულია ჰონორარი. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში კომპოზიტორს მოეთხოვება წარდგენილი მელოდიის დასრულებულ კომპოზიციად, მუსიკალურ ქუდად შექმნა. შერჩეული მელოდია გამოყენებული იქნება სატელევიზიო თოჯინურ დადგმებში და გახდება Save the Children-ის საკუთრება.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ მელოდიის ნიმუშები აუდიოკასეტაზე ან კომპაქტ დისკზე. მიუთითეთ ავტორის სახელი და გვარი, საკონტაქტო ნომრები და ის მთავარი ინსტრუმენტი, რომელზეც სრულდება მელოდია.

ნიმუშების წარდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 15 სექტემბერი.

მის: "Save the Children", თბილისი, ბარათაშვილის ქ. 8, III სართ.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტის კოორდინატორს მარინა Uუშვერიძეს, სატელეფონო ზარები მიიღება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 15სთ-იდან 17სთ-მდე,

**ტელ: 99 64 00; 99 54 54; 93 11 08; 99 65 48.**
**ელ-ფოსტა: marina@save.org.ge**

*შავე ტჰე ჩჰილდრენ ახორციელებს ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. პროექტის მიზანია ტოლერანტობის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთთანადგომის განვითარება.*



# "კოკა-კოლა" ცემში

*"სამაჩაბლოში შექმნილი მდგომარეობის გამო ბორჯომის რაიონში შემოყვანილია 903 დევნილი, აქედან 89 ბავშვი მოთავსებულია შპს "ცემში". გთხოვთ, აიღოთ შეფობა აღნიშნულ ობიექტზე მოთავსებულ დევნილებზე და ჩაურიცხოთ კვების თანხა ერთ ბავშვზე დღეში ხუთი ლარი - სულ ერთი თვის 13 800 ლარი", - იუწყება "კოკა-კოლას" პრეზიდენტის თემურ ჭყონიას სახელზე მიმართული ბორჯომის რაიონის გამგებლის წერილი.*

დალი კუპრავა

2004 წლის მაისში კონსორციუმ "ქართული ბიზნესის ლობმა" ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევების შედეგად, სახალხო ვერსიითა და ექსპერტული ვერსიით კომპანია "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" ყველაზე პოპულარულ კომპანიად დაასახელა, ხოლო კომპანიის გენერალური მენეჯერი თემურ ჭყონია - ყველაზე პოპულარულ მენეჯერად.

რა თქმა უნდა, ბიზნესის სწორი პოლიტიკის შემთხვევაში მუშაობს პრინციპი: "თუ იცი, საით მიდიხარ, მაშინ ყველა გზა სასურველ ადგილამდე მიგიყვანს".

კაცობრიობას ფილანტროპიის გარეშე არ უცხოვრია, მამონტის სუკების გაყოფით დაწყებული და გაცემის თანამედროვე ფორმით - კორპორაციული ფილანტროპიით დამთავრებული. ნებისმიერი კულტურა ნებისმიერ ეპოქაში თავისი საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი განვითარების შესაბამის ფილანტროპიულ მოდელს ქმნის.

გაცემის უძველესი ფორმა ქველმოქმედებაა, რომელსაც რელიგიური საფუძველი აქვს. მეცენატობა უპირატესად საზოგადოებრივს უკავშირდება, ხოლო მოხალისეობა მჭიდროდ უკავშირდება ალტრუიზმისა და უანგარობის ცნებებს. ეს ყველაფერი ერთად ფილანტროპიაა.

ქართულმა აზროვნებამ ფილანტროპიის ეთიკური მოდელი მემკვიდრეობით მიიღო. თავდაპირველად ქართულ ქველმოქმედებას სასულიერო მიმართულება ჰქონდა, ხოლო მოგვიანებით, მეთერთმეტე საუკუნიდან, საეკლესიო და საერო ქველმოქმედება სახელმწიფო პოლიტიკაში აისახა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნიდან გარკვეულ სისტემად, ინსტიტუტად ჩამოყალიბდა და მოიცავს როგორც კერძო ქველმოქმედებას, ისე კორპორაციულ ფილანტროპიას.

"წინა წლებში მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი ინდივიდუალურად ვეწეოდით ქველმოქმედებას. ერთმა ჩვენგანმა ამ მიზნით ბინაც გაყიდა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მივხვდით, რომ ქველმოქმედება პოზიტიური შედეგის გარეშე ამაო გარჯაა", - იხსენებს სოფო ჭყონია, "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. ერთ-ერთი ბავშვთა სახლისთვის სარეცხი მანქანები უყიდიათ. მანქანები არ დაუმონტაჟებიათ. ბავშვთა სახლის ხელმძღვანელმა კი ქველმოქმედების ინტერესი მხოლოდ გულწრფელი პასუხით დააკმაყოფილა და კითხვაზე, რატომ რეცხავენ ისევ ცივ წყალში და ისევ ხელით, უპასუხა, რომ ვალი ჰქონდა და სარეცხი მანქანები გაყიდა(!)

რა გინდა, რომ ქნა?!

სამაჩაბლოდან ჩამოყვანილი 105 მოზარდის ერთი თვის დასასვენებელი თანხა ახალციხისა და ბორჯომის რაიონების გამგებლების თხოვნის საფუძველზე "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ" შესაბამისი ობიექტების ანგარიშზე გადარიცხა - სულ 17 960 ლარი.

ცემის დასასვენებელ სახლში სამაჩაბლოს "ცეცხლოვანი" რკალის, დიდი ლიახვის ხეობის სოფლებიდან ჩამოსული 89 ბავშვი ისვენებს. 20 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე მათი კვება უზრუნველყოფილია. 20 სექტემბერს კი სწავლა დაიწყება და ცხოვრებაც გაგრძელდება.

ორი დღის წინ "კოკა-კოლას" რამდენიმე თანამშრომელთან ერთად ცემში გავემგზავრე. კომპანიის ემბლემიან მანქანას ბავშვებისთვის საჩუქრები მიჰქონდა: რა თქმა უნდა, ქუდები, რა თქმა უნდა, "კოკა-კოლა" და კიდევ ტელევიზორი. "დირექტორს ველაპარაკეთ და, კარგი იქნება, თუ ბავშვებისთვის ტელევიზორს შეიძენთო, არ ჰქონიათ", - მიხსნის სოფო ჭყონია.

დასასვენებელი სახლი მყუდრო, ლამაზ ადგილასაა. ტერიტორიაზე ბავშვები მოძრაობენ, მაგრამ საბავშვო ადგილებისთვის დამახასიათებელი ჟივილ-ხივილი არ ისმის. საჩუქრების მანქანის გახსნას არ ველოდები და ბავშვებთან ვსაუბრობ.

"არ მინდა ასეთი დასვენება, ვნერვიულობ, იქ რა ხდება, დედა და მამა როგორ არიან. აქ კი კარგად გვივლიან, მაგრამ სახლში მინდა. ამბებსაც ვერ ვიგებთ", - მეუბნება რუსუდან მეტრეველი, რომელსაც, ისე როგორც დანარჩენ მოზარდებს, სევდიანი თვალები აქვს. ვითომ გავაგებინებ, რომ მათი მშობლებისთვის ასე სჯობს, როცა შვილები სამშვიდობოს ეგულებათ? ალბათ, ვერა, რადგან მათ დასვენების უფრო ნაღდი კრიტერიუმები აქვთ.

მეათეკლასელი გუგა: "სახლში მინდა, მეტი არაფერი. სადილად ხორციც გვაქვს, აბაზანაც არის, მაგრამ სახლში მინდა. ტელევიზორი რომ იყოს, კარგი იქნებოდა, ამბებს მაინც გავიგებდით", - უსაზღვრო ნდობას უცხადებენ ბავშვები საქართველოს ტელეკომპანიებს. მეც გონება მინათდება, იქნებ განწყობა გამოვაკეთო და დღის "ნიუსს" ვაწვდი: "კოკა-კოლამ" ტელევიზორი ჩამოგიტანათ-მეთქი და თემას ვცვლი.

ახლა უკვე მე ვდგები ცუდ გუნებაზე. ბავშვი ვერ ვნახე, რომელმაც იცოდა, რომ მათი დასვენებისთვის კომპანია "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ" იზრუნა. რა უჭირს მერე, ბევრი მეტყვის, მათთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გადაიხდის, ქვაზე დადებული სიკეთის შესახებ არაფერი გაგიგონიაო?! მაგრამ სხვა აზრიც არსებობს: რატომ არ უნდა იცოდეს ერთმა ადამიანმა, რომ მისი კარგად ყოფნა მეორე ადამიანისთვის უმნიშვნელო არ არის. ეს ხომ ბევრად მნიშვნელოვანია სწორედ პირველისთვის, რომ თავი მარტოდ და მიუსაფრად არ იგრძნოს, იმედიც ჰქონდეს და მადლიერების განცდაც. მშობლები შვილებს იმიტომ ხომ არ უვლიან, რომ დაგვიფასებენო და შვილებსაც დედ-მამა მხოლოდ იმიტომ ხომ არ უყვართ, რომ ისინი აჭმევენ?!

უანგარობის, ზრუნვისა და სიკეთის ცოცხალი მაგალითებით ადამიანები რომ ერთმანეთს აძლიერებენ, არც ეს არის აღმოჩენა.

აი, რატომ დამწყდა გული, როცა ბავშვებმა არ იცოდნენ, რომ "კოკა-კოლა" მხოლოდ სასმელი, ქუდი, მაისურა და "ზღაპრულად" მდიდარი თემურ ჭყონია არ არის და ვიდრე ქუდები არ დაიხურეს და "კოკა-კოლის" ბოთლები ხელში არ დააჭერინეს, მათთვის კეთილი ადამიანები ლიტერატურის პერსონაჟებად უნდა დარჩენილიყვნენ.

გული დამწყდა, რომ არსებობენ ისეთი უფროსი ადამიანები: დირექტორები, აღმზრდელები, რომელთა აღმზრდელობით პროგრამაში სიკეთეზე მხოლოდ ზღაპრების წაკითხვა შედის. მაგრამ "არასაპროგრამო" მოქმედება, ეტყობა, ჩვეულებრივ ადამიანურ დამოკიდებულებას საჭიროებს და სხვების ნაქნარი სიკეთის გახმაურებაც რომ ქველმოქმედებაა, მათ ისიც არ იციან.

პროფესიულმა ჩვევებმა არ მიღალატა და, კომპანიის პიარმენეჯერის მშვიდობიანი განწყობის მიუხედავად (მთავარია, რომ ბავშვები მშივრები არ არიანო), დასასვენებელი სახლის ლიდერს, ადრე პიონერხელმძღვანელს რომ ეძახდნენ, მოვკითხე: შვიდი გასაბერი ბურთი რომ გაქვთ (ბავშვების ინფორმაციით!) და ბავშვებს ერთადერთი ბურთი რომ დარჩათ, რას ელოდებით, გაუბერეთ-მეთქი. ვერ შევთანხმდით, რადგან პიონერხელმძღვანელმა ყველაფერი ბურთებს დააბრალა: იყო გაბერილი. ორი გასკდა და ერთი დაიკარგა. მე კი ყველა მაწერიაო... მე პიონერხელმძღვანელებისთვის ძნელად გასაგები აზრი მქონდა, რადგან ვამტკიცებდი, რომ ბავშვს ბურთი სათამაშოდ უნდა და ბურთის ცხოვრების არსიც თამაშშია, დაჩუტული ბურთი უფუნქციოა-მეთქი. "კოკა-კოლას" თანამშრომლებიც წამომეშველნენ, ჩვენ ბურთებსაც გამოვგზავნითო, მაგრამ პიონერხელმძღვანელმა ყურად არ იღო: "ახლა კიდევ ზედმეტი ბურთები დამაწერეთ, მერე ხაზი ვინ ჩაატაროსო", - წავიკითხე მისი ფიქრები.

"ალბათ, მოსაფიქრებელია ქველმოქმედების ისეთი სტრუქტურა, ისეთი მექანიზმი, რომელიც ამ საქმიანობის პოზიტივს არ შეამცირებს. კონკრეტულ შემთხვევაში, იქნებ ჯობდეს საკუთარი დასასვენებელი ბანაკის შექმნა, რომ საქველმოქმედო საქმიანობაში მონიტორინგიც ჩაერთოს", - უკანა გზაზე საუბრისას ხმამაღლა ფიქრობდა სოფო ჭყონია.

P.S. ნებისმიერი კულტურა ნებისმიერ ეპოქაში თავისი საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი განვითარების შესაბამის ფილანტროპიულ მოდელს ხომ ქმნის, მაგრამ ამ წერილს პრეტენზია არა აქვს, რომ ქართული სოციალური და ეთიკური აზროვნების დღევანდელი საფეხური გამოიკვლიოს.

ჩვენ 2003 წლის ყველაზე პოპულარული და წარმატებული კომპანიის ფილანტროპიული საქმიანობის მხოლოდ ერთ რიგით მაგალითზე გიამბეთ.












მოკლედ

### ფულის გამოძალვაში ეჭვმიტანილებზე ძებნაა გამოცხადებული

ორი ძებნილის ვინაობა, რომლებიც ფულის გამოძალვაში არიან ეჭვმიტანილები, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა დაადგინეს. იანა ხუციშვილსა და თემურ ზურიკაშვილს სამართალდამცველები რამდენიმე თვის წინ ჩადენილი გაუხმაურებელი დანაშაულისთვის ეძებენ. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, იანა ხუციშვილმა და თეიმურაზ ზურიკაშვილმა 2003 წლის დეკემბერში, თბილისში, ხომლელის ქუჩიდან "ოპელის" მარკის ავტომანქანით მოტყუებით წაიყვანეს ნუკრი აფციაური. იანა ხუციშვილმა, თემურ ზურიკაშვილმა და მათთან ერთად მყოფებმა, რომელთა ვინაობის დადგენა სამართალდამცველებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს, ნუკრი აფციაური ვარკეთილის დასახლებაში მდებარე სასაფლაოზე მიიყვანეს და ფიზიკური განადგურების მუქარით, მისგან 500 დოლარი მოითხოვეს. მოგვიანებით, გამტაცებლებმა ნუკრი აფციაური სასაფლაოდან კასპის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სარდაფში გადაიყვანეს და გამოსასყიდის სახით 1400 დოლარის მიღების შემდეგ გაათავისუფლეს.

რაც მთავარია, დანაშაულებრივი ჯგუფის ორი წევრის ვინაობა უკვე დადგენილია, იმედი გვაქვს, რომ დანაშაულის ჩადენისას მათთან ერთად მყოფთა ვინაობასაც ჩქარა დავადგენთ, ამჟამად ტარდება ღონისძიებები ზურიკაშვილისა და ხუციშვილის ადგილსამყოფელის დადგენა-დაკავების მიზნით. მოკვლეული მასალები კი გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა", - აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

*24 საათი*

### გალში აფხაზებს მილიციელთა დამატებითი ჯგუფები შეჰყავთ

სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დანიშნული ე. წ. საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასა და თხილის სეზონთან დაკავშირებით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში - გალის რაიონში თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მილიციის დამატებითი ძალებია შეყვანილი.

როგორც კონფლიქტის ზონაში ქართველმა სამხედრო დამკვირვებელმა ვალერი ჯაფარიძემ განაცხადა, აფხაზებმა გალის რაიონში დამატებით მილიციელთა 60-კაციანი ჯგუფი შეიყვანეს. ადგილზე კი მობილიზებულია თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამართალდამცავი უწყების 160-მდე წარმომადგენელი.

კვლავ გაურკვეველია ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრების ბედიც. ჯაფარიძის განცხადებით, ქართულ მხარეს რაიმე შეტყობინება აფხაზების ჭუბურხინჯში გამოცხადების ან მოსალოდნელი გამოუცხადებლობის შესახებ არ მიუღია.

შეგახსენებთ, რომ ჭუბურხინჯის შეხვედრა ერთი თვეა არ ჩატარებულა. შეხვედრების ჩაშლა აფხაზური მხარის გამოუცხადებლობას უკავშირდება.

*მედია-ნიუსი*

### სპეცოპერაცია ზუგდიდში

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციისა და ზუგდიდის პოლიციის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა გუშინ, გამთენიისას, ზუგდიდის რაიონში ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია ჩაატარეს. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულია კრიმინალური სამყაროსა და ყოფილი პარტიზანული დაჯგუფების ცხრა წევრი.

"კრიმინალური დაჯგუფების წევრებისგან ამოღებულია სამი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდებით, "ტტ"-ს სისტემის ორი პისტოლეტი, "ბრაუნინგის" სისტემის ერთი პისტოლეტი, ხუთი ხელყუმბარა, ოთხი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი კაფსულდეტონატორით", - აცხადებენ სამართალდამცველები.

დაკავებულთა შორის არიან ყოფილი პარტიზანები - სლავა ბიგვავა, ემზარ ფონიავა, გენადი ქულავა და გია მეფორია.

*24 საათი*

## საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის პასპორტების მოქმედების ვადა გაუვიდა

ვინც დღემდე საბჭოთა კავშირის ძველი პასპორტით სარგებლობდა, მისი გადაგდება მოუწევს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო, სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს ინფორმაციით, გუშინ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის პასპორტებს მოქმედების ვადა გაუვიდა.




*საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს უფროსის განმარტებით, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ხუთი დღის ვადაში გაიცემა.*

იური ლობოდინის ფოტო

როგორც გუშინდელ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე საპასპორტო ბიუროს ხელმძღვანელმა გურამ ახალაიამ განაცხადა, საბჭოთა პასპორტებით პენსიები აღარ გაიცემა, ამიტომ ბიურო პენსიონერებს პირადობის დამადასტურებელი მოწმობების აღების გამარტივებულ წესს სთავაზობს.

ყველა საპასპორტო განყოფილება პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს კანონის თანახმად, მაქსიმუმ, ხუთი დღის ვადაში გასცემს. ვინც წარმოადგენს საბჭოთა კავშირის პასპორტს, ორ ფოტოსურათს და საბაჟო გადასახადის ქვითარს, 2-3 დღის ვადაში საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ მოწმობას აიღებს.

**"პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასაღებად, ერთი თვის განმავლობაში ყველა საპასპორტო განყოფილება გაძლიერებულ რეჟიმში იმუშავებს, ხოლო ბაჟის გადახდის ქვითრის აღება 2 ლარად და 50 თეთრად არის შესაძლებელი,"** - აცხადებს გურამ ახალაია.

საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს უფროსის განმარტებით, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ხუთი დღის ვადაში გაიცემა, რისთვისაც მოქალაქეებმა უნდა წარმოადგინონ დაბადების მოწმობა, ორი ფოტოსურათი და ბაჟის გადახდის ქვითარი. თანხის გადახდაზე შეღავათები დაწესებულია ომის ინვალიდებსა და მათთან გათანაბრებულ პირებზე. პირადობის დამადასტურებელ მოწმობას უფასოდ მიიღებენ.

2004 წლის 15 ნოემბრიდან "სახელმწიფო რეესტრის შესახებ" კანონის თანახმად, პასპორტებს იუსტიციის სამინისტრო გასცემს, ხოლო რაც შეეხება უკვე გაცემულ პირადობის დამადასტურებელ მოწმობებსა და პასპორტებს, ყვლა დოკუმენტს ექნება ძალა თავისი მოქმედების ვადის მიხედვით. 15 ნოემბრიდან კი, პასპორტები, ნაცვლად ხუთი წლის ვადისა, 10 წლის ვადით გაიცემა.

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის აღების პროცედურებთან დაკავშირებით, მოქალაქეებისთვის 24 საათის განმავლობაში იმუშავებს ცხელი ხაზი: ტელ: 99 03 10.

*24 საათი*

## მრიცხველების ქურდები ჯერ მხოლოდ დაადგინეს

*გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში "თელასის" გენერალური დირექტორი დანგირას მიკოლაიუნასი მხოლოდ იმიტომ მივიდა, რომ ქართველ სამართალდამცველებთან ერთად ჟურნალისტებისთვის დენის მრიცხველების ქურდების გამოვლენის შესახებ ეცნობებინა.*




*სავარაუდოდ, მრიცხველების ქურდებს შორის "თელასის" ყოფილი თანამშრომლებიც არიან.*

იური ლობოდინის ფოტო

"თელასის" გენერალურ დირექტორთა სტუმრობა შინაგან საქმეთა სამინისტროში სიახლე სულაც არ გახლავთ. მაგალითად, ამ უწყების ერთ-ერთი ყოფილი გენერალური დირექტორი იგნასიო ირიბარენი ხშირად სტუმრობდა ხოლმე ერთ-ერთ ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს - კობა ნარჩემაშვილს. თუმცა, მაშინ "თელასის" ხელმძღვანელობის ვიზიტების მიზეზი პოლიციის მიმართ დაგროვილი პრეტენზიები, კერძოდ, "თელასის" თანამშრომლებისა და მათი ოფისების მიმართ ჩადენილ დანაშაულთა დაუყოვნებლივ გახსნის მოთხოვნა გახლდათ.

გუშინ კი, დანგირას მიკოლაიუნასის შინაგან საქმეთა სამინისტროში მისვლა იმით იყო განპირობებული, რომ სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გამოავლინეს ჯგუფი, რომლის წევრები "ეი-ი-ეს თელასის" კუთვნილ მრიცხველებს იპარავენ და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში რეალიზაციას უკეთებენ.

როგორც სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსმა გიორგი კაჭარავამ და "თელასის" გენერალურმა დირექტორმა დანგირას მიკოლაიუნასმა გუშინ ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, მრიცხველების მოპარვასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე ივნისის თვეში აღიძრა. სამართალდამცველთა მიერ უკვე 200-მდე მოპარული მრიცხველი იქნა ამოღებული და მათი უმრავლესობა "თელასს" გადაეცა. როგორც ირკვევა, თითო მოპარული მრიცხველი დაახლოებით 20 ლარად იყიდებოდა.

"თელასის" მრიცხველთა მოპარვაში ეჭვმიტანილთა ჯგუფის წევრები ჯერჯერობით დაკავებულები არ არიან, თუმცა, როგორც სამინისტროში განმარტავენ, მათ უახლოეს მომავალში დააკავებენ. სავარაუდოდ, დამნაშავეთა შორის "თელასის" ყოფილი თანამშრომლებიც არიან. ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება და ზარალის ოდენობაც დგინდება.

*24 საათი*






## ვისი ლიკვიდაცია ჰქონდა დაგეგმილი ქილერობაში ეჭვმიტანილს?

ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციაში გუშინ, თითქმის მთელი დღის განმავლობაში, გამთენიისას, კეკელიძის ქუჩაზე დაკავებული 20 წლის მირიან ცალქალამანიძის დაკითხვა მიმდინარეობდა. სამართალდამცველები ცდილობდნენ გაერკვიათ, ვისი მოკვლა ჰქონდა დავალებული მათ მიერ დილით დაკავებულ მირიან ცალქალამანიძეს, რომელიც დაკავებისთანავე ქილერად მოინათლა.

როგორც ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციაში აცხადებენ, ცალქალამანიძე "პსმ"-ის ტიპის მაყუჩიანი იარაღით ხელში დააკავეს, რაც იმთავითვე მიანიშნებდა მის ქილერობაზე. **"დაკავებისას ცალქალამანიძემ პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. მან სამართალდამცველების მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსმა დავით იაშვილმა.

მირიან ცალქალამანიძის დაკავებისთანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას მთავრობის ერთ-ერთი წევრის ლიკვიდაცია ჰქონდა დაკვეთილი. ამ ინფორმაციამ თავად სამართალდამცველთაგან გაჟონა, თუმცა, კონკრეტულად ვისი ლიკვიდაცია ჰონდა დაგეგმილი დაკავებულს, სამართალდამცველები ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერს ამბობენ. "გამოძიება დაადგენს ყველაფერს", - ასეთი გახლდათ გუშინ მათი კომენტარები.

"დაკავებულ ცალქალამანიძეს ბრალი იარაღის უკანონოდ ტარებისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლებით წარედგინება, დანარჩენს მოგვიანებით გამოძიება იტყვის", - აცხადებს ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსი.

გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, ვაკე-საბურთალოს პოლიციის შენობასთან, სადაც დაკავებულის დაკითხვა მიმდინარეობდა, მისი ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები იყვნენ შეკრებილნი. "პატიოსანი, წესიერი, გონიერი", - ასე ახასიათებდნენ შეკრებილები ქილერად მონათლულ, დაკავებულ ახლობელს. მათი თქმით, მირიან ცალქალამანიძე სახლიდან იშვიათად გადიოდა, მუდამ წიგნებს კითხულობდა და წარმოუდგენელია, მას ვინმეს მოკვლაზე ეფიქრა. "დასაშვებია, სადმე იპოვა ეს იარაღი", - ასეთი ვერსია აქვთ დაკავებულის ახლობლებს.

ერთი სიტყვით, უნდა შეესრულებინა თუ არა ცალქალამანიძეს რომელიმე მინისტრის მკვლელობის დაკვეთა და ვისგან მოდიოდა ეს შეკვეთა, - ჯერჯერობით უცნობია. ყოველ შემთხვევაში, სამართალდამცველები ეჭვმიტანილის ჩვენების დეტალებს არ ახმაურებენ.

*24 საათი*

## "მესხეთ-კონსერვის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დააკავეს

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით, კიდევ ერთი მაღალჩინოსანი დააკავეს. ს/ს "მესხეთ-კონსერვის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნუგზარ ხუციშვილი სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა დააკავეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, გამოძიებით დადგენილია, რომ ნუგზარ ხუციშვილი 1998 წლიდან ს/ს "მესხეთ-კონსერვის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა და ამ პერიოდში, კონკრეტულად, 2002-2004 წლებში, საბჭოს წევრების და აქციონერების თანხმობის გარეშე, დაანგრია ს/ს "მესხეთ-კონსერვის" N1 საამქრო (საბალანსო ღირებულებით 129 ათასი ლარი) და გაყიდა სამშენებლო მასალების სახით, რამაც აქციონერების ინტერესების მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ნუგზარ ხუციშვილი ეჭვმიტანილის სტატუსით უკვე დაიკითხა.

*24 საათი*

ორი სიტყვით

**თბილისი.** შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის გია გეწაძის განცხადებით, ბათუმის ბაზრის ინციდენტთან დაკავშირებით ყველა კანონდამრღვევი, იქნება ეს პოლიციელი თუ მოვაჭრე, დაპატიმრებული იქნება. **ნტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი სამართალდამცავები მესამე დღეა უშედეგოდ ეძებენ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სოფლის აწრის-ხევიდან გატაცებულ საქონელს.

წინასწარი ინფორმაციით, ოსმა ბოევიკებმა სოფლიდან ხუთი ცხენი და ორი ხარი გაიტაცეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოები მოსამართლეთა სრული შემადგენლობით მუშაობას 15 სექტემბრიდან განაახლებენ. როგორც საკონსტიტუციო სასამართლოში აცხადებენ, მოსამართლეთა ორივე კოლეგია პროცესებს სექტემბრის მეორე ნახევრიდან დანიშნავს. უზენაესი სასამართლოს ცნობით კი, მოსამართლეთა საშვებულებო პერიოდი 13 სექტემბრისთვის სრულდება. ამჯერად, სასამართლოში პროცესებს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული პალატის თითო კოლეგია წამართავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისის N1 საპყრობილეს თანამშრომლებმა ამავე დაწესებულების კონტროლიორი სოსო დანელია დააკავეს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, დანელიას ერთ-ერთი მსჯავრდებულისთვის გადასაცემად სიგარეტი შეჰქონდა. ჩხრეკისას სიგარეტის კოლოფში მოთეთრო ფერის ფხვნილი აღმოჩნდა, სავარაუდოდ, "ჰეროინი".

აღნიშნული ნივთიერება ზუსტი შემადგენლობისა და წონის დასადგენად ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცაგერის შს განყოფილების თანამშრომლებმა ცაგერის სატყეო მეურნეობის ორი თანამშრომელი თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, დაკავებულნი არიან ცაგერის სატყეო მეურნეობის უბნის უფროსი გულივერ ჭილვარია და სოფელ ქულბაქის სატყეო მეურნეობის უფროსი ზურაბ გოგიძე. აღნიშნულმა პირებმა 2000-2003 წლებში დოკუმენტების გაყალბებით სახელმწიფოს 1700 ლარის ზარალი მიაყენეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** სამტრედიის რაიონში გუშინ საღამოს ყაჩაღობა მოხდა. სოფელ ჭოგნარში, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული სამი დაუდგენელი პირი ყაჩაღურად თავს დაესხა რამაზ არველაძის ოჯახს, საიდანაც 20 ათასი რუსული რუბლი და სხვა ნივთები გაიტაცეს. მომხდარ ფაქტზე სამტრედიის რაიონის პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობის მუხლით აღძრა. რაიონის პოლიციის უფროსის ჯანო გრძელიძის თქმით, სამტრედიაში დამნაშავეთა ოთხი დაჯგუფება არსებობს, რომელთა დაკავების შედეგად ყაჩაღობის რამდენიმე ფაქტის გახსნა იგეგმება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს თბილისში მოქმედი ყაჩაღური დაჯგუფების ერთ-ერთი აქტიური წევრი, 23 წლის მირიან ექიზაშვილი, მეტსახელად "ნადირა", რომელიც 29 აგვისტოს სხვა პირთან ერთად თავს დაესხა 35 წლის იოსებ კობაიძეს, დანით მიაყენა სხეულის სხვადასხვა დაზიანებები და 1000 აშშ დოლარის გატაცებას ცდილობდა. დადგინდა აგრეთვე, რომ ექიზაშვილი 21 აგვისტოს ავტომანქანა "ვაზ-2107"-ით დაეჯახა იოსებ კობაიძეს და მოკვლით დაემუქრა , თუ 1000 აშშ დოლარს არ მიუტანდა , რა დროსაც სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენა. დანა ამოღებულია. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს 28 წლის იური პირველი, რომელმაც 7 ივნისს მიხეილ ჯინჯიხაშვილს ეზოდან მოპარა ავტომანქანა "ბმვ"-520, რის შესახებაც დაზარალებულს დღემდე არ განუცხადებია. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის გლდანი-ნაძალადევის სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

# სამართლიანობა, რომელიც ზოგჯერ კანონის ჩარჩოში არ ჯდება

## პრეცედენტი ქართულ მართლმსაჯულებაში

*ქუთაისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის, ასევე საქართველოს პარლამენტის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატის, იმერეთის (და არა მარტო) ბიზნესწრეებში საკმაოდ დიდი გავლენის მქონე და კრიმინალურ სამყაროსთან დაახლოებული, სკანდალურად ცნობილი ბონდო შალიკიანის საქმე იმდენად არის ღირსშესანიშნავი, რამდენადაც პრეცედენტის სახეს ატარებს. კერძოდ, ეს გახლდათ პირველი შემთხვევა, როდესაც ამოქმედდა საქართველოს კანონმდებლობისთვის სრულიად ახალი ნორმა - საპროცესო შეთანხმება გამოძიებასა და ბრალდებულს შორის.*

საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არცთუ უსაფუძვლო აღშფოთების გამომწვევი ფორმით ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაპატიმრებულ ტყიბულის მაჟორიტარ დეპუტატს ბრალი თავდაპირველად იარაღის უკანონო შენახვისთვის წაუყენეს. მოგვიანებით კი, მას გადასახადებისგან თავის არიდების და სხვისი ქონების მითვისების ბრალდებებიც მიემატა.

სხვათა შორის, თავის დროზე, შალიკიანის სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში შევიდა. მისი მეუღლე სახელმწიფოს ადამიანის უფლებების შელახვაში ადანაშაულებდა. თუმცა, სანამ ევროპული მართლმსაჯულება შალიკიანის სარჩელთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას დააფიქსირებდა, თავად შალიკიანის და მისი ექვსი თანამზრახველის პატიმრობიდან გათავისუფლება მოხერხდა, თანაც საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ევროსასამართლოში შეტანილი სარჩელი ძალადაკარგულად ითვლება.

პროკურატურის თავდაპირველი პოზიციის თანახმად, ბონდო შალიკიანი თავისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდა, თუ იგი სახელმწიფოს 3 მილიონ 408 500 ლარის ოდენობით ზარალს აუნაზღაურებდა. აქედან, მილიონ-ნახევარი ლარი მას ნაღდი ფულის სახით უნდა გადაეხადა, დანარჩენს კი ქონების სახით სთხოვდნენ.

საბოლოოდ, ყველაფერი იმით დასრულდა, რომ შალიკიანმა ბიუჯეტის სასარგებლოდ 280 ათასი ლარი გადაიხადა, ხოლო სახელმწიფოს გადასცა მისი კუთვნილი ბიზნესწილები, მათ შორის, ელექტრომექანიკურ და სატრაქტორო ქარხნებში, გლდანის ხორც-კომბინატში, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის საამქრო (ორი საერთო საცხოვრებლით), სანატორიუმი "საირმე", რომელიც აქამდე პროფკავშირების საკუთრება იყო და მასზე სასამართლო დავა დღემდე მიმდინარეობდა, ოცამდე ბენზინგასამართი სადგური, ტელეარხი "ქუთაისი" და ა.შ.

სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების და იმერეთის საოლქო პროკურატურასა და ბრალდებულ შალიკიანს შორის საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ, ტყიბულის ყოფილმა მაჟორიტარმა და მის საქმესთან დაკავშირებით დაპატიმრებულმა სხვა პირებმა, თავი ბრალდებულად ცნეს და თავისუფლებაც მიიღეს. ამასთანავე, შეწყდა მათ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეც.

თუმცა, კიდევ იყო ერთი გარემოება. იმისათვის, რომ ბონდო შალიკიანს იარაღის უკანონო შენახვისთვის პატიმრობიდან თავი დაეღწია, მან კანონის თანახმად, ჯარიმის სახით 20 ათასი დოლარიც გადაიხადა. შედარებით მცირე ჯარიმების - 2 ათასლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწიათ მის თანამზრახველებსაც, რომლებიც ასევე აღიარებენ წარდგენილ ბრალდებას და რომლებიც გუშინ, თბილისის 1 საპყრობილეს შალიკიანთან ერთად დაემშვიდობნენ.

## ლევან კენჭაძის საქმე უზენაეს სასამართლოს გადაეცა

თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებულ გენერალს გენერალური პროკურატურა, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, დიდი რაოდენობით იარაღის უკანონო ჩამოწერაში ადანაშაულებს. პროკურატურის ბრალდებით, იარაღის ჩამოწერისა და გაყიდვის შედეგად ქვეყნის ბიუჯეტმა 19 ათასი ლარის ზარალი მიიღო.

უშიშროების სამინისტროს სპეციარაღის უკანონოდ გაყიდვის თაობაზე საქმე სამხედრო პროკურატურაში რამდენიმე წლის წინ აღიძრა, თუმცა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი ოფიციალურად მაშინ არ დამდგარა.

არაოფიციალური ინფორმაციით, გარდა იარაღით ვაჭრობისა, ლევან კენჭაძის შესახებ გენერალურ პროკურატურას სხვა სერიოზული მასალებიც მოეპოვება. საუბარია 2000 წლის 30 ნოემბერს თბილისში, აეროპორტის გზატკეცილიდან გატაცებული ორი ესპანელი ბიზნესმენის - ხოსე ანტონიო ტრიმინო გომესი და ფრანცისკო როდრიგეს კაბალას საქმეზე. საქმე ისაა, რომ წელიწადნახევრიანი ტყვეობიდან დახსნილმა ბიზნესმენებმა, რომლებმაც საქართველო დაუყოვნებლივ დატოვეს, მადრიდში, ესპანეთის უშიშროებისა და შს მინისტრებს, დანაშაულთა სპეციალური დეპარტამენტისა და სხვა შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებს დეტალური ჩვენება მისცეს და ლევან კენჭაძის გვარიც დაასახელეს. არსებული ინფორმაციით, ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი თანამდებობიდან სწორედ ესპანელ ბიზნესმენთა გატაცების საქმის გამო დაითხოვეს. თუმცა, ოფიციალური განცხადება მაშინ ამის თაობაზე არ გაკეთებულა. ლევან კენჭაძეს ოფიციალურად ეს ბრალდება არც ამჯერად წაუყენეს. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ის ესპანელმა ბიზნესმენებმა დაასახელეს, ამ ფაქტის თაობაზე მისი დაკითხვა არც კი მომხდარა.

ლევან კენჭაძის საქმის გამოძიება დასრულდა და ერთი თვის წინ გენერალური პროკურორის მიერ ხელმოწერილი, ლევან კენჭაძის საბრალდებო დასკვნა და საქმის სხვა მასალები უზენაეს სასამართლოს გადაეცა განსახილველად. თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული გენერალი, მართალია, თავდაპირველად მზად იყო, სადავო თანხა გადაეხადა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამართალდამცველებმა მისი დაუსაბუთებელი ქონების დაყადაღება დაიწყეს, მან ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე უარი განაცხადა.

## პოლიციური კვირეული ჩაიშალა

*რამდენიმე თვის წინ, ყოფილი გენერალური პროკურორის მიერ გამოცხადებული ხმაურიანი სადამსჯელო ღონისძიება - "პოლიციური კვირეული", რომელმაც ბევრ სამხრეებიანს სიმშვიდე დაუფრთხო, მართალია, დაგვიანებით დაიწყო, მაგრამ გენპროკურორის მიერ დაპირებული შედეგით არ დასრულებულა. შს მინისტრის ყოფილი მოადგილე, შემდეგ საქართველოს საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ბიუროს უფროსი დავით თოდუა და საგზაო პოლიციის ყოფილი უფროსი დავით კობახიძე, გენერალურ პროკურატურაში რამდენჯერმე მიიყვანეს, რამდენიმესაათიანი საჩვენებელი დაკითხვა მოაწყვეს, ბრალდებულის სტატუსი უბოძეს და ატეხილი სკანდალიც ამით დასრულდა.*

საუბარი იყო 2002-2003 წლებში საგზაო პოლიციის მიერ უკანონოდ რეგისტრირებულ 20 ათას მანქანაზე, რის გამოც, საქართველოს ბიუჯეტმა სოლიდური - 12-მილიონიანი ზარალი მიიღო. გარდა უკანონო რეგისტრაციებისა, დასკვნაში, რომელიც ანტიკორუფციულმა საბჭომ შეადგინა, საგზაო პოლიციის მიერ დაშვებული სხვა სერიოზული სამართალდარღვევებიც გახლდათ გაშიფრული და დანაშაულში მხილებულ მაღალჩინოსანთა გვარები კონკრეტულად იყო მითითებული.

გაცილებით მშვიდ ვითარებაში დაიკითხნენ და ბრალდებულებად გამოცხადდნენ საგზაო პოლიციის მაღალჩინოსნები ილია რუხაძე და თამაზ თამაზაშვილი. სხვათა შორის, განუბაჟებელი მანქანების საქმეს გაუერთიანდა წლების წინ ამავე ფაქტზე აღძრული საქმეც. პასუხისგებაში არიან მიცემული აბაშის საგზაო პოლიციის უფროსი, მისი მოადგილე და გაფორმების სამსახურის უფროსი.

სხვათა შორის, საგზაო პოლიციის კორუფციულ საქმიანობაზე ხმაური ჯერ კიდევ კობა ნარჩემაშვილის მინისტრობის დროს ატყდა, უფრო ზუსტად, ანტიკორუფციულმა საბჭომ იხმაურა და, ფაქტობრივად, უშედეგოდ - კობა ნარჩემაშვილმა დავით კობახიძე თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლა. მოგვიანებით, პოსტრევოლუციურ ეპოქაში, სკანდალურად წამოწეული საქმე კვლავ მაღალჩინოსანთა სასარგებლოდ დასრულდა. "პოლიციური კვირეულის" ავტორი, გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც საგზაო პოლიციის მაღალჩინოსანთა მისამართით მუქარას არ იშურებდა, კობახიძე-თოდუა-რუხაძე-თამაზაშვილის თანამდებობიდან გადაყენებას დასჯერდა. პოლიციის არც ერთ მაღალჩინოსანს საპატიმრო ღონისძიება არ შეფარდებია, რადგან გარიგებითი სამართლის ინსტიტუტი ამოქმედდა და ბრალდებულებმა, მართალია, საბიუჯეტო ზარალი - 12 მილიონი - ბოლომდე არ აანაზღაურეს, მაგრამ პროკურატურა მათგან 545 ათასი ლარის გადახდას დასჯერდა.

ერთი სიტყვით, საგზაო პოლიციაში ჩატარებული მსხვილი კორუფციული ოპერაცია ამ საქმიანობაში გარეულ მაღალჩინოსნებს, ფაქტობრივად, შერჩათ. თუმცა, როგორც გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, საქმის გამოძიება კვლავ გრძელდება და მალე საზოგადოებისთვის საქმის ახალი დეტალები გახდება ცნობილი.

## ევროსასამართლოში განხილვის პერსპექტივით

*შევარდნაძის დროინდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ყველაზე ხმაურიან საქმეებად ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, დავით მირცხულავასა და კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის პატიმრობა იქცა. ორივე ბრალდებულის ადვოკატები გამოძიებისადმი არსებულ პრეტენზიებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში განხილვის პერსპექტივას უწინასწარმეტყველებენ.*

სულხან მოლაშვილისგან განსხვავებით, დავით მირცხულავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ჯერ კიდევ მისი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში აღიძრა და, მაშინდელი ტრადიციის მიხედვით, საგულდაგულოდ იყო შენახული. თუმცა, ხელისუფლების შეცვლისთანავე, პირველი, ვინც ყოფილ თანამდებობის პირთაგან დააპატიმრეს, სწორედ ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი გახლდათ. როგორც ცნობილია, გამოძიება დავით მირცხულავას, აშოცკი-ნინოწმინდის ელექტროგადამცემი ხაზის უკანონო მშენებლობის ნებართვის გაცემის გარდა, სომხეთის ენერგოკომპანიებთან "არმენენერგოსა" და "მაშკორპორაციასთან" ანგარიშსწორებისას 6 მილიონი დოლარის მითვისებას ედავება. დაპატიმრების დღიდანვე მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, მიუხედავად ამისა, სწორედ იმ დღეს, როდესაც მისი კლინიკური სიკვდილის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, პატიმარი ციხის საავადმყოფოდან მე-7 საპყრობილეში გადაიყვანეს და ეს გადაწყვეტილება სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ევროსასამართლოს რეკომენდაციამაც ვერ შეაცვლევინა. აქედან გამომდინარე, გარდა უშუალოდ საქმესთან დაკავშირებული პრეტენზიებისა, მისი ადვოკატი სწორედ ბრალდებულის ავადმყოფობით აპელირებს.

**"ჩვენ ევროსასამართლოს მივმართეთ სარჩელით, რომლითაც ვასაჩივრებთ მირცხულავას პატიმრობაში ყოფნას,** - ამბობს დავით მირცხულავას ადვოკატი ეკა ბესელია, - **ჯერ ერთი, არ არსებობდა მისი დაპატიმრების საფუძვლები და, შესაბამისად, მისი დაპატიმრება საფუძველშივე უკანონოა. გარდა ამისა, დარღვეულია ადამიანის უფლება სამართლიან სასამართლოზე, აგრეთვე, დაცვის და, რაც მთავარია, სიცოცხლის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჯანმრთელობის უფლება. საქმე სტრასბურგში უკვე მიღებულია წარმოებაში, დამატებითი დოკუმენტაცია უკვე შაბათს გავაგზავნე და ევროსასამართლოდან შემდგომ ნაბიჯებს ველით".**

მიუხედავად ყველაფრისა, მირცხულავას საქმე პირველი იქნება შევარდნაძის დროინდელ, ამჟამად კი პატიმრობაში მყოფ მაღალ თანამდებობის პირთა საქმეებს შორის, რომლებსაც სასამართლო განიხილავს - გამოძიების მიერ მოპოვებული მასალები უკვე გადაგზავნილია უზენაეს სასამართლოში. თავად ბრალდებული კი, ისევე როგორც დაპატიმრების მომენტში, თავს ახლაც უდანაშაულოდ მიიჩნევს, რის დასადასტურებლადაც მან სადავო თანხის გადახდაზე კატეგორიული უარი განაცხადა.



*მირცხულავას საქმე პირველი იქნება შევარდნაძის დროინდელ, ამჟამად კი პატიმრობაში მყოფ მაღალ თანამდებობის პირთა საქმეებს შორის, რომლებსაც სასამართლო განიხილავს.*

დავით მირცხულავასგან განსხვავებით, მოლაშვილი ხელისუფლების ცვლილებიდან კარგა ხნის შემდეგ დააკავეს. თბილისის პროკურატურაში საკუთარი ფეხით მისული პატიმრობაში დატოვეს და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაზარალებაშიც წაუყენეს ბრალი. თავდაპირველად რამდენიმე ათეული ათასი დოლარით განსაზღვრული ბრალდება გამოძიების პროცესში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 4 მილიონს მიაღწია. შესაბამისად, მოლაშვილის ოჯახის მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ შეტანილი 135 ათასი დოლარი და სახელმწიფო სარგებლობაში გადაცემული, 130 ათას დოლარად შეფასებული წავკისის აგარაკი ბრალდებულის პატიმრობიდან დასახსნელად საკმარისი არ აღმოჩნდა. თუმცა, ეს ის არგუმენტი არ გახლავთ, რომლითაც მისი ადვოკატები ევროსასამართლოში გასაგზავნი სარჩელის გამყარებას აპირებენ. პირველი და უმთავრესი ამ არგუმენტთაგან ის გაუსაძლისი პირობები გახლავთ, რომელშიც ციხეში კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს ამყოფებდნენ, და მოლაშვილის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებები, რომლებიც წინასწარი დაკავების საკანში მისი წამების შესახებ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იძლევა.

დაკავებულის ერთ-ერთი ადვოკატი შალვა შავგულიძე აცხადებს, რომ ევროსასამართლოს სარჩელში, რომელსაც სტრასბურგში სექტემბრის დასაწყისში გაგზავნიან, **"დაფიქსირებული იქნება მოლაშვილის წამების ფაქტები, მისი უკანონო პატიმრობის შესახებ ცნობები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. იქიდან გამომდინარე, რომ მოლაშვილის უკანონო დაპატიმრებით ბრალდების მხარემ დაარღვია "ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის" ერთდროულად რამდენიმე, კერძოდ, მე-3, მე-5, მე-6 და მე-13 მუხლები, ჩვენ ევროსასამართლოში წარმატების მიღწევის იმედი გვაქვს"**.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ადვოკატების მსგავსად, გამოძიებაც საკუთარ სიმართლესა და მირცხულავა-მოლაშვილის წინააღმდეგ შეგროვებული მტკიცებულებების შეუვალობაში ასევე დარწმუნებულია.

## სოლიდური თანხებით პასუხისგება მინისტრებსაც არ ასცდათ

*ყოფილი ხელისუფლების ყოფილ მინისტრთაგან ციხის ცხოვრების გაცნობა, დავით მირცხულავას გარდა, მხოლოდ ერთს, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის მინისტრს მერაბ ადეიშვილს მოუწია. რამდენიმე ყოფილი მინისტრი კი დაპატიმრებამდე თანხის გადახდით ან პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ აღმოჩენით გადარჩა.*

კანცელარიაში თათბირზე დაბარებულ და კანცელარიის ლიფტთან ნიღბიანი სპეცრაზმელების მიერ დაპატიმრებულ ტრანსპორტისა და კომუნიკაციის მინისტრს ბრალი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში წარედგინა. გამოძიების განმარტებით, მისი დანაშაული რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის მიმართ აღძრული საქმის გამოძიებისას გამოვლინდა. საუბარი ეხება საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტისა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სამინისტროს მიერ ტარიფების უკანონო დაწესებასა და ტვირთმფლობელებისათვის გადასახადებზე თვითნებურად შეღავათების დანერგვას. გამოძიების პროცესში ამოღებული იქნა ადეიშვილის ბრძანებები, რომლის მიხედვითაც სამი წლის მანძილზე უკანონოდ მცირდებოდა გადასახადები ფოთი, გარდაბანი-სადახლოს მიმართულებით გადაადგილებულ ტვირთზე. ამ შეღავათებით რომ ნავთობპროდუქტების გადამზიდველები სარგებლობდნენ, ამას პროკურატურაში, თავის დროზე, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რაც გამოძიების შევარდნაძეების ოჯახურ ბიზნესამდე მიღწევის ვარაუდს აღძრავდა, თუმცა ამ ვარაუდების გამართლების შესახებ დღემდე ოფიციალურად არაფერი გამხდარა ცნობილი. რაც შეეხება ტარიფებს, კანონმდებლობის თანახმად, ტვირთის გადაზიდვის სატარიფო ნორმები თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთად რკინიგზის დეპარტამენტს წლის დასაწყისში უნდა განესაზღვრა, რომელსაც ტრანსპორტის და კონუნიკაციის მინისტრი ამტკიცებდა. მაგრამ საქართველოში ამგვარ ტარიფს რკინიგზის დეპარტამენტი დაახლოებით სამ-ხუთ თვეში ერთხელ ცვლიდა და, შესაბამისად, ტრანსპორტის და კომუნიკაციის მინისტრის თანხმობასაც იღებდა. ტრანსპორტის პროკურორის ინფორმაციით, ამ გზით, სამი წლის განმავლობაში ბიუჯეტმა დაახლოებით 20 მილიონი ლარით იზარალა. საბოლოო ჯამში, 1 500 000 დოლარის გადახდის შემდეგ, მერაბ ადეიშვილი ციხიდან კი გაათავისუფლეს, თუმცა, საბოლოო პასუხისმგებლობისგან - არა.

ადეიშვილის გარდა, ყოფილ მინისტრთაგან სამართალდამცველებთან არასასიამოვნო ურთიერთობა მოუხდა სურსათისა და სოფლის მეურნეობის ყოფილ მინისტრს დავით კირვალიძეს. სამსახურებრივი გულგრილობა - ასეთი გახლდათ მისთვის წაყენებული ბრალდება. კონკრეტულად კი, საქმე 2001-2003 წლებში ჰუმანიტარული დახმარების მიღებისას სხვადასხვა მაქინაციების გამოყენებით სახელმწიფო ბიუჯეტისათვის 350 ათასი ლარის ზარალის მიყენებაზე. უფრო კონკრეტულად, გენერალური პროკურატურა დავით კირვალიძეს მის მოადგილეს ხუტა მამალაძეს და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს რამდენიმე თანამშრომელს 2002 წელს საქართველოში იტალიიდან შემოტანილი ჰუმანიტარული კარტოფილის ფანტელით ჩატარებულ მაქინაციას ედავება. საქმე ისაა, რომ პროდუქციის ნაწილი სოციალურად დაუცველ ფენებს უნდა დარიგებოდა, ნაწილი კი, ბიუჯეტში თანხების შეტანის მიზნით გაყიდულიყო. სამართალდამცველთა ბრალდებით, სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა არ გაადამოწმა სამთავრობო კომისიის მიერ გაყიდვისთვის დადგენილი ტარიფი, არადა, შესაძლებელი იყო კარტოფილის ფანტელის უფრო მაღალ ფასში გაყიდვა. ამ სამსახურებრივი გულგრილობის შედეგად, პროკურატურის დაანგარიშებით, ბიუჯეტმა 350 ათასი ლარის ზარალი ნახა.

თუმცა, ზურაბ ჟვანიას გუნდის წარმომადგენლად მიჩნეული კირვალიძე იმ იშვიათ გამონაკლისად იქცა, რომელმაც პატიმრობის თავიდან აცილება მოახერხა და 50 ათასი ლარის გადახდის შემდეგ გამოძიებას თავი დააღწია. გარდა ამისა, სამართალდამცველებმა ყოფილ მინისტრს მისი ბინის ჩხრეკისას ამოღებული იარაღიც დაუბრუნეს - უბრალო მიზეზით, რეგისტრირებული აღმოჩნდა. სადავო თანხის დანარჩენი ნაწილი კი სხვა ბრალდებულებმა აანაზღაურეს. ამჟამად, გამორიცხული არ არის, რომ ამ საქმის წარმოება სულაც შეწყდეს, რადგანაც ზარალი, რომელიც, გამოძიების მტკიცებით, ყოფილმა მინისტრმა და მისმა ქვეშევრდომებმა სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენეს, დაფარულია. თუმცა, მანამდე აუცილებელია, რომ ბრალდებულებმა ბრალი აღიარონ და საქმის შეწყვეტას დათანხმდნენ.

პატიმრობა ასცდა მშენებლობის ყოფილ მინისტრს მერაბ ჩხენკელსაც. იგი პროკურატურაში მოწმის სტატუსით დაიბარეს და რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ ბრალდებულად გამოაცხადეს. მას ბრალი თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ბოროტად გამოყენებაში წაუყენეს. საუბარი "ლოკომოტივის" სტადიონის მშენებლობისას დაშვებულ კანონდარღვევებს ეხებოდა. კერძოდ, ყოფილმა მინისტრმა ხელი მოაწერა ხარჯთაღრიცხვას და ექსპლუატაციაში ექსპერტიზაგაუვლელი ობიექტი გაუშვა. მიუხედავად ბრალდებისა, გენერალურ პროკურატურას სასამართლოსგან ჩხენკელისთვის აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდება არ მოუთხოვია და იგი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ დარჩა.

## აბაშიძის კლანი მართლმსაჯულების წინაშე აბაშიძის დაუსწრებლად წარდგება

*ადამიანი, რომლის დანაშაულებრივ მოღვაწეობაზე ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე და მას შემდეგაც ყველაზე მეტს საუბრობდნენ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაური ასლან აბაშიძე გახლავთ. მან საქართველოს ტერიტორია ხელშეუხებლობის გარანტიით დატოვა, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ, საქართველოში კვლავ გამოჩენის შემთხვევაში, მას სამართალდამცველები პასუხს არ მოსთხოვენ. ასლან აბაშიძის უსაფრთხოება მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზეა დაცული. იმ შემთხვევაში, თუ ის საქართველოს ტერიტორიაზე დადგამს ფეხს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის მიყენებული ზარალის გამო, იგი პასუხისგებაში მიეცემა. მისთვის მიცემული ხელშეუხებლობის გარანტია საქართველოს ტერიტორიაზე არ ვრცელდება.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ფაქტია, რომ ხელშეუხებლობის გარანტია არ ვრცელდება არც ასლან აბაშიძის, მისი ოჯახისა და გარემოცვის, ახლობლების ქონებაზე - ავტონომიის ყოფილი მეთაურის ნათესავების მიერ შეძენილი ქონება, რომელიც 100 მილიონ ლარად შეფასდა, აჭარის უმაღლესი სასამართლოს მსჯელობის საგანია. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ აბაშიძეებს და მის ნათესავებს, ქონება უკანონოდ, დაუსაბუთებლად აქვთ შეძენილი, მათი საკუთრება მთლიანად სახელმწიფოს გადაეცემა.

სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის - ჩოლოქის ჩაკეტვისა და კონსტიტუციური წყობის დარღვევის გამო, დამოუკიდებელი იურისტები სამართალდამცველებისგან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის, ასლან აბაშიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ჯერ კიდევ "აჭარის რევოლუციამდე" მოითხოვდნენ.

სახელმწიფო ღალატი, საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა, სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდება და კანონიერი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა - ეს ის მუხლებია, რომლითაც დამოუკიდებელი იურისტები ასლან აბაშიძის დანაშაულებრივ ქმედებას აკვალიფიცირებდნენ და საქმის აღძვრას დაუყოვნებლივ და კატეგორიულად ითხოვდნენ. მართალია, დაგვიანებით, მაგრამ აჭარის ავტონომიის ყოფილი მეთაურის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მაინც აღიძრა. თუმცა, აჭარის პროკურატურა ასლან აბაშიძეს მხოლოდ თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და დიდი ოდენობით თანხების მითვისებაში ადანაშაულებს. საუბარია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათობით მილიონი დოლარის არამიზნობრივ ხარჯვაზე.

გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის, გიორგი ჯანაშიას განცხადებით, ასლან აბაშიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი "საზღვაო ბანკში" ჩატარებული გამოძიების შედეგები გახდა. პროკურატურის მტკიცებით, ასლან აბაშიძის უშუალო მითითებით ხდებოდა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან თანხების გადარიცხვა ავტონომიის მეთაურის კუთვნილ რამდენიმე ფონდში, საიდანაც თანხები ასლან აბაშიძის ოჯახის წევრებზე რეგისტრირებულ ფირმებში ირიცხებოდა.

რაც შეეხება აბაშიძის გარემოცვას. პირველი, ვინც "აჭარის რევოლუციის" შემდეგ ასლან აბაშიძის გარემოცვიდან სასწრაფოდ დააკავეს, გენერალი დუმბაძე გახლდათ, რომელიც ქვეყნის მთავარსარდალს განუდგა, მისი ბრძანება არ შეასრულა და თავისი ბატალიონიანად აჭარის ლიდერის პირად ინტერესებს მოემსახურა. გენერალ დუმბაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღიძრა. მათ შორისაა ისეთი მძიმე ბრალდება, როგორიც სამშობლოს ღალატი გახლავთ.

გენერალ დუმბაძის დაკავების შემდეგ დაიწყო ყოფილი მეთაურის გარემოცვის მაღალჩინოსნების დაკავება-დაპატიმრების სერიალი. დაპატიმრებულ აჭარელ მაღალჩინოსანთა რიცხვი ისევე ვრცელია, როგორც მათთვის წაყენებული ბრალდებების რაოდენობა. ყველა მათგანს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა. სხვადასხვა ბრალდებებით დაკავებულთა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება ჯერ დასრულებული არ არის. ასლან აბაშიძის გარემოცვის ერთადერთი მაღალჩინოსანი, რომლისთვის შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობა ბიუჯეტისთვის დამალული, საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდისთანავე შეიცვალა, ბათუმის პორტის უფროსი ჯამბულ ნინიძეა.



*მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა ავტონომიის მეთაურის გარემოცვისა და ნათესაობის წარმომადგენლებს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების სათავეში მყოფი პირის - ასლან აბაშიძის დაუსწრებლად მოუწევთ.*

აჭარელ ცნობილ მაღალჩინოსანთაგან სამართალდამცველების ხელში პირველები აჭარის უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე გოგი კუპრეიშვილი, აჭარის შს მინისტრის მოადგილე დავით ბაკურიძე და ქობულეთის გამგებელი ტარიელ ხალვაში მოხვდნენ. სამივე მათგანი დღემდე უარყოფს წაყენებულ ბრალდებებს და კვლავ დაპატიმრების პოლიტიკურ მოტივებზე საუბრობს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების ყოფილი მინისტრის ყოფილ მოადგილეს გოგი კუპრეიშვილს თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედავებიან. საქმე ეხება ბათუმის ყოფილი მერის თენგიზ ასანიძის პატიმრობის საკითხს. კუპრეიშვილს დაუსაბუთებელი ქონების შესახებ მსჯელობა სასამართლომ ცოტა ხნის წინ, აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დაასრულა, ასლან აბაშიძესთან დაახლოებულ ყოფილ მაღალჩინოსანს დაუსაბუთებელი ქონება სრულად ჩამოერთვა. სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლითაა ბრალდებული ქობულეთის ყოფილი გამგებელი ტარიელ ხალვაშიც, მათ შორისაა თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და არჩევნებისთვის ხელის შეშლის ბრალდებებიც.

რაც შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრს სოსო გოგიტიძეს, რომელმაც საქართველოს ფარგლები ასლან აბაშიძესთან ერთად დატოვა. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით არის აღძრული. თუმცა, სავარაუდოდ, მისი ბრალდებები კიდევ უფრო დამძიმდება. ჯერ კიდევ "აჭარის რევოლუციამდე" ქვეყნის უშიშროების სამსახურმა აჭარის ტერიტორიაზე მოქმედ ქილერთა 6-კაციან ჯგუფს მიაგნო. როგორც უშიშროების სამსახურში აცხადებენ, ჯგუფს, რომელსაც სერგო და სოსო გოგიტიძეები, აჭარის უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე გოგი კუპრეიშვილი და აჭარის შს მინისტრის მოადგილე დავით ბაკურიძე აკონტროლებდნენ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე თავდასხმის ორგანიზება ჰქონდა დავალებული, მათ მოქმედებას კი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ხელმძღვანელობა პირადად აკონტროლებდა.

ასლან აბაშიძის უახლოესი გარემოცვის კიდევ ერთ წევრს, წინასწარ სამთვიან პატიმრობაში მყოფ, აჭარის ყოფილ ფინანსთა მინისტრს დავით აბაშიძეს, სხვა დაკავებული აჭარელი მაღალჩინოსნების მსგავსად, გამოძიება თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ედავება. საუბარია ფინანსურ მაქინაციებზე, რამაც სახელმწიფო 140 ათასი ლარით და 40 ათასი აშშ დოლარით აზარალა. გამოძიების მტკიცებით, დავით აბაშიძეს მინისტრობის პერიოდში თანხა "საზღვაო ბანკიდან" გამოჰქონდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ფინანსთა მინისტრის დავით აბაშიძის ადვოკატის განცხადებით, ბრალდების მხარის მიერ დასახელებული სადავო თანხა აჭარის მოსახლეობის საპენსიო და ადგილობრივი პედაგოგების სახელფასო დავალიანებას მოხმარდა. შესაბამისად, ადვოკატი მიიჩნევს, რომ აჭარის ყოფილი ფინანსთა მინისტრის დაპატიმრება უკანონობაა.

ერთი სიტყვით, ასლან აბაშიძის რეჟიმის ცნობილი მაღალჩინოსნების უდიდესი ნაწილი წინასწარ სამთვიან პატიმრობაში იმყოფება. მათ მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება, სავარაუდოდ, ცოტა ხანში დასრულდება და მრავალტომიანი საქმეები მართლმსაჯულებას გადაეგზავნება. სავარაუდოდ, მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა ავტონომიის მეთაურის გარემოცვისა და ნათესაობის წარმომადგენლებს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების სათავეში მყოფი პირის - ასლან აბაშიძის დაუსწრებლად მოუწევთ.

## იმედი = წმინდა ვირი



ემირ კუსტურიცა კანიდან თბილისში

B2

## "ხუთჯვრიანების" პირველი ჯვაროსნული



ალენ ჟირესს პირველი სერიოზული გამოცდა თურქეთში ექნება.

B4

## ნაკრები ახალ ცხოვრებას იწყებს



შემონდ ვილიამსს ქართულ პასპორტს ერთ კვირაში ჩაახუტებენ.

B5

# კოტე კემულარია: "რუსეთი სერიოზულად უნდა დააფიქროს ამ ტრაგედიამ"

*უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კემულარია ამ თანამდებობაზე რუსეთში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის პოსტიდან მოვიდა. ამიტომ, რუსეთ-საქართველოს გამწვავებული ურთიერთობებიდან გამომდინარე და რუსეთში შექმნილი საგანგებო ვითარების გათვალისწინებით, ჩვენი საუბარი სწორედ ამ თემებს შეეხო და თემიდის პრობლემატიკა არც კი ამოტივტივებულა.*

**- ბატონო კოტე, პუტინის და სააკაშვილის შეხვედრის შემდეგ სერიოზულად ალაპარაკდნენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების "დათბობაზე", თუმცა ბოლო პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა. თქვენ, როგორც საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში, რითი ახსნით რუსეთის ბოლოდროინდელ პოზიციას საქართველოს მიმართ?**

- ვფიქრობ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საქართველომ აბსოლუტურად სწორი ნაბიჯები გადადგა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მხრივ. პუტინ-სააკაშვილის შეხვედრის შემდეგ ურთიერთობების დათბობა მართლაც ნათლად გამოჩნდა და დღემდე ძალიან ბევრი დადებითი იმპულსია შენარჩუნებული, მაგრამ, დამერწმუნეთ, ეს ურთიერთობები მხოლოდ საქართველოზე და მისი ხელისუფლების პოლიტიკაზე არ არის დამოკიდებული. ორი ქვეყნის ურთიერთობებზე ძალიან ცუდად მოქმედებს ის პრობლემები, რაც რუსეთს თავად აქვს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთმა ძალიან დიდი უარყოფითი მუხტი მიიღო მემკვიდრეობად ერთა ამ ხელოვნური ერთობისგან. სამწუხაროდ, დღესაც არიან რუსეთში ძალები, რომელთაც საბჭოთა კავშირის აღდგენის იმედი და ამის დიდი სურვილი აქვთ. ვნახოთ, რა მდგომარეობაშია დღეს რუსეთის მოქალაქე, როგორც ერთი, და - რუსული სახელმწიფო მთლიანობაში.

რუსეთის მოქალაქემ დღეს არ იცის, რა სურს მის სახელმწიფოს, თუნდაც ამიერკავკასიაში, რა სურს დნესტრისპირეთთან, ბალტიისპირეთთან, ევროპასთან და საერთოდ მთელ მსოფლიოსთან მიმართებაში. ამ საკითხებზე მკაფიო და გარკვეული პასუხი ხელისუფლების მხრიდან რუსეთის მოქალაქეებს არ მიუღიათ. გავიხსენოთ აჭარის თემა. მაშინ რუსეთის ოფიციოზი, პირველად საქართველოს ისტორიაში, არ ჩაერია საქართველოს საშინაო საქმეებში და ამისთვის საქართველოს პარლამენტის მადლობაც კი დაიმსახურა. აჭარის მოვლენების დროს დუმა საკმაოდ მკვეთრ განცხადებებს აკეთებდა საქართველოს მისამართით, საუბრობდნენ ყარსის ხელშეკრულების ამოქმედებაზე, აბაშიძის მხარდასაჭერად ბათუმში ლუჟკოვიც ჩავიდა და ა.შ. - მიუხედავად ამ ყველაფრისა, რუსეთის ოფიციოზმა შეძლო და არ ჩაერია საქართველოს საშინაო საქმეებში.

რა ხდება დღეს? სამიოდე დღის წინ გაზეთმა "იზვესტიამ" გამოაქვეყნა სოციოლოგიური გამოკითხვა თემაზე - უნდა ჩაერიოს თუ არა რუსეთის სამხედრო ძალები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებში. დააკვირდით კითხვას. მხოლოდ ტვინნაღრძობ ადამიანს შეუძლია მოუვიდეს თავში, ჰკითხოს საკუთარ მოქალაქეს, რომ გინდა თუ არა შენს მეზობელ სახელმწიფოსთან საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მიღებაო. ეს კითხვა დაისვა ოცდამეერთე საუკუნეში, დემოკრატიულ ქვეყანაში, რომელიც არის ევროსაბჭოს წევრი. ამ გამოკითხვის შედეგებმა მე, სიმართლე გითხრათ, გამაოცა. რუსეთის მოქალაქეების 22 პროცენტი თვლის, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში არც ერთი რუსი სამხედრო არ უნდა მონაწილეობდეს. დამერწმუნეთ, 22 პროცენტი ძალიან დიდი მაჩვენებელია. თავად რუსეთის საზოგადოება თამამად აცხადებს, რომ მას ომი არ სურს და, დამერწმუნეთ, ეს მართლაც ასეა.

ცხადია, ისეთ ტაკი-მასხარებს, როგორიც ჟირინოვსკია, ჰყავთ თავიანთი ამომრჩევლები, მაგრამ ისინი ძალიან ცოტანი არიან. სამწუხაროდ, რუსეთში არიან ადამიანები, რომელთაც ძალიან ემებათ რუსული შოვინიზმის, ნაციონალიზმის იდეების მოსმენა. ასე რომ, ჟირინოვსკის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კი არ ადარდებს, იგი საკუთარი ამომრჩევლის გულის მოგებას ცდილობს. იგი არც რუსეთის საქმეს აკეთებს და არც საქართველოსას აფუჭებს, მას თავისი, მერკანტილური მიზნები აქვს.

როგორც უკვე აღვნიშნე, რუსეთმა საბჭოთა კავშირისგან იმპერიულ-დერჟავული აზროვნება მიიღო მემკვიდრეობად, თუმცა, ეს რუსეთში საბჭოთა კავშირამდეც იყო. ეს ერთგვარი ავადმყოფობაა და ამას რუსი ექსპერტები და სპეციალისტებიც აღიარებენ. ერთ-ერთი რუსი ექსპერტი პოლიკანოვი გაზეთ "იზვესტიაში" აღნიშნავს, რომ საქმე საქართველოში კი არა, არამედ რუსული საზოგადოებრივი აზრის პათოლოგიაშია. რუსეთი ვერ გათავისუფლდა ინერციისაგან, რომ, აი, ჩვენ გუშინ გაუშვით ეს სახელმწიფოები საბჭოთა კავშირიდან, გუშინ მივეცით საქართველოს დამოუკიდებლობა და დღეს ამას გვიბედავენ? ასეთი აზრი, სამწუხაროდ, არის რუსეთში და იგი პოლიტიკურ წრეებშიც ბატონობს. როგოზინები, ზატულინები და სხვები სწორედ ამ აზრს ავითარებენ და საზოგადოებრივი დამოკიდებულების ფორმირებას ცდილობენ, მაგრამ ის 22 პროცენტი რუსეთის მოქალაქეებისა, რომელზეც უკვე ვისაუბრე, მოწმობს იმას, რომ რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მათ ჭკუაზე არ გადასულა.

ჩვენ ძალიან აქტიურად უნდა ვიმუშაოთ რუსეთის მედიასთან. ჩვენი ხელისუფლება დღეს მკაფიოდ და გამოკვეთილად აფიქსირებს, რომ მშვიდობიანი, დემოკრატიული სახელმწიფო ვართ და გვინდა ჯანსაღი ურთიერთობები გვქონდეს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან, მით უმეტეს - ჩვენს მეზობლებთან. ჩვენი მშვიდობიანი ბუნება კარგად გამოჩნდა ცხინვალის მოვლენების დროსაც. საქართველოს ხელისუფლებას ცხინვალში ჩაჰქონდა ჰუმანიტარული დახმარებები, მედიკამენტები... უიარაღო ხელი გავუწოდეთ ცხინვალის მოსახლეობას.

**- მაგრამ რა უნდა ქნას ქართულმა მხარემ - იარაღით ვერ შევიჭრებით, მშვიდობიანი აქციები კი ჩვენს მეზობლებს უარესად ალიზიანებს.**

- ჩვენი რეაქცია ძალიან მშვიდი უნდა იყოს. რუსულ საზოგადოებრივ აზრზე ძალიან ინტენსიური გავლენა უნდა მოვახდინოთ. კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ იმ 22 პროცენტს, ისინი დღეს ჩვენი თანამოაზრეები არიან, ჩვენ აქედან უნდა დავიწყოთ ათვლა.

**- არა მგონია, რუსული საზოგადოების 22 პროცენტი ჩვენი მოკავშირე იყოს...**

- რა თქმა უნდა, ისინი პირდაპირ ჩვენი მოკავშირეები არ არიან. ისინი რუსეთის ინტერესებს იცავენ, მაგრამ ეს არის დემოკრატიული, პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი. ეს არის ის ნაწილი, რომელზეც ხვალ დემოკრატიული ქვეყანა, ახალი რუსეთი უნდა აშენდეს. მათ იციან, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საომარ ენაზე ესაუბრო მეზობელ სახელმწიფოს.



*კოტე კემულარია: "იმის თქმა, რომ რუსეთში ყველა ერთნაირად ცუდად ფიქრობს ქართველებზე და საქართველოზე, ძალიან დიდი შეცდომაა."*

მინდა ძალიან დიდი შეშფოთება გამოვხატო იმასთან დაკავშირებით, რაც დღეს რუსეთში ხდება. ტერორიზმი მსოფლიო სენია და მის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი მსოფლიო უნდა გაერთიანდეს. ტერორიზმს არანაირი გამართლება არა აქვს. რუსეთიც, ამერიკაც, საქართველოც ანტიტერორისტული კოალიციის წევრები არიან და ერთად ებრძვიან ამ სენს, მაგრამ, ნახეთ, აქაც ორმაგი სტანდარტები მოქმედებს. თუ საქართველოს ტერიტორიაზე შემოდის ვიღაც დაქირავებული და ქართველ მშვიდობისმყოფელს კლავს - ეს ტერორიზმი არ არის? მართალია, ის დაქირავებული რუსეთის მოქალაქეა, მაგრამ რუსეთის ოფიციალური წრეები ამაზე ყურს არ იბერტყავენ... მეომრის დაქირავება და სხვის ტერიტორიაზე შეყვანა, ეს არის საერთაშორისო დანაშაული, ტერორიზმის ყველაზე აგრესიული ფორმა, რომელსაც ხანდაზმულობაც კი არ ეხება. მიუხედავად დადასტურებული ფაქტისა, რომ სამხრეთ ოსეთში მართლაც იბრძოდნენ რუსეთის მოქალაქეები, დაქირავებული მეომრები, რუსეთში ამ ფაქტს არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია. თავის დროზე ასეთივე დაქირავებულები, რუსეთის მოქალაქეები -იბრძოდნენ აფხაზეთში. რუსეთის პირველი არხი მაშინ გადასცემდა კადრებს, სადაც ამ მეომრებს ნალჩიკში და გროზნოში ყვავილებით ხვდებოდნენ. რუსეთის პირველი არხი მათ როგორც გმირებს, ისე აჩვენებდა. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ხომ რუსეთს უკან დაუბრუნდა? დიდი ტკივილი და საშინელი უბედურება მოუტანა...

მე მაინც იმ აზრის ვარ, რომ აუცილებელია რუსულ საზოგადოებრივ აზრზე მუშაობა. რამოდენიმე დღეში მოსკოვში ჩვენი ახალი ელჩი ჩავა, რომელიც ძალიან გამოცდილი დიპლომატია. ამასთან, ვფიქრობ, საქართველოს საელჩო რუსეთში უნდა გაძლიერდეს. იგი უნდა იყოს უზრუნველყოფილი გამოცდილი კადრებით, ფინანსებით, უახლესი ტექნიკით...

თანამედროვე დიპლომატიის ერთ-ერთი უმთავრესი იარაღი მედიასთან ურთიერთობაა. მართალია, რუსული მედია დღეს ძალიან დიდი წნეხის ქვეშაა, მაგრამ იქ არიან ნამდვილი პროფესიონალები, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, მოსახლეობას ობიექტური ინფორმაცია მიაწოდონ.

იმის თქმა, რომ რუსეთში ყველა ერთნაირად ცუდად ფიქრობს ქართველებზე და საქართველოზე, ძალიან დიდი შეცდომაა. ასეთი განწყობა რუსულ-ქართულ ურთიერთობებს ბევრს ვერაფერს შესძენს.

**- რუსეთის მოქალაქეების დიდი ნაწილი ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების შეწყვეტასაც მოითხოვს, მაგრამ მათ არავინ უსმენს... საზოგადოებრივ აზრს რუსეთის დღევანდელი ხელისუფლებისთვის აქვს რაიმე მნიშვნელობა?**

- რუსული საზოგადოება დღეს ინფორმაციულ შიმშილს განიცდის. ჩემი ელჩად ყოფნის პერიოდში, პირადად მე ვერ გავიგე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რა პოზიცია აქვს თუნდაც სამხრეთ კავკასიასთან. რა თქმა უნდა, რუსეთის საზოგადოებამ საერთოდ არაფერი იცის ამის შესახებ. ამაზე წუხს თავად რუსული მედიაც. რა უნდა რუსეთს ამიერკავკასიაში, ამაზე პასუხს ვერავინ გაგცემთ. რას ნიშნავს ასეთი აკვიატებული აზრი, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში უნდა განვიხილოთ? ასეთ აზრს რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ხომ არ ანვითარებს, ამაზე რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ბჭობენ. სხვათაშორის, დუმაში მოწყობილი განხილვები თავად რუსეთის კანონების უპატივცემულობაა. რუსებს მიღებული აქვთ კანონი, რომელიც დუმას სხვა ქვეყნის ტერიტორიების საკითხის განხილვასაც კი უკრძალავს. აქაც ვნახოთ ინერცია: რა უხაროდათ მეფის რუსეთში? მეფის რუსეთში ყველაზე დიდი სიხარული იყო რაღაც ტერიტორიების დაპყრობა, მოპოვება - ამ ინერციისგან ვერ განთავისუფლდა რუსეთი.

რუსეთს დღეს საკუთარი ტერიტორიების მოვლა უჭირს და ეს ყველასათვის ცხადია. ასეთ პირობებში კი, აგრძელებენ სხვის ტერიტორიებზე ოცნებას - იქ კოკოითს მოელაპარაკებიან, იქ ხაჯინბას იბარებენ...

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, რუსეთი და საქართველო მაინც მეზობელ სახელმწიფოებად რჩებიან და ამას ვერავინ ვერასდროს შეცვლის. ასე რომ, რუსეთი და საქართველო განწირულნი არიან იმისათვის, რომ კეთილმეზობლობის გზები იპოვონ.

რუსეთის საზოგადოებაში უნდა დავამკვიდროთ ის აზრი, რომ საქართველოდან აგრესია არასოდეს წამოსულა და არც არასოდეს წამოვა. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ვართ აბსოლუტურად ნეიტრალური ქვეყანა, რომელსაც არ სჭირდება მის ტერიტორიაზე არც ერთი ქვეყნის სამხედრო ბაზა. ჩვენ, ასევე, ყველა იმ რუს პოლიტიკოსთანაც უნდა ვიმუშაოთ, ვინც საქართველოს მიმართ მკვეთრი განცხადებებით გამოირჩევა.

**- ჟირინოვსკისთანაც?**

- არა, ჟირინოვსკი ცალკე თემაა და მას არ ვგულისხმობ. აი, ვთქვათ, როგოზინი, რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერი. როგოზინს მზარდი პოლიტიკური წონა გააჩნია რუსეთში, იგი ევროპარლამენტის წევრია, ახალგაზრდა, განათლებული კაცია. მართალია, იგი ხშირად სტუმრობს აფხაზეთს, ცხინვალს, მაგრამ ჩვენ იგი საქართველოშიც უნდა მოვიწვიოთ. რამდენადაც გამაღიზიანებელი არ უნდა იყოს მისი საუბრის ტონი, ჩვენ უნდა შევძლოთ მასთან დიალოგი, ჩვენ მას საქართველო უნდა ვაჩვენოთ. პოლიტიკაში ემოციების ადგილი არ არის. ასეთი რანგის პოლიტიკოსებთან ჩვენ ცივი გონებით უნდა ვიმუშაოთ.

ქართულ პოლიტიკაში, სამწუხაროდ, დამკვიდრდა მოდა, ვინ უფრო მწარედ შეაგინებს რუსეთს. ჩვენ ხომ ყველანი ვაღიარებთ და ყველა ექსპერტი აღიარებს იმას, რომ რუსეთის როლი, რუსეთის მნიშვნელობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ეკონომიკური თუ ბევრი სხვა საკითხის მოგვარებაში განუზომლად დიდია. შესაბამისად, განუზომლად დიდი უნდა იყოს მისწრაფება იმისკენ, რომ, მიუხედავად სამართლიანი გულისწყრომისა, მოვძებნოთ ჩვენს თავში ამ ემოციების ჩაცხრომის ძალა და რუსეთთან საერთო ენა გამოვნახოთ.

რუსეთს დღეს ძალიან უჭირს. ის, რაც მოსკოვში, ჩრდილოეთ ოსეთში ხდება, წარმოუდგენელი ტრაგედიაა. თეორიულადაც კი ძნელია იმის წარმოდგენა, რომ სადღაც, ჩვენს გვერდით, ბავშვები ასე იტანჯებიან... ტერორიზმი შავი ჭირია და მას ერთად უნდა ვებრძოლოთ. საქართველოს მთავრობამ უდიდესი შეშფოთება გამოხატა ამ ფაქტთან დაკავშირებით, რუსეთის მოქალაქეებს თანაუგრძნო და დახმარება შესთავაზა. ტერორიზმი - ეს კიდევ ერთი საერთო სენია, რამაც ჩვენ შეიძლება დაგვაახლოვოს. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ რუსეთში ათასობით ქართველი მოღვაწეობს და მუშაობს. ქართველი ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები შესანიშნავ ნიადაგს პოულობენ რუსეთში. ანუ უამრავი ძაფი არსებობს საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილი დამოკიდებულების არსებობისთვის. მართალია, ხშირად რუსეთის ტელევიზიით ამაზრზენი, საშინელი კომენტარები ისმის საქართველოს მისამართით, მაგრამ ეს ცალკეული ადამიანები არიან და მათ ნათქვამს ორი ქვეყნის ურთიერთობა არ უნდა გადავაყოლოთ.

რუსული საზოგადოება არ არის ინფორმირებული, თუ რა ხდება დღეს საქართველოში. რუსეთში ჩაატარეს გამოკითხვა, სადაც ხალხს ეკითხებოდნენ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას. გაგეცინებათ ალბათ, მაგრამ რუსეთის მოქალაქეების უმრავლესობამ უპასუხა, რომ საქართველოში 64-70 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ასეთი კითხვაც იყო: საქართველო მუსულმანური ქვეყანაა თუ ქრისტიანულიო. 51 პროცენტზე მეტმა უპასუხა, საქართველო მუსულმანური ქვეყანააო.

რუსეთის დუმის გაღიზიანებას იწვევს საქართველოში მიმდინარე დადებითი პროცესებიც: რუსეთმა, სადაც კორუფციის დონე ძალიან მაღალია, ვერ გამონახა მასთან ბრძოლის მექანიზმები, საქართველომ კი კორუფციის დამარცხების გზას მიაგნო და ამას მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ. საქართველოში ცალსახად ითქვა, რომ ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფოს მთავარი ორიენტირია, რომ სიტყვის თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს... რუსეთში ყველაფერი პირიქითაა...

**- თქვენ ბრძანეთ, რომ რუსეთში არიან პრაგმატული, განათლებული პოლიტიკოსები, მაგრამ არიან თუ არა ისინი იქ, სადაც ჩვენ გვჭირდება, ანუ კრემლში?**

- ვფიქრობ, რომ პუტინის და სააკაშვილის ურთიერთობებში არაფერი შეცვლილა. ეს ურთიერთობები ძალიან კარგია. ორივე ლიდერი, ჩემი აზრით, ძალიან ჯანსაღ ღირებულებებს იზიარებს.

მაგრამ, მინდა გავიხსენო ბოლო განცხადებები, რომლებიც გაკეთდა ორივე მხრიდან. ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ამბობს, რომ იგი იცავს საკუთარი მოქალაქეების ფუნდამენტურ უფლებებს და არ დაუშვებს, ეს უფლებები რომელიმე ქვეყანამ შელახოს. რუსეთის პრეზიდენტი კი ამბობს, რომ, თურმე, ჩვენ გაგვიუქმებია ოსეთის და აფხაზეთის ავტონომია... ამ შემთხვევაში მე შემიძლია მიხეილ სააკაშვილის განცხადება მოვიშველიო, როდესაც მან თქვა, რომ რუსეთს მარტო პუტინი არ მართავს. პუტინს მცდარი ინფორმაცია მიაწოდეს... რუსეთის სამხედრო წრეები, დუმის წევრები ძალიან გავლენიანები არიან. ამ ყველაფერს ჩვენ ძალიან დიდი მოთმინებით უნდა მოვეკიდოთ. რა თქმა უნდა, ჩვენს კურსს, ჩვენს მიმართულებას, რომელიც აღებული გვაქვს, არ უნდა გადავუხვიოთ, ყველას საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ, მაგრამ ამავე დროს ჟირინოვსკის ტიპის პოლიტიკოსებზე მაღლა უნდა დავდგეთ და ისეთი დემოკრატიული ქვეყნის სახე უნდა შევინარჩუნოთ, რომელსაც თავის მეზობელთან საერთო ენის გამონახვა სურს.

**- რუსეთს ტერორიზმის ტალღამ გადაუარა, რუსეთს დიდი განსაცდელი ემუქრება. ხომ არ არის მოსალოდნელი რაიმე ცვლილება საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში?**

- ეს არავითარ შემთხვევაში არ იქონიებს რაიმე უარყოფით გავლენას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე. ამ ტერორისტული აქტების ავტორებს რუსეთი უკვე ცალსახად ასახელებს, ანუ ყველასათვის ნათელია, ვინ აკეთებს ამას, რა ძალაა. პირიქით, ამ უკიდურესმა გაჭირვებამ, უკიდურესმა ტრაგედიამ შეიძლება, დადებითი იმპულსებიც კი შესძინოს ჩვენს ურთიერთობებს. ტერორიზმის წინააღმდეგ ერთიანდება მთელი მსოფლიო და ამ საკითხში საქართველოც რუსეთის გვერდითაა. დღეს ყველაზე დიდი გამოწვევა ტერორიზმია და ამან რუსეთი უნდა დააფიქროს. ტანკების, ვერტმფრენების და ავტომატების დათვლას რუსეთმა თავი უნდა დაანებოს, ეს დრო წავიდა. ერთ ტერორისტ ქალს ბირთვულ რაკეტაზე უფრო დიდი ზიანის მიყენება შეუძლია. ერთ ტერორისტ ქალს შეუძლია, მთელი ქვეყანა ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩააყენოს. სწორედ ამაზე მსჯელობს დღეს მთელი მსოფლიო, დღევანდელი გამოწვევები სულ სხვაა. ბირთვულ ომზე მეტად დღეს მსოფლიოს ერთი ტერორისტი ქალის ეშინია. ამ სენის წინაშე ყველა სახელმწიფო უძლურია. ამ უბედურებამ სახელმწიფოებს შორისაც კი უნდა წაშალოს საზღვრები. რა დროს ტანკებზე და სხვისი ტერიტორიების შემოერთებაზე ფიქრია? რუსეთი სერიოზულად უნდა დააფიქროს ამ ტრაგედიამ.

ვიმეორებ: სხვა გამოწვევაა მსოფლიოს წინაშე და, ადრე თუ გვიან, რუსეთი ამას გააცნობიერებს.

სვეტი



მალხაზ ხარბედია

## პირადი ბიბლიოთეკა

### კიარან კარსონი, "სამყურას ჩაი" (2001)

ისევ აქა ვართ, სამთვიანი შესვენების შემდეგ კვლავ დავუბრუნდით ამ დალოცვილ კუთხეს, მშობლიური სვეტის ტერიტორიასა და ძველი მეგობრების წრეს.

ასეთ მეგობრებთან კი კაი ჩაისაც დალევდა კაცი.

ჩაი მრავალნაირი არსებობს და ყველა ქვეყანაში მას განსხვავებული რეცეპტით ამზადებენ. ინგლისელებს რძიანი უყვართ, არაბები კვერცხის გულით შეზავებულს სვამენ, მონღოლები ფქვილსა და ცხვრის ქონსაც ურევენ ჩაის, შუა აზიაში აქლემის რძით გაზავებული ჩაი შეიძლება მოგართვან, სამეგრელოში კი მჭადსაც ჩაფურჩხნიან ხოლმე ჭიქაში. აი ირლანდიაში, თურმე სამყურას ჩაიც არსებობს, ე.წ. "შამროკ ტი", რომელიც კიარან კარსონმა რაღაც მაგიურ სუბსტანციად აქცია და მთელი თავისი რომანი მას მიუძღვნა, მის გარშემო ააგო. სამყურა ხომ ირლანდიის სიმბოლოა, ეს ჩვენი ავტორიც იქაურია და აბა სხვა რისგან უნდა შეეზავებინა თავისი ლიტერატურული ჩაი, თუ არა სამყურასგან.

ირლანდიელობასთან დაკავშირებით რუმინელი მწერლის, ემილ ჩორანის სიტყვები გამახსენდა, ბეკეტზე რომ უთქვამს ოდესღაც: "გადამწყვეტ ნაბიჯს საკუთარი თავისკენ მაშინ ვდგამთ, როცა ყველანაირი ფესვების გარეშე ვრჩებით... ბეკეტი ირლანდიელია, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და აბსოლუტურად არაარსებითი"-ო. ეს ემიგრანტმა თქვა ემიგრანტის შესახებ, კარსონის შემთხვევაში კი სწორედ ირლანდიელობას აქვს არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს წიგნი კელტების მცირე ენციკლოპედიასავითაა და სამყურათი დაწყებული - იეიტსით დამთავრებული, ბევრ საინტერესო რამეს/ვინმეს შეხვდებით. რომანი ხასხასა მწვანე ფერითაა სავსე და პირველივე აბზაცებიც ამ ფერს უტრიალებს. მთხრობელი ამბობს, ლაპარაკი რომ ვისწავლე, მაშინ აღმოვაჩინე, მწვანე ეჭვის ფერი რომ იყოო (შექსპირის ოტელო გაგახსენდათ ალბათ და მისი "მწვანეთვალება ურჩხული"), შემდეგ ნაპოლეონის გარდაცვალებას ახსენებს, რომელიც თურმე მწვანე ფერს მოუწამლავს (პიგმენტი ყოფილა ეგეთი, საწამლავს რომ შეიცავდა, ე.წ. ზურმუხტოვანი, პარიზული მწვანე და ამით ყოფილა შეღებილი წმ. ელენეს კუნძულზე მისი სახლის კედლები), გვიყვება მწვანე მთვარის ამბავს, მწვანე ვენერასაც ახსენებს, მწვანე ჰერმაფროდიტსაც, ლურჯი ჰერმესისა და ყვითელი აფროდიტეს შვილს და ბოლოს დასძენს, მწვანე ორაზროვანი ფერიაო.

ასეთივე ორაზროვანია თავად რომანიც. რადგან იგი ერთი მხრივ ავტობიოგრაფიაა, მეორე მხრივ კი პოსტმოდერნული ნაზავი, მთავარი გმირები კიარან კარსონი და მისი მეგობრები არიან და მათთან ერთად მოქმედებაში ლიტერატურული პერსონაჟები და ავტორებიც ერთვებიან (ჩესტერტონის მამა ბრაუნი, არტურ კონან დოილი, ჯერარდ მენლი ჰოპკინსი, ლუდვიგ ვიტგენშტაინი, უილიამ ბატლერ იეიტსი და სხვ.).

მოდით, სანამ რომანს მივხედავდეთ, თავად ავტორს შევხედოთ, ამ უცნაურად შეზავებული ავტობიოგრაფიის ავტორს.

კიარან კარსონს ადრე უფრო პოეტად იცნობდნენ, 1993 წელს ბრიტანეთის ყველაზე პრესტიჟული, ელიოტის პრემია მიუღია, 2002 წელს დანტეს "ჯოჯოხეთიც" უთარგმნია მშობლიურ ენაზე, 2001 წელს კი "სამყურას ჩაი" ბუკერის პრემიის კანდიდატიც ყოფილა.

მაინც რითაა ეს რომანი განსაკუთრებული? რატომ მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო მასზე? იმიტომ, რომ სერბულ, იტალიურ, თურქულ თუ ესპანურ ე.წ. ინტელექტუალურ საცთურს აყოლილ მკითხველს, ვისაც შესაძლოა ღამეებიც კი უთენებია პავიჩის, ეკოს, ფამუქისა და პერეს-რევერტეს რომანების კითხვაში, კიდევ ერთი გემრიელი ირლანდიური ლუკმა შევთავაზო.

რომანს, როგორც "ჰარი პოტერში", სამი მთავარი გმირი ჰყავს, ორი ბიჭი და ერთი გოგო, მაგრამ ამ ამბავს არაფერი აქვს საერთო როულინგის ხუთსართულიან (ჯერჯერობით) გოდოლთან. აქ სამეულს პირდაპირ ირლანდიურ სამყურასთან მივყავართ და ამიტომ სამებასთანაც. წმ. პატრიკი ხომ სამების საიდუმლოს სამყურას ყლორტის მეშვეობით განუმარტავდა პირველ ირლანდიელ ქრისტიანებს და ეს ჩვენი სამეულიც ასე ხსნის თავის არსებას: ჩვენა ვართ უტყვი სამება, დერეფნებში რომ დაიპარება და თავგადასავლებს ეძიებს, სამი ფოთოლი - ერთ ყლორტზე... ბოლოს კი ისიც ნათელი ხდება, თუ როგორ იცვლის სახეს კარსონის მიერ არაერთხელ მოხმობილი დიუმასეული ავანტიურისტულ-ცუღლუტური შელოცვა და ეს ყბადაღებული "ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის" სამაგიეროდ რაღაც მისტიკურ-თეოლოგიურ შინაარსსაც იძენს.

ამ სამეულს განსაკუთრებული მისია აკისრიათ. ისინი ვან ეიკის ყველაზე ცნობილ ნახატში, "არნოლფინების ქორწილში" უნდა შეიპარონ და იქიდან სამი ფორთოხალი მოიპარონ (ეს სამი ფორთოხალი ნახატზე მარჯვნივ მოჩანს, რაფაზეა შემოდებული), რომელიც კონცენტრირებული სამყურას ჩაითაა სავსე. ახლა ვნახოთ ეს სამყურას ჩაი რაღაა. რა და, არც მეტი, არც ნაკლები ნარკოტიკი, რაღაც ღვთაებრივი ელექსირი, რომელიც სასმელიც შეიძლება იყოს და მოსაწევიც. ეს კონცენტრირებული ჩაი შემდეგ ბელფასტის წყალსაცავში უნდა გაზავდეს, საიდანაც მთელი ჩრდილოეთ ირლანდია მარაგდება სასმელი წყლით და ხალხიც განიწმინდება ამ წყლით, მოინათლება. ისინი სამყაროს ერთიან სურათს იხილავენ, სადაც ერთი მრავალია, ერთი ყველასათვისაა და ყველა ერთისათვის, სადაც საზღვრები არ იარსებებს და ა.შ... და აქ მწერალი ყველაზე მნიშვნელოვან რამეს ამბობს: "რეალურ სამყაროში ხომ ყველაფერი ერთმანეთს ეხმიანება და ამით უსასრულო ხოტბა აღევლინება, ჰიმნი სამყაროს, რომელიც სხვა არაფერია თუ არა დაუსრულებელი ამბავი, თხრობა".

ამ რომანში ყველა მოტივი თუ სახელი მართლაც არაჩვეულებრივ, ზღაპრულ თანახმიერობაშია, ამ ყველაფერს კი ერთი ქვეყანა, ირლანდია აერთიანებს. თურმე ნუ იტყვით და მედეას მიერ მომზადებული ჯადოსნური ელექსირი, რომლითაც იასონს დრაკონი დაუძინებია - რათა ოქროს საწმისი გაეტაცა, - დიდი რაოდენობით აკონიტს შეიცავდა, რომელიც სამყურას ჩაის ძირითადი შემადგენელი ყოფილა და მედეას თურმე ეს ძლიერმოქმედი ბალახ-ბულახი ირლანდიის მიწაზე დაუკრეფია. ვან ეიკს კი თავისი ცნობილი "არნოლფინების ქორწილი" ირლანდიური მუხის დაფაზე დაუხატავს და შემდეგ სურათი სამყურას ჩაის ნახარშით გაზავებული ლაქით დაუფარავს - სწორედ ამის შედეგად შესძენია ნამუშევარს ასეთი მაგიური ძალა და ჰალუცინოგენური სიცხადე. თავად ნახატზე გამოსახული პატარა გოშია კი თურმე ზუსტად იმეორებს ირლანდიის კუნძულის მოხაზულობას. ახლა ავტორს და გამოსახულ პერსონაჟებს რაც შეეხება: საქმე იმაშია, რომ ვან ეიკიცა და ჯოვანი არნოლფინიც ოქროს საწმისის ორდენის რაინდები ყოფილან, წევრები ჰიბერნიელების უძველესი ორდენის ერთ-ერთი განშტოებისა.

სხვა პერსონაჟებსაც ძალიან ბევრი ლიტერატურული წინაპარი ჰყავთ. მაგალითად მთავარი გმირის, პატარა გოგონას, ბერენიკას პორტრეტის მიღმა დაკვირვებული მკითხველი ადვილად ამოიკითხავს ედგარ პოს "ბერენიკას" მთავარ მოტივს, გოგონას საოცრად ელვარე კბილებს (რომანში ეს მსგავსება რამდენჯერმეა ხაზგასმული) და მსგავსებას ლუის კეროლის ალისასთან. მეორე მთავარი გმირი, ფლანდრიელი ყმაწვილი კი მთლიანად მეტერლინკის ხაზს აცოცხლებს მთელი თავისი ფუტკრებითა და ლურჯი ფრინველით. "ლოიოლას სახლის" უმცროსი მებაღე, ძმა იეიტსი სხვა არავინაა, თუ არა უილიამ ბატლერ იეიტსი, დიდი ირლანდიელი პოეტი, ვისი დედაც სლაიგოს საგრაფოში ცხოვრობდა და ოთხმოცი წლის მანძილზე თურმე დღეში ორ ჩაიდანს სვამდა სამყურას ნაყენს. ასევე გაიელვებენ ძმები უილიამ და ჰენრი ჯეიმსები, ოსკარ უაილდი და სხვები, ბოლოს კი ყველა ამ პერსონაჟს საკმაოდ უცნაურ გარემოში უწევს "ლიტერატურული ახსნა-განმარტების მიცემა", რაც საბოლოოდ არკვევს რეალურისა და ირეალურის ზღვარს ამ რომანში.

და რაც მთავარია, ყოველი მოთხრობილი დღე რომანში დღესასწაულია, ხან წმ. მონიკასი (ნეტარი ავგუსტინეს დედის), წმ. ანაკლეტოსის და წმ. მარგარიტასი, ხანაც წმ ეკატერინესი, წმ. სელესტინისა (წიგნებისა და ყდის ოსტატთა მფარველი წმინდანების) და სხვების. ამით კი რომანი, თითქოს იმ ძველ, ბავშვობისდროინდელ დღესასწაულებსაც გვახსენებს, როცა ყოველ დღეს კონან დოილისა და სხვა "ლიტერატურულ წმინდანთა" წიგნების კითხვა ამკობდა.

იმ დროში ჩაისაც სულ სხვა გემო ჰქონდა.

# იმედი = წმინდა ვირი

## ემირ კუსტურიცა კანიდან თბილისში

თამარ ბაბუაძე

*ცარიელი თბილისის გადამკიდე კინოთეატრ "ამირანს" რამდენიმე ხნის წინ ძველი ფილმების რეტროსპექტივა ჰქონდა გამართული. ერთ-ერთ მორიგ ჩავლაზე, აფიშაზე გამოკრული რობერტო ბენინი დავინახე თავისი ფილმი-ჰიტით "ცხოვრება მშვენიერია". რამდენიმე დღის შემდეგ კი სამხრეთელი ბენინი ღიმილიანმა სლავურმა სახემ შეცვალა, სათაური კი აფიშაზე თითქმის იგივე დარჩა - "ცხოვრება მშვენიერიას" ნაცვლად უკვე შვებით ნათქვამი მტკიცება გაჩნდა - "ცხოვრება მართლაც მშვენიერია". ვინ აღმოაჩინა ამერიკა თავიდან? ვინ და ემირ კუსტურიცამ. ოღონდ, ცხადია, ეს "ამერიკა" არსებულისგანაც და ბენინისეულისგანაც სრულიად განსხვავებული და მოდით ვთქვათ, "კუსტურიცულია". ამაში დარწმუნების საშუალება დღეიდან, 2 სექტემბრიდან გვექნება. თბილისში უჩვენებენ ფილმს, რომელიც 2004 წლის კანის კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში ირიცხებოდა და საფრანგეთის განათლების ნაციონალური პრიზით დაჯილდოვდა.*





### 1992 წელი. ბოსნია.

ცხოვრება, ასეც და ისეც, მართლაც მშვენიერია და ეს ემირ კუსტურიცამაც გადასარევად იცის. ოღონდ, მან თავის ფილმს ცოტა სხვაგვარი სათაური დაარქვა და ყურადღება გაამახვილა იმ სასწაულზე, რომელიც ხავსის გაწყდომის შემდეგ გამოჩნდება ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში და იმედგადაწურულს მეშვიდე ცას გაუხსნის; მან მიგვანიშნა იმ მოულოდნელ სიხარულებზე, რომელიც უკანასკნელ პესიმისტსაც აფიქრებინებს, რომ სიცოცხლე, რომელიც მას ნაცრისფერ რეალობად ესახება, სინამდვილეში სასწაულია.

ორიგინალში ფილმს ასეც ჰქვია - Zivot je Cudo (Life is a Miracle). ეს პათეტიკური შეძახილი რეჟისორს, როგორც ჩანს, ისე მოსწონს, რომ კანში გამართულ პრესკონფერენციაზეც დამახასიათებელი ირონიის გარეშე ამბობს: "მე მაინც მჯერა, რომ სასწაული არსებობს".

სჯერა ლუკასაც. ახალი ფილმის მთავარ პერსონაჟს. პრინციპში, ემირი და ლუკა თითქმის ერთი და იგივე ადამიანია, თუმცა, ამაზე ცოტა ქვევით თავად რეჟისორი გვიამბობს.

ბოსნიაში კი 1992 წელი დგას. ლუკა სერბი ინჟინერია, ბელგრადიდან. ის ერთ მიყრუებულ სოფელში მიდის, რათა იქ რკინიგზა გაიყვანოს და მიდამო დიდ ტურისტულ სანახაობად აქციოს. მეოცნებე ინჟინერს თან ცოლი, ოპერის მომღერალი იადრანკა და ვაჟი მილოში მიჰყავს. არადა, იწყება ომი. იდეით და თანდაყოლილი ოპტიმიზმით დაბრმავებული ლუკა ჯერ ვერაფერს ამჩნევს, ტურისტულ სამოთხეზე განაგრძობს ბოდვას. მერე კი ცოლი გაექცევა - იადრანკა ვიღაც მუსიკოსის მკლავზე ნარნარად გადაწვება და ნაზი რწევა-რწევით გაუჩინარდება ქმრის ოცნებებით სავსე რეალობიდან.

მერე მილოშს ფრონტზე წაიყვანენ. ლუკა კი იმედს მაინც არ კარგავს და ცოლ-შვილის დაბრუნებას ელის. ამასობაში მილოში ტყვედ აჰყავთ, სერბული ჯარის ხელმძღვანელობა კი ლუკას ასევე ტყვედ აყვანილი მუსულმანი ქალის საბაჰას ზედამხედველად ნიშნავს. ლუკა მკაცრი უნდა იყოს მძევალის მიმართ, არადა, ცდუნებას ვერ უძლებს და თანდათან უყვარდება ქალი. თუმცა, ბედი ინჟინერს ამასაც არ აკმარებს და მის რეალობას კიდევ რამდენჯერმე ამოაყირავებს - საბაჰა სერბებმა ლუკას შვილზე, მილოშზე უნდა გაცვალონ. ლუკა განიცდის, არჩევანის გაკეთება ესიკვდილება, მერე კი გაქცეული ცოლიც ბრუნდება... აი, ასე კადრ-კადრ იქსოვება აკორდეონის ჰანგებით გაჟღენთილი მყვირალა, მსუყე, სასაცილო, კიჩური, მაგრამ კეთილი სამყარო, სადაც სასწაულები სასწაულებზე ხდება.

### მკვდარი იმპერიების ნაკვერჩხალზე გაღვივებული შუღლი

...ემირ კუსტურიცა კვლავაც "ცუდი ბიჭია". არაპოლიტკორექტული. ირონიული. სამართლიანი. პოსტ-საბჭოთა იუგოსლავიის პირველი პანკი. ბოშური კიჩის ავტორი. ზოგადად კიჩისა და სიყალბის უარმყოფელი. ოღონდ, არა პირდაპირი უარყოფის გზით, არამედ მისი დიდი რაოდენობით შექმნითა და მისგან სიამოვნების მიღებით.

ის "ღმერთის ძიებისას ათეისტია" (თურმე, ასე ამბობს თავად) და უკანასკნელ მოჰიკანთაგან ერთ-ერთია (ამასაც თვითონ ამბობს და ოდნავ ქვევით მოგახსენებთ, თუ რა კონტექსტში), გორან ბრეგოვიჩთან ერთად დაუვიწყარი საუნდტრექების ავტორია და ჯგუფის "ნოუ სმოუქინგ ორქესტრას" ლიდერი.

მაგრამ ყველაზე და ყველაფერზე მეტად ემირ კუსტურიცა სლავია - "მე სლავი ვარ. სლავი - შინაგანი ურთიერთწინააღმდეგობებით, სურვილით სამყარო შავ-თეთრ ფერებში აღვიქვა, იუმორით, განწყობის უეცარი ცვლილებით და ისტორიის ჩემეული აღქმით. მე აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვარზე დავიბადე, გაუსაძლისად მტკივნეულ საზღვარზე და წარსულს ჩემში მოგონებად მუდამ შევინახავ".

ალბათ, კუსტურიცას ყველა ფილმის და მათ შორის ახალი ფილმის სათავეც ამ ფრაზაში უნდა ვეძებოთ - თავისი ქვეყნის გეოგრაფიის ასე ცოცხლად და სიღრმისეულად აღქმაში. სანამ ომის დაწყების თემაზე ფილმს გადაიღებდა, კუსტურიცა ხომ 1992 წლის 24 აპრილს გაზეთ "ლე მონდში" წერილს წერდა, სათაურით - "ევროპავ, ჩემი ქალაქი იწვის". "ჩემს ქალაქში გაზაფხულის წვიმის წვეთების ნაცვლად ბომბები ცვივა... ბალკანეთი ის მიწაა, სადაც უდიდესი იმპერიები ეცემოდნენ, იქ გაიხლიჩა რომის იმპერია ორად, აღმოსავლეთად და დასავლეთად, იქ დაასრულა სიცოცხლე ოტომანების იმპერიამ, იქ დაიმარხა უნგრულ-ავსტრიული მონარქია.

ევროპავ, ბოსნიელი მუსლიმებისა და ბოსნიელი სერბების დაპირისპირება ნამდვილი არ არის, ის ძალით შეთითხნეს, იმ ნაკვერჩხალზე გააღვივეს გარდაცვლილმა იმპერიებმა რომ ჩატოვეს ისტორიული ხანძრების ფერფლში... ეს თქვენი ცეცხლია, თქვენ უნდა ჩააქროთ ის. დროა, ისინდისო, ევროპავ, თუ საერთოდ არსებობ!" - ასე სრულდებოდა ის წერილი.

კუსტურიცა დღეს, ალბათ, ფიქრობს, რომ ევროპამ მისი თხოვნა არ შეისმინა. ამ წერილიდან წლების შემდეგ კი, თავის ახალ ფილმში უკვე ერიდება მკვეთრი და ემოციური პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას და ბალკანეთის ომს მხოლოდ სასიყვარულო ისტორიის ფონად იღებს.

### ომი

რეჟისორის ოფიციალურ ვებგვერდზე პრესისთვის განკუთვნილ განყოფილებაში კუსტურიცასთან ინტერვიუს წაკითხვა შეიძლება. რაც მთავარია, ეს ინტერვიუ სპეციალურად პრესის განყოფილებისთვის არის გამოქვეყნებული, და ამიტომ უცხოელი ჟურნალისტის საავტორო უფლებებზე ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, შეგვიძლია ინტერვიუდან ნაწყვეტები თქვენც შემოგთავაზოთ. აი, რა აზრისაა რეჟისორი ომზე:

"როდესაც "ანდერგრაუნდი" გადავიღე, პიტერ ჰანდკემ მითხრა, რომ შეუძლებლის მიღწევას ვცდილობდი - ძმები მარქსებისა და შექსპირის ერთმანეთში შეზავებას. მაგრამ როცა "ცხოვრება სასწაულია" ნახა, აზრი შეიცვალა და მომიგო, ახლა უკვე შექსპირი ჭარბობსო... მართლაც, რაც ომის დროს მოხდა, შექსპირული იყო, მე უბრალოდ ის ჩემეული პერსპექტივით გავაკეთე - მეტი ირონიითა და ცხოვრების სასაცილო ასპექტების წინ წამოწევით.

ჩემთვის მთელი ბალკანეთი სცენაა. ოღონდ, როცა შექსპირული დილემა ბალკანურ კონტექსტში ვითარდება, მას ინგლისურ, ანდა დანიურ კონტექსტში ვერაფრით განიხილავ. აქ ყველაფერი უფრო წარმართულია...

ეს ფილმი არის ომზე, მაგრამ სრულიად სხვა რაკურსით გადაღებული. მე ხომ მთელი ძალით ვეცადე დავშორებოდი იმ იდეას, როცა აუცილებლად უნდა თქვა, რომ ეს ნაცია ცუდია, ეს კი - კარგი; ეს ხალხი აგრესორია, ეს კი - ჩაგრული. საკითხისადმი ასე მიდგომა არ შეიძლება, ასე განსჯის დროს პრობლემა კი არ გვარდება, ერთ წერტილში იყინება. მერე კი, როცა დრო მოდის, ხალხი სწორედ იმის ძიებას იწყებს, თუ როგორ ცხოვრობდნენ და რას აკეთებდნენ პრობლემის გაყინვამდე. ჩემი ამბავი მართლაც ომის დროს მოხდა და ეს ფონი ფილმს ალბათ კიდევ უფრო იდეოლოგიურს ხდის. ეს ომი ხომ ძალიან ბინძური იყო, სულ სხვანაირი, ვიდრე ტელევიზიით უჩვენებდნენ. ტელე-ეკრანზე ყველაფერი ისე ხელოვნური და მართული ჩანდა, რომ ვერც კი დაიჯერებთ. და მეც ვეცადე, ამ ყველაფრის მიღმა გამეხედა და უფრო ადამიანურ რეაქციებს ჩავძიებოდი...

ამ ფილმზე ამბობენ, რომ ძველმოდურია. მე კი ვიტყოდი, რომ ის ძალიან ძველმოდური თანამედროვე ფილმია იმიტომ, რომ ჩვენ წინა პლანზე ვაყენებთ ემოციებს და არაფერს ვამბობთ იმაზე, თუ ვინ იყო დამნაშავე ომში და ვინ - არა. დასავლური სამყარო კი, ბოსნიის ომზე მსჯელობისას, სწორედ ასეთ მიდგომას ამჯობინებდა".

### რეჟისორი ლუკას შესახებ

"მასთან ბევრი საერთო მაქვს. განსაკუთრებით მომწონს ის, რომ ლუკა გრძნობას თავიდანვე მთელი არსებით არ ეძლევა. ის ძველმოდური კაცია. საყვარელ ქალთან ურთიერთობის დამყარებას სულ სამომავლოდ დებს იმიტომ, რომ ჯერ სურს შვილი დაიბრუნოს. ლუკა ძალიან ერთგული ადამიანია, მეც ასე ვარ. როცა ვხედავ, თუ როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ, დღითი-დღე, დიდი სიფრთხილით უახლოვდება ის საყვარელ ქალს, მაშინვე ვხვდები, რომ მეც ზუსტად ასე მოვიქცეოდი...

ლუკა ჯიუტობს და რეალობას, რომ ომი ის-ისაა უნდა დაიწყოს, არ აღიარებს. მეც ზუსტად ასე დამემართა. როცა ომი დაიწყო, პარიზში ვიყავი. პირველი 40 დღე ყველაფერს უარვყოფდი, არ მჯეროდა... შეიძლება, როგორც ძველი მოდელის ტელე-კამერას, ინფორმაციის მიღებისას ტვინში რაღაც შენელება მჭირდა. ასე მთელი თაობა იყო, ლუკა მათ ჰგავს...

ძალიან გამიმართლა თვითონ მსახიობშიც. სლავკო, ლუკას როლის შემსრულებელი ენტონი ჰოპკინსის ბალკანური ვერსიაა.

### მსახიობი ლუკას შესახებ

ლუკას როლს ცნობილი ბალკანელი მსახიობი სლავკო სტიმაჩი ასრულებს. ის 11 წლიდან კინოშია. ნიუ იორკსა და ბელგრადში ცხოვრობს და თავს კუსტურიცას დიდ მეგობრად მიიჩნევს. "ცხოვრება სასწაულია" მათი მესამე ერთობლივი ფილმია. მანამდე სლავკო სტიმაჩი თამაშობდა 1981 წელს გადაღებულ და ოქროს ლომით დაჯილდოებულ ფილმში - Do You Remember Dolly Bell და 1995 წელს გამოსულ, ოქროს პალმის რტოთი აღნიშნულ "ანდერგრაუნდუში".

სლავკოს აზრით, ლუკა მეოცნებე, კეთილი კაცია, რომელსაც დიდად არ აინტერესებს რა ხდება გარშემო და მით უფრო, რა ხდება პოლიტიკურ ასპექტში. ომი იწყება, რომ ესმის, ის ჯიუტად იმეორებს: "ხალხი გონიერია, არ იზამენ მაგას"...

თუ "ამირანში" "ნონ-სტოპ" რეჟიმში მიმდინარე ფილმი "ნატალი" რომელიმე სეანსზე მაინც ნახეთ, ნახავდით კუსტურიცას ახალი ფილმის საანონსო ვიდეოკლიპსაც და აუცილებლად დაგამახსოვრდებოდათ ერთი პატარა სცენა - ქერათმიანი, შიშველი ქალი ჩანჩქერში დგას და იცინის. მართლაც ლამაზი სცენაა - გულწრფელად ემოციური, ყოველგვარი სიყალბისგან დაცლილი. სლავკო სტიმაჩი ამ ეპიზოდის გადაღებას ასე იხსენებს:

"მთებში ვიყავით, მგონი, ოქტომბერი იყო. ცხელი წყალი კონტეინერებით ავიტანეთ, რომ როგორმე გაყინული ჩანჩქერი შეგვეთბო. მაგრამ ცხელი წყალი სულ იქ ჩაცალეს, სადაც საბაჰა უნდა მდგარიყო, ჩანჩქერში, მე ისე დავრჩი. თუმცა, მერე თავს ერთი მოგონებით ვიმშვიდებდი: მაშინ სემ პეკინპას სურათს Cross of Iron-ს ვიღებდით ინგლისში. ერთ-ერთ ეპიზოდში ჯეიმს კობურნი ტბაში უნდა შესულიყო. ნოემბერი იდგა, წარმოიდგინეთ ნოემბერი ინგლისში. კობურნს კი სამი დუბლი გადაუღეს - სამჯერ ჩაყვინთა წყალში... ჩანჩქერის სცენის დროს სწორედ კობურნს ვიხსენებდი. ჩემს თავს ვეუბნებოდი, მიდი, გამაგრდი, ჯეიმსი მაშინ 55 წლის იყო და მაინც გაუძლო ცივ წყალს, შენ რა გემართება".

### იმედი

ფილმში გადამწყვეტ როლს ასრულებს ვირი, რომელიც მთავარ გმირს თვითმკვლელობის - მატარებელის ქვეშ შევარდნის გეგმას ჩაუშლის. აი, რას ამბობს კუსტურიცა ამის შესახებ: "ყველაზე მშვენიერი რამ ამ ცხოვრებაში ის არის, რომ როცა ადამიანს სიკეთე აქვს ჩადენილი, მას აუცილებლად გამოეცხადება მფარველი გასაჭირში და იხსნის მას. ლუკას შემთხვევაში ეს მხსნელი ვირია, რომელიც მატარებელს წინ გადაუდგება.

ეს იდეა მოგვიანებით გამიჩნდა. მაშინ უკვე სცენარიც დაწერილი იყო, დიალოგებიც ძალიან მომწონდა და ვფიქრობდი, რომ პერსონაჟებიც სრულყოფილნი იყვნენ. მერე შემთხვევით ვნახე ფოტო, რომელზეც აღბეჭდილი იყო კაცი, რომლის ვირიც ლიანდაგზე, მატარებლის წინ დგას. ამ ფოტომ ფილმის დასასრულზე ჩამაფიქრა. მივხვდი, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც სცენარში ეწერა. მიხვდი, რომ ადამიანს თვითმკვლელობის ჩადენის უფლება არ უნდა მისცე. პირიქით, კარი უნდა დატოვო ღია და ყველას ხმამაღლა უთხრა, "შეხედეთ, აი, აქედან იმედი მოდის!" ჩემთვის მთელი იდეა სწორედ იმედის არსებობაა, ვიტყოდი, წმინდა ვირის არსებობა...

ასე რომ, ეს სევდიანად იმედიანი ფილმია, ლუკა ხომ სიყვარულის პერსპექტივას უსახავს მაყურებელს, ყველაფერი დანარჩენი კი გაუფასურებულია...

უკანასკნელი საუკუნე ომებისა და კონფლიქტების საუკუნე იყო, მაგრამ იყო მეტი იმედიც, ვიდრე დღეს. ახლა, თითქოს, სიკვდილი ჩვეულებრივი ამბავი გახდა, ყოველდღიურად აუცილებლად თან რომ უნდა გსდევდეს. ახლანდელ მსოფლიოს საკვებად უტოპია აღარ დარჩა, ამიტომ ჩვენთვითონვე, ჩვენი პირადი უტოპია უნდა გამოვიგონოთ, რადგან რამდენ სულიერსაც გადავარჩენთ, რამდენ გრძნობასაც ვიხსნით, მით უფრო მეტს მოვიპოვებთ".

### კინო

ზოგი ამბობს, რომ "ცხოვრება სასწაულიას" ფრენკ კაპრას ხელი ატყვია. ამ მოსაზრებას კუსტურიცა ასე პასუხობს:

"ძალიან სასიამოვნო იქნება, ასე რომ იყოს. რადგან კაპრა ჰოლივუდის საუკეთესო ხანის და ყველაზე ძლიერი წარმომადგენელია. ის და ლუბიჩი. მათი კინო, სამწუხაროდ, აღარ არსებობს. მე სწორედ ამ კინოს გასაცოცხლებლად ვიბრძვი, რამდენიმე სხვა უკანასკნელ მოჰიკანთან ერთად... თუ შეადარებთ ამერიკული კინოს 40-50 წლებსა და 80-იანებიდან დღემდე ხანას, მიხვდებით, რომ საქმე საშინლადაა. საკუთარ თავს ჩაეკითხებით კიდეც, "ნუთუ კაცობრიობა მართლა ასეთი სულელური, იდიოტური გზით პროგრესირდა? თუ ეს რაღაც ახალი იდეოლოგიაა, რომელსაც ჰოლივუდი ემსახურება? როცა კინო იძულებულია, ფეხქვეშ გაეგოს კორპორაციული მსოფლიოს კონცეფციას. მსოფლიოსას, სადაც მომხმარებელი და არა ადამიანი, არა მოქალაქე არის მთავარი... საშინლად ყალბია იფიქრო, რომ კაცობრიობის სოციალური და ფსიქოლოგიური პროცესების ერთადერთი რეგულატორი და საზომი ბაზარია. ეს დიდი სიყალბეა და დიდხანს ვერ იცოცხლებს.

### იუმორი

"იუმორი წერისას იბადება, იმ ფასეულობებიდან ამოდის, რომლითაც მე სამყაროს აღვიქვამ, ცხოვრების იმ სტილიდან, რითაც ვცხოვრობ. გადასაღებ მოედანზე მე მაყურებლის ელჩი, წარმომადგენელი ვარ და მაყურებელსაც და მეც გართობა გვინდა. მინდა, ხელი დამრიოს იმ უსახელო განცდამ, რომელიც ურთიერთობიდან, რეაქციიდან მოდის... ეს ძაფი ძალიან ფრთხილად უნდა გაიბას, შენ ვერც უნდა დაინახო ის. ამას მე უხილავ არქიტექტურას ვეძახი".

# "ქრისტეს ვნებანი" მელ გიბსონისაგან





უმბერტო ეკო
ჟურნალი "ესპრესო"

შემეშინდა, ვაი თუ კითხვები დამაყარონ, მე კი ვერაფერი ვუპასუხო-მეთქი, ჰოდა, როგორც იქნა, წავედი მელ გიბსონის "ქრისტეს ვნებათა" სანახავად. უცხო ქვეყანაში ვიყავი, სადაც ჭკუა იხმარეს და ბავშვებს აუკრძალეს ფილმის ნახვა. ეკრანზე ბევრს ლაპარაკობენ არამეულად, დიდი-დიდი რომაელებს გაუგო, როცა ყვირიან - "ი!" - რაც, როგორც ეტყობა, უნდა ნიშნავდეს: "წადი, შენი!". ახლავე უნდა ვთქვა, რომ ფილმი, რომელიც ტექნიკურად ძალიან კარგადაა გაკეთებული, არაა არც ანტისემიტიზმის და არც ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის გამოხატულება. ის არც რაღაც სასტიკი მსხვერპლშეწირვის მისტიკითაა დატვირთული. ეს ეგრეთ წოდებული "სპლატერია", ანუ ფილმი, რომელიც გადაღებულია ბევრი ფულის საშოვნელად, რისთვისაც მაყურებელს იმდენ სისხლსა და ძალადობას უჩვენებს, რომ ტარანტინოს "კრიმინალური საკითხავი" საბავშვო ბალებისთვის გადაღებულ ანიმაციურ ფილმად უნდა ჩავთვალოთ. კაცმა რომ თქვას, ტომი და ჯერის მულტფილმები ბავშვებს უჩვენებენ, როგორ ჭყლეტენ პერსონაჟებს ასფალტის სატკეპნი მანქანები, როგორ ვარდებიან პერსონაჟები ცათამბჯენებიდან, ათას ნაწილად იმსხვრევიან, კარებში ეტანებიან მთელი სხეულით და ა. შ. ერთი სიტყვით, ამის მსგავსად, გიბსონის ფილმშიც სისხლის ჰექტოლიტრები იღვრება, რომლებიც ალბათ ათი ავტოცისტერნით მოზიდეს, თანაც მის შესაგროვებლად მთელი ტრანსილვანიის ვამპირებს უყვეს მობილიზაცია.

ეს არაა რელიგიური ფილმი. ქრისტეს უწყებიდან ის მხოლოდ იმას გულისხმობს და გადმოგვცემს, რასაც ყველანი პირველი ზიარებისას ვსწავლობთ კატეხიზაციის გაკვეთილებზე. ქრისტეს ურთიერთობა მამასთან აშკარად ისტერიული და სრულიად "საეროა". ასეთი ურთიერთობა შეიძლება ჰქონოდა, მაგალითად, ჩარლი მენსონს სატანასთან, მაგრამ აქ თვით სატანასაც არა აქვს სათანადო დიდებულება: მხოლოდ აქა იქ გამოჩნდება ქუჩის ოღრაშივით გამოწყობილი და მილიარდობით დაღვრილი ერითროციტის შემხედვარეს, მასაც კი გული უწუხს. მეორე მხრივ, ყველაზე ნაკლებად დამაჯერებელი სცენა ქრისტეს აღდგომაა, რომელიც ფილმში გაცოცხლებული მკვდრების ღამეს უფრო ჰგავს, ვიდრე რენესანსულ მხატვრობას. სახარებათა დიადი და ღირსეული სიტყვიერი მომჭირნეობისა ამ ფილმს არაფერი ეტყობა: მას საააშკარაოზე გამოაქვს ყველაფერი, რასაც სახარებები დუმილით უვლიან გვერდს, რომ მკითხველმა თვითონ განსაჯოს მდუმარედ, რას ნიშნავს მისთვის კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი მსხვერპლშეწირვა. იქ, სადაც სახარებები იმის თქმით შემოიფარგლებიან, რომ იესო გვემეს (სამი სიტყვა მათეს, მარკოზთან და იოანესთან, არც ერთი - ლუკასთან), გიბსონი ქრისტეს ჯერ ლერწმის წკეპლებით აცემინებს, მერე ლურსმნიანი ღვედებით, ბოლოს კი ხის უროებით, სანამ იმ მდგომარეობამდე არ მიიყვანს, როგორიც, მაკ-დონალდსის მომხმარებელთა აზრით, უნდა იყოს ჰამბურგერის დასამზადებლად დაბეგვილი ხორცი.

ნაზარეველის მიმართ გიბსონის ზიზღი გამოუთქმელად დიდი უნდა იყოს, ვინ იცის, რომელ ბავშვობისდროინდელ მძიმე მოგონებას იხშობს ის, როცა ქრისტეს სხეულს სულ უფრო და უფრო ასისხლიანებს. მადლობად ღმერთს, ფილოლოგია არ აძლევს საშუალებას, თორემ ალბათ ელექტროშოკსა და ბენზინის ოყნასაც იხმარდა. ნუთუ ზოგიერთებს მართლაც ჰგონია, რომ ამგვარად უნდა შეიგრძნოს ჯანსაღი ძრწოლა ცხოვნების საიდუმლოს წინაშე?

მაგრამ განა ეს ანტისემიტური ფილმია? თუ ვინმეს უნდოდა "სპლატერ ვესტერნის" (უფრო ზუსტად კი "ისტერნის") გადაღება, ალბათ აშკარად უნდა დაეზუსტებინა მხარეების ფუნქცია: კარგი ცუდების წინააღმდეგ. ცუდებიც ისეთი უნდა ეჩვენებინა, რომ მათზე ცუდების წარმოდგენა ძნელი ყოფილიყო. მაგრამ თუ ასეთი ცუდები ებრაელი მღვდლები არიან, მათზე ცუდებად რომაელები აღიქმებიან. რა თქმა უნდა, გიბსონი ფიქრობდა, რომ თუ ცუდებად რომაელებს გამოიყვანს (რაც მანამდე ასტერიქსმა უფრო დიდი წარმატებით განახორციელა), არ უნდა გვეშინოდეს, რომ ვინმე კაპიტოლიუმს ცეცხლს წაუკიდებს. ამავე დროს, როცა საქმე თანამედროვე ებრაელებს ეხება, უფრო ფრთხილად უნდა მოიქცე. მაგრამ რა შეიძლება მოვთხოვოთ მას, ვისაც მხოლოდ სისხლიანი ბიფშტექსის შეთავაზება სურს ბევრი წიწაკითა და ბევრი კეტჩუპით? გიბსონმა ერთგვარი კეთილგონიერება გამოიჩინა და გვიჩვენა შედარებით კარგი სამი ებრაელი და სამი რომაელი, რომლებსაც რაღაც ყოყმანის მაგვარი მოიცავს — ისინი მაყურებელს შეჰყურებენ და სახეზე თითქოს შეკითხვა ეხატებათ: "ბიჭებო, მეტი ხომ არ მოგვდის?". მაგრამ მათი ეჭვი და ყოყმანი მხოლოდ იმისთვისაა ნაჩვენები, რომ კიდევ უფრო აუტანელი გახდეს, რაც ფილმშია ნაჩვენები და რომ ნამდვილად აგერიოს გული, როცა დაინახავ, რა გამოედინება ნეკნებიდან.

გიბსონი ინტუიციურად ხვდება, რომ ყველაზე შემოსავლიანი "სპლატერი" ის იქნება, რომელშიც ძეს ღვთისას ხორცსაკეპ მანქანაში გაატარებენ. ამას ის მშვენივრად ახერხებს და უნდა მოგახსენოთ, რომ როცა ქრისტე ბოლოს და ბოლოს კვდება და მისი წამების ყურება აღარ გვაწუხებს (ან აღარ გვატკბობს), როცა იწყება ქარიშხალი, მიწისძვრა, როცა იხევა ტაძრის კრეტსაბმელი, რაღაც ემოციას მართლაც განვიცდით იმის გამო, რომ, როგორც იქნა, თუნდაც ასეთი ზედაპირული და მეტეოროლოგიური ფორმით, ჩნდება ის ტრანსცენდენტული, უზენაესი საიდუმლოება, რაც ასე აშკარად აკლია ფილმს. დიახ, ამ მომენტში მამა ღმერთი გვასმენს თავის ხმას. მაგრამ გონიერი და, იმედია, მორწმუნე მაყურებელი ხვდება, რომ მამა ღმერთი ამით სწორედ მელ გიბსონს ურისხდება.

ამერიკული ისტორია

# სთოუნუოლის ამბოხი

მაგდა ანიკაშვილი

ბითნიკების ლიტერატურამ და ცხოვრების წესმა დიდი როლი შეასრულა ამერიკული მორალის შეცვლის საქმეში. ბევრი პრობლემა, რომელთა შესახებ საუბარიც კი მიუღებელი და აკრძალული იყო სხვაგვარად გაიაზრა საზოგადოებამ. პირველ რიგში ეს ჰომოსექსუალიზმს ეხება, რადგან ამ მიმდინარეობის ლიდერების მიერ აღიარება საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა და ღიად ცხოვრება საზოგადოებაში იმ დროისთვის გაუგონრად თამამი, თითქმის რევოლუციური ნაბიჯი იყო. 60-იანი წლების საპროტესტო მოძრაობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ჰომოსექსუალთა გაკიცხვისა და დევნის წინააღმდეგ იყო მიმართული. ყველა უფლება, რომელიც მათ შემდეგ მიიღეს ხანგრძლივი ბრძოლის ფასად დაუჯდათ.

1968 წელს ჩრდილოეთ ამერიკის ჰომოსექსუალთა კონფერენცია იმართება, სადაც ოფიციალური დევიზი: "გეი - ეს კარგია!" ცხადდება. მიუხედავად იმისა, რომ ჰიპების ბრძოლა მშვიდობისათვის, ფემინისტური მოძრაობა, შავკანიანთა უფლებებისათვის მებრძოლი პარტიები და მათთან ერთად ჰომოსექსუალები ერთსულოვანნი არიან გამოსვლებში, გეების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება მნიშვნელოვნად მხოლოდ სთოუნუოლის ამბოხის შემდეგ შეცვალა.

1968 წლის ივნისში პოლიცია მორიგ რეიდს ატარებს ნიუ იორკის ქრისტოფერ სთრითზე მდებარე გეი-ბარში სახელწოდებით "სთოუნუოლ ინ". მიზეზი: ალკოჰოლით უკანონო ვაჭრობა. სამართალდამცავები ბარის მეპატრონის დაკავებას ცდილობენ. პოლიციის უხეშობა გეების მიმართ ურთიერთობის ჩვეული ფორმა იყო. კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტთა გამოსვლები და მღელვარება ახალი დასრულებული იყო, რაც ახალგაზრდებს სხვა სითამამეს ჰმატებდა. ბარში მყოფმა ჰომოსექსუალებმა უარი თქვეს შენობის დატოვებაზე, შეიარაღდნენ ბოთლებითა და ქვებით და პოლიციას შეუტიეს, დასახმარებლად გამოძახებული პოლიციის მანქანები კი დაწვეს. არავინ ელოდა ასეთ ვაჟკაცობას ქალის ტანისამოსში გამოწყობილი მამაკაცებისაგან. წინააღმდეგობა სამი დღე გაგრძელდა. 2 000-მდე გეი გამოვიდა 400 პოლიციელის წინააღმდეგ, რამაც დაამტკიცა, რომ პროტესტის ორგანიზებისა და გაერთიანების შემთხვევაში ისინი მოახერხებდნენ თავის დაცვას. მალევე შეიქმნა გეების გამათავისუფლებელი რადიკალური ფრონტი (GLF), რომელმაც მიზნად დაისახა ჰეტეროსექსუალთა ფასეულობებისგან დამოუკიდებელი, ჰომოსექსუალური შეხედულებების ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა. 1969 წელს ახალგაზრდების ჯგუფმა რადიკალური მანიფესტი გამოაქვეყნა, რომელშიც ჰეტეროსექსუალთა მორალი ამორალობად იქნა გამოცხადებული.

ეს მოვლენები გადამწყვეტი აღმოჩნდა ამერიკული საზოგადოებისათვის, რადგან ჯერ კიდევ 1956 წელს კლინიკური ფსიქოლოგიის კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ეველინა ჰუკერმა (მისმა გამოკვლევებმა უდიდესი როლი შეასრულეს ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ ჰომოსექსუალიზმის ფსიქიური დაავადებების სიიდან ამოღებაში. ეს თემა პროფესიულად მას არ ეხებოდა, მაგრამ ცნობილია, რომ ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტის გამო, რომელმაც აღიარა, რომ ჰომოსექსუალი იყო, პროფესორმა გადაწყვიტა სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა სექსუალური უმცირესობებისთვის) ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციას მოხსენება წარუდგინა, რომელშიც მრავალრიცხოვანი ფსიქოლოგიური ტესტების საფუძველზე კეთდებოდა დასკვნა, რომ ჰომოსექსუალ და ჰეტეროსექსუალ მამაკაცებს შორის განსაკუთრებული განსხვავება არ ფიქსირდებოდა. იგივეს ამტკიცებდა სექსოლოგი ალფრედ კინზი (ალფრედ კინზი თანამედროვე ამერიკული სექსოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ის დაესწრო კენეტ ენგერის "ფეიერვერკის" ჩვენებას და სექსუალური კვლევის ინსტიტუტისათვის ერთი ასლიც შეიძინა. ეს ენგერის პირველი გაყიდული ფილმი იყო).

ის ხანგრძლივი გამოკვლევების საფუძველზე ასკვნიდა, რომ "სექსუალობა კონტინუუმია, რომლის ერთი პლიუსიც არის ჰეტეროსექსუალობა ან ჰომოსექსუალობა". ამ ნაშრომთა მიუხედავად ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ, ალბათ უფრო საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის გამო, ვერ გაბედა ჰომოსექსუალიზმის ფსიქიური დაავადებების ჩამონათვალიდან ამოღება. მხოლოდ 1973 წელს, 60-იანი წლების მოვლენებისა და უკვე შეცვლილი საზოგადოებრივი შეხედულებების ფონზე, მან აღიარა, რომ ჰომოსექსუალიზმი აღარ იყო მისი კომპეტენციის სფეროში. თუ ვისაუბრებთ ამ ეპოქის მიერ მოტანილ ცვლილებებზე ადამიანთა აზროვნებაში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი ჰომოსექსუალიზმის მიმართ დამოკიდებულების შეცვლა იქნება, რაც პირველ რიგში კონტრკულტურამ განაპირობა და არა მხოლოდ ლიტერატურულმა კონტრკულტურამ. ბითნიკების, როკისა და კინოანდერგრაუნდის გარდა, ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან რევოლუციური ცვლილებები მოხდა მხატვრობაში, რამაც მხატვრული აზროვნების სრულიად ახალ ეტაპზე გადასვლა, პოპ-არტის შექმნა გამოიწვია.

### პოპ-არტი

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ევროპიდან ამერიკაში გადასახლდნენ ცნობილი მხატვრები: დალი, შაგალი, ბრეტონი, მონდრიანი. ამერიკა მსოფლიო ხელოვნების ცენტრი გახდა. მხატვრობაში დეცენტრალიზაციის ტენდენცია ჩნდება, რასაც all over-ს უწოდებენ, ხშირად კი აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის სახელით მოიხსენიებენ.

1944 წელს, აბსტრაქციონიზმის პირველი ტალღის მამების კანდინსკისა და მონდრიანის სიკვდილის წელს ემთხვევა მეორე ტალღის გამოჩენა, რომელმაც ყველა აქამდე არსებული ტრადიცია დაარღვია. ნიუ იორკის სკოლის მხატვრების ერთ-ერთი ლიდერი, ჯექსონ პოლაკი 1950 წელს წერდა: "ვფიქრობ ახალი იდეები ახალ ტექნიკას მოითხოვს, თანამედროვე მხატვარი ახალი საშუალებებით გამოხატავს თავს, მას არ შეუძლია თავისი დროის ნივთები: თვითმფრინავი, ატომური ბომბი, რადიო რენესანსის ან სხვა ეპოქის ფორმებში გამოხატოს, ყველა საუკუნეს საკუთარი ტექნიკა უნდა ჰქონდეს".

აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის მხატვრები აუმხედრდნენ ტრადიციულ ფორმებს, უარყოფდნენ აქამდე ცნობილ კომპოზიციებს და საკუთარ ინტუიციას ეყრდნობოდნენ. ეს მხატვრობა უკიდურესად ინდივიდუალისტური იყო. ტილოს წარმოიდგენდნენ, როგორც ფერის, ფორმის, წერტილებისა და ხაზების ბრძოლის ველს. ჯექსონ პოლაკი ახალი ტექნიკის მუდმივ ძიებაშია. ზევიდან აწვეთებს ტილოს საღებავის წვეთებს, ხან შორიდან ესვრის, რათა ბუნებრივი უფორმო ლაქები მიიღოს, იატაკზე დაფენილ ტილოს საღებავს ასხამს და მსხვილ თოკს ურტყამს შთამბეჭდავი ზოლების მისაღებად, იყენებს ქარხნის ლაქსა და ალუმინის საღებავს.

ხშირად ამ ჯგუფის მხატვართა ნამუშევრები სწორკუთხა გეომეტრიზმითაც ხასიათდებოდა. მარკ როტკო ბერძნული ტრაგედიებით იყო გატაცებული და სიუჟეტებს აბსტრაქციულად ხატავდა. ბარნეტ ნიუმენმა განსაკუთრებულ სტილს მიაგნო, ტილოზე თანაბრად მოასხამდა საღებავს და შემდეგ მკვეთრ ვერტიკალურ ხაზებს ატანდა. საქართველოდან, სომხური ოჯახიდან ემიგრირებული არშილ გორკი, სურეალიზმით იყო გატაცებული, ფერადოვან და მკვეთრ კონტრასტებს მიმართავდა. იშვიათი იყო ისეთი რევოლუციური იდეები, როგორსაც ეს მხატვრები მიმართავდნენ. ჯექსონ პოლაკი, უკვე ნონკონფორმისტულად განწყობილ ახალგაზრდებში რადიკალიზმის სიმბოლო გახდა. თავად, უმთავრესად შემოქმედებით პროცესს მიიჩნევდა, შედეგს უმნიშვნელოდ თვლიდა და როგორც პროცესის მოგონებას, ისე განიხილავდა.

ერთ-ერთი პირველი სტრუქტურული ანალიზი ამ მხატვრობისა უმბერტო ეკოს ეკუთვნის. ის თვლის, რომ პოლაკის მხატვრობა დამთვალიერებელს სრული ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს, ისინი 50-იანი წლების მუსიკალურ კომპოზიციებს და პოეზიაში სემანტიკურ თამაშს ჰგვანან. ეკო ცდილობს მათი საერთო სტრუქტურა მოძებნოს, როგორც ამბობს "თავისუფალი აფეთქებისა", რომელშიც ხდება "იმ ელემენტების შერწყმა, რომელთაც თავის საუკეთესო გამოვლინებაში იყენებს ტრადიციული პოეზია, როდესაც ბგერა და აზრი ერთიანდება. ეს ნაერთია ის, რასაც დასავლური კულტურა ხელოვნების თავისებურებად თვლის - ესთეტიკური ფაქტი,"- წერს ეკო.

ნიუ იორკის სკოლის მხატვრებმა მსოფლიო ავტორიტეტი მოიპოვეს. 1952 წელს პარიზში გამართულმა ჯექსონ პოლაკის ნამუშევართა გამოფენამ კრიტიკოსებისა და დამთვარიებლების სენსაციური აღფრთოვანება გამოიწვია. თუმცა, მალე ინგლისსა და ამერიკაში მხატვრების ახალი ჯგუფი ჩნდება, რომელიც მასობრივი ნაწარმის ეტიკეტების, ფოტოების, რეპროდუქციებისა და უბრალო ნივთებისგან კოლაჟებს ქმნის. ამ ასამბლაჟის ტექნიკით ინტერესდებიან ჯასპერ ჯონსი, რობერტ რაუშენბერგი, როი ლიხტენშტეინი და სხვა მხატვრები. პოპ-კულტურის ელემენტების: სიგარეტის კოლოფის, კოკა-კოლას ან კონსერვის ქილის, კომიქსის ნაგლეჯების მხატვრობაში გამოყენებით იწყება პოპ-არტის ისტორია. თუმცა მისი პირველი ნიმუში ალბათ ბევრად ადრე დიდი პროვოკატორის მარსელ დიუშამპის მიერ ერთ-ერთ პარიზულ გამოფენაზე ჩვეულებრივი თეთრი უნიტაზის გამოტანა იყო. ამერიკაში პოპ-არტი სარეკლამო ხელოვნებას გადაეჯაჭვა და ქვეყნის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში აღიარებული პოპ-არტის ნიმუშებია ჯასპერ ჯონსის "ამერიკის დროშა" და ბრინჯაოს "ლუდის ქილები", ჯეიმს როზენკვისტის "მე შენ მიყვარხარ ჩემი ფორდით" ან როი ლიხტენშტეინის "გოგონა ბურთით", რომელშიც ის გოლფის ბურთს, ჰოთ-დოგს და სხვა ნივთებს იყენებს, გაუმართლებელი იქნებოდა პოპ-არტზე საუბარი მის მეფედ აღიარებული ენდი უორჰოლით არ დაგვეწყო, რომელმაც იმდენად დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო მახტვრობასა და აზროვნებაზე, რომ ხშირად ამას ვეღარც კი ვამჩნევთ და რომელზედაც ჩვენ მომდევნო პუბლიკაციაში ვისაუბრებთ.



*პოპ-არტის ისტორიაში ერთ-ერთი პირველი ნიმუში, ალბათ ბევრად ადრე, დიდი პროვოკატორის მარსელ დიუშამპის მიერ პარიზულ გამოფენაზე ჩვეულებრივი თეთრი უნიტაზის გამოტანა იყო.*

ფეხბურთი

# "ხუთჯვრიანების" პირველი ჯვაროსნული

მიხეილ აბაიშვილი

ორ დღეში საქართველოს ნაკრები სტარტს აიღებს მსოფლიოს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. "ხუთჯვრიანების" პირველი "ჯვაროსნული ლაშქრობა" ოსმალეთში, კერძოდ, თურქეთის ქალაქ ტრაბზონში განხორციელდება. აქ 4 სექტემბერს, თბილისის დროით 21 საათზე, დაიწყება მატჩი, რომელშიც ჟირესი და მისი შეგირდები მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებთან ქულის (ან ქულების) გამორჩენას შეეცდებიან.

ჟირესის რჩეულებმა გუშინ თითქმის სრული შემადგენლობით მოიყარეს თავი სასტუმრო "ბატესტაში" და დაიწყო საწვრთნელი შეკრება. გამოძახებულთაგან ვერ ჩამოვიდნენ მხოლოდ ლომაია, ხიზანეიშვილი და კობიაშვილი. გიორგი ლომაიამ, როგორც გახსოვთ, მოლდოვას ეროვნულ ნაკრებთან მატჩში თავის ტრავმა მიიღო. ტრავმა არც ისე სერიოზულია, თუმცა, ჩვენი ნაკრების მთავარი მეკარეს რამდენიმე დღით მაინც დასვენება მოუწევს. რაც შეეხებათ კობიაშვილსა და ხიზანეიშვილს, მათი ჩამოუსვლელობის მიზეზი უფრო პროზაულია, თუმცა, ამაზე ქვემოთ.

გუშინ ჟირესმა "ოლიმპის" სტადიონზე გამართა პირველი ვარჯიში, რომელშიც თვრამეტივე ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა. იმის გამო, რომ უმეტესობა წინა დღის ნამგზავრი იყო, მწვრთნელმა შედარებით ნაკლებად დატვირთა ფეხბურთელები და წვრთნისას უფრო ორგანიზმის განმტვირთველ ვარჯიშებზე გააკეთა აქცენტი. ფიზიკური დატვირთვების შესამზადებელი გასახურებელი ვარჯიშების ციკლის შემდეგ, რომელსაც ეროვნული გუნდის ფიზმომზადების მწვრთნელი ავთანდილ ბერიძე ხელმძღვანელობდა, მინდვრის მოთამაშეებმა მოედნის ერთ ნახევარზე "კვადრატი" ითამაშეს, ხოლო მეორე ნახევარზე ოთარ გაბელია გვარამაძესა და დევაძეს მეკარეების მოსამზადებლად საჭირო სპეციფიკურ ვარჯიშებს უტარებდა.



ალენ ჟირესს პირველი სერიოზული გამოცდა თურქეთში ექნება.

"კვადრატის" შემდეგ შოთა არველაძემ ინდივიდუალურად განაგრძო ვარჯიში. ჟირესმა რამდენჯერმე შეაწყვეტინა ფეხბურთელებს "კვადრატი", შუალედებში კი კოორდინაციის გასაუმჯობესებელი ვარჯიშების ციკლს მიმართავდა. საწვრთნელი პროცესის დროს, რამაც დაახლოებით საათნახევარს გასტანა, ორმხრივი თამაში არ გამართულა და კარში დარტყმებიც არ განხორციელებულა.

საღამოს ფრანგმა მწვრთნელმა სასტუმრო "ბატესტაში" პრესკონფერენცია მოაწყო.

"თურქეთისა და ალბანეთის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ მატჩებისთვის მზადების გადამწყვეტ ფაზაში შევედით. დღეს დავიწყეთ საწვრთნელი შეკრება. ჯერ არ ჩამოსულან ხიზანეიშვილი და კობიაშვილი. მოსკოვში განხორციელებული ტერაქტების შედეგად რამდენიმე ავიარეისი გადაიდო, რის გამოც ხიზანეიშვილს ჩამოსვლა დაუგვიანდა. რაც შეეხება კობიაშვილს, იგი ან დღეს შემოგვიერთდება, ან პირდაპირ თურქეთში ჩამოვა. ყველა დანარჩენმა ფეხბურთელმა დღეს დილით ივარჯიშა და მათი ფიზიკური კონდიციებით კმაყოფილი ვარ", - განაცხადა ალენ ჟირესმა.

მომავალ მეტოქესთან დაკავშირებით ჟირესი ინფორმაციის ნაკლებობას არ უჩივის.

"მე ხელთ მაქვს თურქების 18-კაციანი განაცხადი და მწვრთნელთა შტაბი იმაზე ფიქრობს, ამოვიცნოთ, თუ ძირითად შემადგენლობაში რომელ ფეხბურთელებს დააყენებს და შეხვედრისთვის როგორ ტაქტიკურ განლაგებას აირჩევს ჩემი კოლეგა. თურქები ბოლო ამხანაგურ მატჩში სტამბულში, ბელორუსის ეროვნულ გუნდთან დამარცხდნენ - 1:2. ამ შეხვედრის ვიდეოჩანაწერი კი გვაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, ფირით მხოლოდ ზედაპირულ წარმოდგენას თუ შევიქმნით მომავალი მეტოქის შესაძლებლობებზე. ეჭვგარეშეა, თურქებმა ამ მატჩში თამაში დაგვიმალეს. თუმცა, საკმაოდ კარგად ვიცი ჩვენი მეტოქის ფეხბურთელთა უმეტესობის ინდივიდუალური, გნებავთ, კოლექტიური შესაძლებლობები და მათ წინააღმდეგ კონტრთამაშის გეგმის შემუშავება შეგვიძლია", - თქვა ჟირესმა.

საფიქრებელია, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ხელმოცარული თურქეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდში (და თუ ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება შეძლო, უშუალოდ მუნდიალზე) ეცდება შელახული რეპუტაციის აღდგენას. მით უმეტეს, რომ წინა მსოფლიო ჩემპიონატზე დიდ წარმატებას მიაღწიეს - ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ. ამდენად, ჩვენს ნაკრებს ყველა თვალსაზრისით ურთულესი მატჩი ელის, რომელშიც გამოკვეთილ ფავორიტად, საყოველთაო მოსაზრებით, მასპინძელთა გუნდია მიჩნეული.

"მძიმე მატჩი მოგველის, რომლის შედეგის პროგნოზირება შეუძლებელია. ჩვენ ძალიან გვჭირდება ამ შეხვედრის დადებითი შედეგით დასრულება. რა თქმა უნდა, გასვლით მატჩში გამარჯვებით შესარჩევი ციკლის დაწყება ძალიან კარგია, მაგრამ, თუ ეს ვერ მოვახერხეთ, უკიდურეს შემთხვევაში, ქულის წამოღება მაინც უნდა შევძლოთ", - საკუთარი გუნდის შესაძლებლობებში საკმაოდ დაჯერებულია ჟირესი.

ფეხბურთელობის პერიოდში, ანუ გასული საუკუნის 80-იან წლებში, ალენ ჟირესი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო ფრანგულ ფეხბურთში და ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში. თუმცა, იმის გამო, რომ იმ წლებში არც საკვალიფიკაციო და არც ფინალურ ტურნირში საფრანგეთისა და თურქეთის ნაკრების გზები არ გადაკვეთილა, ჩვენს მწვრთნელს თურქების ძალა საკუთარ თავზე არ გამოუცდია.

"თურქულ ფეხბურთთან საკლუბო დონეზე მქონია შეხება, როდესაც ბორდოს "ჟირონდას" ღირსებას ვიცავდი. მაშინ წილისყრამ სტამბულის "ფენერბაჰჩესთან" დაგვაპირისპირა. ამ გუნდთან ორივე მატჩი ძალიან კარგად მახსოვს. მართალია, ის ბარიერი დავძლიეთ, მაგრამ თურქეთში თამაში ძალზე გაგვიჭირდა. ფეხბურთელებთან თეორიული მეცადინეობის დროს ახლა სწორედ იმ მატჩს ვიხსენებ და ვარიგებ მათ, რომ უდიდესი კონცენტრაციაა საჭირო, რათა ჯერ ტრიბუნების წარმოუდგენელ ხმაურს, შემდეგ კი მათ ფეხბურთელებს გაუმკლავდე. მხოლოდ ძალების სრული მობილიზაციით, კონცენტრაციით, უაღრესად დისციპლინირებული და გამართული თამაშით და დიდი მონდომებით შეიძლება თურქეთში სასურველი შედეგის მიღწევა", - აფრთხილებს თავის გუნდს ჟირესი.

პრესკონფერენციის შემდეგ ჟირესი და მისი გუნდი ნაკრების კომფორტული ავტობუსით ისევ "ოლიმპის" სტადიონზე გაემართა, სადაც საღამოს ვარჯიში შედგა.

ნაკრები დღეს დილით კიდევ ერთხელ ივარჯიშებს "ოლიმპზე", საღამოს 5 საათზე კი ტრაბზონში "აირზენას" ჩარტერული რეისით გაემგზავრება. გუნდი ტრაბზონიდან 25 კილომეტრში, დაბა მაჩკას 4-ვარსკვლავიან სასტუმრო "სუმელაში" დაბინავდება. 3 სექტემბერს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ქალაქ რიზეში შეხვდება თურქ თანატოლთა გუნდს. ეს მატჩი თბილისის დროით 21 საათზე დაიწყება, თუმცა, გულშემატკივრებს დასწრების საშუალება არ ექნებათ. თურქთა ახალგაზრდული ნაკრების ბოლო შესარჩევ შეხვედრაზე მაყურებელთა მხრიდან მომხდარი უწესრიგობის გამო უეფამ გუნდი დასაჯა - მომდევნო მატჩი უმაყურებლოდ უნდა ჩაატაროს.

ჩოგბურთი

# "ჩოგბურთის დედოფალი"

უიმბლდონის ტურნირის ტრიუმფატორი, რუსი მარია შარაპოვა ნიუ-იორკში, ამერიკის ღია პირველობაზე, როგორც ჩოგბურთის დედოფალი, ისე ჩავიდა. არც გაემტყუნება, ის ხომ საჩოგბურთო სამყაროში ყველაზე პრესტიჟული, უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებულია. 17 წლის რუსი ლამაზმანის სახელი ტურნირის ორგანიზატორებმა ბილეთების რეალიზაციისას კარგად გამოიყენეს. ბილეთებიც უპრობლემოდ, მოკლე დროში გაიყიდა.

ასე რომ, საჩოგბურთო კორტების გადაჭედილმა ტრიბუნებმა არა მარტო მარია შარაპოვას შესანიშნავი სხეული იხილეს, არამედ მისი შთამბეჭდავი თამაშითაც კმაყოფილი დარჩნენ. მატჩი იტალიელ ლორა გრანვილთან ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და უაღრესად დაძაბული გამოდგა. ტურნირის მეშვიდე ნომერი მარია შარაპოვა მომენტებში დამარცხების ზღვარზე იმყოფებოდა, მაგრამ მტკიცე ხასიათი გამოამჟღავნა და გაიმარჯვა - 6:3, 5:7, 7:5.

"ეს მატჩი ჩემთვის უაღრესად მძიმე გამოდგა, - მატჩის შემდეგ განაცხადა მარია შარაპოვამ, - მით უფრო, რომ სასტარტო იყო, რის გამოც ბევრი უნებლიე შეცდომა დავუშვი". მარიას მომდევნო მეტოქე სერბი ელენა იანკოვიჩი იქნება.

რაც შეეხება ვაჟთა შეჯიბრებას, პირველ წრეში ტურნირის ყველაზე დიდი მოულოდნელობა რუსი მარატ საფინის მარცხი იყო შვედ ტომას ენკვისტთან - 7:6 (7:5), 6:4, 3:6, 6:3. საფინმა ბევრი შეცდომა დაუშვა. ის თამაშისთვის სათანადო დონეზე არ იყო განწყობილი, რამაც საბოლოო ჯამში მისი დამარცხება გამოიწვია.

ამასობაში საჩოგბურთო კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა ცნობილმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ტოდ მარტინმა. ამერიკელმა პირველივე წრეში წააგო მატჩი ფრანგ ფაბრის სანტოროსთან და ამის შემდეგ გადაწყვეტა, დაესრულებინა სპორტული კარიერა.



### პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგი

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| ფედერერი (შვეიცარია) | 887 |
| როდიკი (აშშ) | 597 |
| კორია (არგენტინა) | 480 |
| ჰიუიტი ავსტრალია) | 471 |
| მოია (ესპანეთი) | 469 |
| გაუდიო (არგენტინა) | 376 |
| ჰენმანი (ბრიტანეთი) | 342 |
| საფინი (რუსეთი) | 316 |
| აგასი (აშშ) | 298 |
| გროსჟანი (საფრანგეთი) | 267 |
| ნალბანდიანი (არგენტინა) | 253 |
| გონსალესი (ჩილე) | 244 |
| რობრედო (ესპანეთი) | 237 |
| მასუ (ჩილე) | 227 |
| ჩელა (არგენტინა) | 224 |
| კიფერი (გერმანია) | 218 |
| ჰრბატი (სლოვაკეთი) | 212 |
| ანჩიჩი (ხორვატია) | 189 |
| სპეიდია (აშშ) | 189 |
| ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 185 |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| ენინ-არდენი (ბელგია) | 4950 |
| მორესმო (საფრანგეთი) | 4491 |
| მისკინა (რუსეთი) | 4247 |
| დევენპორტი (აშშ) | 4009 |
| კლიისტერსი (ბელგია) | 3565 |
| დემენტიევა (რუსეთი) | 2896 |
| შარაპოვა (რუსეთი) | 2462 |
| კაპრიატი (აშშ) | 2414 |
| კუზნეცოვა (რუსეთი) | 2090 |
| ზვონარევა (რუსეთი) | 2090 |
| ს. უილიამსი (აშშ) | 1995 |
| ვ. უილიამსი (აშშ) | 1991 |
| სუგიამა (იაპონია) | 1930 |
| პეტროვა (რუსეთი) | 1761 |
| სუარესი (არგენტინა) | 1738 |
| შნაიდერი (შვეიცარია) | 1641 |
| სკიავონე (იტალია) | 1469 |
| მოლიკი (ავსტრალია) | 1444 |
| ბოვინა (რუსეთი) | 1401 |
| სპრემი (ხორვატია) | 1370 |

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| ენდი როდიკი (აშშ, 2) - სკოვილ ჯენკინსი (აშშ) | 6:0, 6:2, 6:2 |
| ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 5) - ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 7:6 (7:3), 6:7 (7:9), 4:6, 6:4, 6:4 |
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 7) - ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) | 4:6, 7:5, 7:6 6:7, 6:3 |
| ნიკოლას მასუ (ჩილე, 10) - ხოსე აკასუსო (არგენტინა) | 6:4, 6:0, 6:2 |
| ანდრეა სეპი (იტალია) - რაინერ შუტლერი (გერმანია, 11) | 3:6, 4:6, 7:6 (7:5), 7:6 (7:1), 6:1 |
| ტომას ენკვისტი (შვედეთი) - მარატ საფინი (რუსეთი, 13) | 7:6 (7:5), 6:4, 3:6, 6:3 |
| პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი, 15) - ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) | 4:6, 6:4, 6:1, 6:1 |
| ტომი რობრედო (ესპანეთი, 18) - დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) | 6:4, 7:5, 6:4 |
| დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი, 22) - ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) | 6:1, 6:2, 6:1 |
| იოაკიმ იუჰანსონი (შვედეთი, 28) - ლიუ იენ სუნი (ტაივანი) | 6:3, 6:1, 6:3 |
| გილიერმო კანიასი (არგენტინა, 29) - კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) | 6:3, 4:6, 7:5, 6:1 |
| ფილიპო ვოლანდრი (იტალია) - კეი-ჯეი ჰიპენსტილი (აშშ) | 6:3, 6:4, 6:2 |
| შტეფან კუბეკი (ავსტრია) - ალექსეი ბოგომოლოვი (აშშ) | 6:3, 6:4, 1:6, 2:6, 6:3 |
| მაიკლ ლოდრა (საფრანგეთი) - გილეს ელშნერი (ბელგია) | 2:6, 7:6 (7:2), 7:6 (7:5), 6:2 |
| ალბერტო მარტინი (ესპანეთი) - ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) | 3:6, 6:2, 6:4, 6:4 |
| რაფაელ ნადალი (ესპანეთი) - ივო ობერჟე (შვეიცარია) | 6:0, 6:3, 4:6, 2:6, 6:3 |
| პოლ გოლდშტეინი (აშშ) - ტაკაო სუძუკი (იაპონია) | 7:6 (7:5), 2:6, 6:2, 6:1 |
| დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) - მარიანო საბალეტა (არგენტინა) | 4:6, 6:3, 6:7 (5:7), 6:3, 6:3 |
| ლი იუნ ტაიკი (ს. კორეა) - ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 3:6, 6:3 ლიუბიჩიჩმა თამაში შეწყვიტა. |
| იან-მაიკლ გემბილი (აშშ) - რაჯივ რამი (აშშ) | 6:3, 6:2, 3:6, 6:4 |
| ალექსანდრ პეია (ავსტრია) - ბობი რეინოლდსი (აშშ) | 2:6, 6:3, 6:3, 6:7 (3:7), 6:4 |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 1) - ნიკოლ ვაიდისოვა (ჩეხეთი) | 6:1, 6:4 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი, 4) - ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) | 6:1, 6:0 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 5) - ლუბომირა კურგაიკოვა (სლოვაკეთი) | 6:4, 6:0 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი, 7) - ლორა გრანვილი (იტალია) | 6:3, 5:7, 7:5 |
| სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 9) - სესილ კარატანჩევა (ბულგარეთი) | 6:2, 6:0 |
| ვინუს უილიამსი (აშშ, 11) - პეტრა მანდულა (უნგრეთი) | 6:3, 7:6 (7:3) |
| პაოლა სუარესი (არგენტინა, 13) - ლიუ ნიან-ნიანი (ჩინეთი) | 6:1, 7:5 |
| ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი, 14) - ცზი ჯენ (ჩინეთი) | 6:0, 6:1 |
| სილვია ფარინა-ელია (იტალია, 19) - აბიგეილ სპირსი (აშშ) | 3:6, 6:2, 6:4 |
| ჩანდა რუბინი (აშშ, 20) - მარია სანჩეს-ლორენცო (ესპანეთი) | 6:2, 6:2 |
| ემი ფრეიზერი (აშშ, 21) - კელი მაკკეინი (აშშ) | 6:2, 6:2 |
| შინობუ ასაგო (იაპონია) - ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (ისრაელი, 24) | 3:6, 6:4, 6:1 |
| მარია კირილენკო (რუსეთი) - ელენა ლიხოვცევა (რუსეთი, 25) | 7:6 (7:3), 6:3 |
| ელენა ბოვინა (რუსეთი, 26) - მარტა მორერო (ესპანეთი) | 6:3, 6:0 |
| მარი პირსი (საფრანგეთი, 27) - ემილი ლუა (საფრანგეთი) | 6:1, 6:2 |
| ელენი დანილიდუ (საბერძნეთი, 29) - სილვია ტალაია (ხორვატია) | 3:6, 6:3, 7:5 |
| ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) - ნურია ლაგოსტერა-ვივესი (ესპანეთი) | 6:3, 6:4 |
| კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) - ტატიანა პანოვა (რუსეთი) | 6:3, 6:2 |
| მარია კამერინი (იტალია) - მელინდა ცინკი (უნგრეთი) | 6:4, 6:2 |
| ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) - ბარბარა შეტი (ავსტრია) | 1:6, 6:4, 6:2 |
| ჯილ კრეიბასი (აშშ) - ტინა პიშნიკი (სლოვაკეთი) | 6:2, 6:1 |
| ანაბელ მედინა-ჰარიგესი (ესპანეთი) - ბარბარა სტრიკოვა (ჩეხეთი) | 7:5, 6:3 |
| შიკა უბეროი (აშშ) - საორი ობრატა (იაპონია) | 6:3, 3:6, 7:5 |
| ციროპა ობზილერი (ისრაელი) - ანჟელიკ ვიჯაია (ინდონეზია) | 7:5, 6:3 |
| ვირხინია რუანო-პასკალი (ესპანეთი) - ალესანდრა სტივენსონი (აშშ) | 6:4, 7:5 |
| არანჩა პარა-სანტონხა (ესპანეთი) - მარლინ ვაინგარტნერი (გერმანია) | 6:2, 7:6 (7:5) |
| ნიკოლ პრატი (ავსტრალია) - კატალინა კასტანო (კოლუმბია) | 3:6, 6:1, 6:3 |
| ანტონელა სიერა-ძანეტი (იტალია) - მაშონა ვაშინგტონი (აშშ) | 7:5, 7:5 |
| კრისტინა ბრენდი (აშშ) - მილაგროს სეკერა (ვენესუელა) | 6:1, 6:2 |
| ლაიზა რეიმონდი (აშშ) - ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) | 7:5, 6:3 |
| სამანტა სტოსარი (ავსტრალია) - ვირჟინი რაცანო (საფრანგეთი) | 7:5, 6:4 |
| დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) - ჯესიკა კირკლენდი (აშშ) | 6:4, 6:4 |

კალათბურთი

# ნაკრები ახალ ცხოვრებას იწყებს

პაატა თოთაძე

ზოგს, შესაძლოა, აღარც კი ახსოვდეს, როდის ნახა ბოლოს კალათბურთში საქართველოს ნაკრების თამაში თბილისში. წლები გავიდა მას შემდეგ. თუ უფრო დავაზუსტებთ, სამი წელი. თითქოს არც ისე დიდი დროა, მაგრამ მაშინ ისეთი ამბები ტრიალებდა საქართველოს ნაკრების თავს, გახსენებად არ ღირს - გუნება წაგიხდება კაცს.

მოკლედ, ჩავთვალოთ, რომ ჩვენი ნაკრები ახალ ცხოვრებას იწყებს. ამ ცხოვრებისა თუ ერის დასაწყისად შეიძლება იტალიის საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლა ჩაითვალოს, თუმცა, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი სულ სხვა საქმეა. სწორედ ამ ტურნირზეა დამოკიდებული ქართული კალათბურთის მომავალი. ღმერთმა ნუ ქნას და, თუ ამ ტურნირზე ხელი მოგვეცარა, 2009 წლამდე ევროპის ჩემპიონატზე თამაშის ყოველგვარი შანსი მოგვესპობა. ერთი სიტყვით, ჩვენს გუნდს შეცდომის უფლება არა აქვს და ეს ყველას კარგად ესმის. საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევის შემდეგ 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე მოგვიწევს თამაში და თუ იქაც ვივარგეთ, ფინალურ ეტაპზე ამოვყოფთ თავს. ეს მომავლის საქმეა, მანამდე კი დასაძლევია პირველი ბარიერი, რომელსაც საკვალიფიკაციო ტურნირი ჰქვია და რომელიც 11 სექტემბერს დაიწყება. პირველ მატჩში ქართველი კალათბურთელები ფინეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან, შემდეგ კი ორი გასვლითი მატჩი ელით: 15 სექტემბერს მაკედონიასთან და 18 სექტემბერს ლუქსემბურგთან.

ამ მატჩებისთვის მზადებას ეროვნული გუნდი დღეიდან იწყებს. ბრაიკოვიჩის მიერ გამოძახებული 15 კალათბურთელიდან 11 უკვე თბილისშია: ზაზა ფაჩულია, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, დავით ბერძენიშვილი, ვალერი კილაძე, შიო ხეცურიანი, კოტე ტუღუში, ლაშა გამყრელიძე, ირაკლი ბერიშვილი, გიორგი ცინცაძე, გიორგი ნიკოლაძე, ვიქტორ სანიკიძე. დანარჩენები ნაკრებს ორ დღეში შეუერთდებიან - ვლადიმერ ბოისა და მანუჩარ მარკოიშვილი 4 სექტემბერს დილით ჩამოფრინდებიან თბილისში, შემონდ უილიამსი კი - საღამოს. მისი "გაქართველების" საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია. კალათბურთის ფედერაციამ ფიბა-ში გაგზავნა ყველა საჭირო დოკუმენტი, რაც ამერიკელის ჩვენს გუნდში თამაშის უფლებისთვის იყო საჭირო და ფიბამაც მას საქართველოს ნაკრების მაისურის მორგების ნება დართო. დარჩენილია ერთადერთი ფორმალური მხარე: ამერიკელს ქართული პასპორტი გადასცენ. ფედერაცია ამას საზეიმოდ, 9 სექტემბერს აპირებს.



შემონდ ვილიამსს ქართულ პასპორტს ერთ კვირაში ჩაახუტებენ.

შეამჩნევდით, ჩამონათვალში სტეფანიას გვარი არ არის. დრაჟენ ბრაიკოვიჩმა ის კი გამოიძახა, მაგრამ, შესაძლოა, საქართველოს ნაკრებს ისევ ვოვას გარეშე მოუხდეს თამაში. ვითარება კი ასეთია: სადაზღვევო კომპანია უარს ამბობს, დააზღვიოს სტეფანიას ნაოპერაციევი ფეხი, დაზღვევის გარეშე კი მისი თამაში გამორიცხულია. თუ კალათბურთელი თვითნებურად მიატოვებს კლუბს, შესაძლოა, საერთოდ უკლუბოდ დარჩეს. ასეთი პერსპექტივა კი, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ ისე სახარბიელოა. დიდი ხანია, ვოვას მარცხენა მუხლი აწუხებს და მარტში ოპერაცია გაიკეთა. საქართველოს კალათბურთის ფედერაცია იმედს არ კარგავს, რომ ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც ჩვენ გვინდა. კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა გვითხრა, რომ სტეფანიასთვის ბილეთი დაჯავშნილია და ფედერაციაც მზადაა, დაზღვევისთვის საჭირო თანხა მოთხოვნისთანავე გადარიცხოს. "ჩვენ კი ვართ მზად, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ არ გვეუბნებიან, რა თანხაა საჭირო, თავს იკავებენ დაზღვევისგან. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია, თუმცა, ფაქტია, რომ ყველაფერი ახლო მომავალში უნდა გაირკვეს", - განაცხადა მერაბ რატიშვილმა. ფედერაცია მზად ყოფილა, სადაზღვევო კომპანიისთვის იმაზე მეტი გადაეხადა, ვიდრე თავდაპირველად იყო ნავარაუდევი, თუმცა, ჯერჯერობით არც ამ საქმიდან გამოდის რამე. ამდენი პრობლემის გადამკიდე ფედერაციამ სხვა სადაზღვევო კომპანიის ძებნა დაიწყო, რომელიც ვოვას ნაოპერაციევ მუხლს დააზღვევდა და მიაგნო კიდეც, მაგრამ, მერაბ რატიშვილის თქმით, ახლა უკვე კლუბს გაუწევია წინააღმდეგობა ფედერაციისთვის, თუმცა, გაუგებარია რატომ. ერთი სიტყვით, მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა.

როგორც ზემოთ ვთქვით, გუნდი დღეს შეიკრიბება. პირველი ვარჯიში საღამოს შვიდ საათზეა დაგეგმილი, ერთი საათის შემდეგ კი ჟურნალისტები ნაკრების წევრებს შეხვდებიან. ასეთი ღია დღეები, როცა მედიის წარმომადგენლებს ნაკრების წევრებთან შეხვედრა შეეძლებათ, სულ სამი იქნება. ერთი დღეს, მეორე, სავარაუდოდ, 6 სექტემბერს და ერთიც 9 სექტემბერს, როცა უილიამსს ქართული პასპორტი გადაეცემა. ალბათ, ამ დღეს მოეწყობა ნაკრების ახალი ფორმის პრეზენტაციაც. ეს ფორმა ნაკრებს შეუკერა ფირმა "სარომ", რომელიც საქართველოს ეროვნული, ჭაბუკთა და კადეტთა ნაკრებების ტექნიკური სპონსორია. ფორმა უკვე მზადაა, მხოლოდ წარწერებია გასაკეთებელი.

ბოლოს კი სპორტის სასახლეზეც ვთქვათ. კალათბურთის ფედერაციამ ადრევე განაცხადა, რომ სასახლის იატაკს განახლება სჭირდებოდა, თუმცა, მხოლოდ ფედერაციის სახსრებით ეს საკმაოდ ძნელი იქნებოდა. საბოლოოდ, ფედერაციის ძალისხმევით, იატაკი შეკეთდა. ასე რომ, საქართველოს ნაკრები ახალ ცხოვრებას სპორტის სასახლის ახალ საფარზე იწყებს.

ფორმულა 1

# ფორმულა 1-ის "ბექჰემები"

*ვის მოსწონს და ვის აღიზიანებს, მაგრამ ფაქტია: "ბექჰემები" სპორტის სხვა სახეობებშიც მომრავლდნენ. ვისთვის მომხიბლავი, სექსუალური, ცვალებადი იმიჯის მქონე, ვისთვის კი ახალ-ახალი სკანდალების მონაწილე დევიდი, რა ხანია, ყვითელი პრესის განუყოფელ ნაწილად იქცა, მაგრამ... მაგრამ ის, რომ ბექჰემები სპორტის სხვა სახეობებშიც არიან, რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების გათვალისწინებით. ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ბექჰემომანია ფორმულა 1-საც მისწვდა.*

ერთი სიტყვით, წოდება "ფორმულა 1-ის ბექჰემი" მრბოლიდან მრბოლის ხელში გადადის და, როგორც ამბობენ, ეს წოდება BAR-ის ინგლისელ მესაჭესთან ჯენსონ ბატონთან დამუხრუჭდაო. ჟურნალისტი ქალბატონის ტანი ბაუერის თქმით, სეზონის დასაწყისიდანვე ინგლისში ნამდვილი "ბატონომანია" მძვინვარებს. "ახალი ბექჰემების" წოდებით მთლად უკმაყოფილონი არ უნდა იყვნენ ჯენსონი და მისი მეგობარი გოგონა ლუიზა გრიფიტსი.

გერმანელმა ჟურნალისტმა ნოვა მაიერჰენრიხმა კი სულაც სამეფო რბოლების საკუთარი "ბექჰემობის" ერთგვარი რეიტინგი შეადგინა. ასე რომ, ჯობს, ფორმულის სამყაროს გამგებელმა ბერნი ეკლსტოუნმა გერმანელის მიერ შედგენილ სიას გადახედოს. მით უმეტეს, რომ თვადაც არაა ამის წინააღმდეგი. ცოტა ხნის წინათ აღიარა კიდეც: "ჩვენ გვჭირდება ისეთი ადამიანები, როგორიცაა დევიდ ბექჰემი".



ბატონი 90 პროცენტით ბექჰემი ყოფილა.

**ჯენსონ ბატონი:**

"ჯენსონი მაგარი ტიპია. მშვენივრად გამოიყურება, მოდურად იცვამს, ცხოვრებით ტკბება და დიდი სიამოვნებით დადის საღამოებზე. ჰყავს ლამაზი მეგობარი ლუიზა. ის მომღერალია და, გარკვეულწილად, ეხმარება ჯენსონს კარიერაში, იმიჯის შექმნაში. ჯენსონი ძალიან სექსუალურია. წარმატებები კი უფრო მიმზიდველს ხდის".

შედეგი: 90 პროცენტით ბექჰემი.

**ფერნანდო ალონსო:**

"როდესაც ის ფორმულა 1-ში მოვიდა, უსწორმასწოროსა და მოუქნელის შთაბეჭდილებას ტოვებდა. "მინარდი" მას სწრაფად რბოლას უკრძალავდა. ამიტომაც იყო, რომ თავდაჯერება აკლდა. ახლა ის სწრაფად დაჰქრის, რამაც მას თვითრწმენა შემატა. ბევრად კომუნიკაბელურიც გახდა. თმაზე ზონარის ტარება დაიწყო და ძვირფასი მზის სათვალეც მოირგო. ხანდახან სკანდალებშიც ეხვევა. ფორმულა 1 ძლიერი სპორტია, მაგრამ, ალბათ, შორს არ უნდა იყოს ის დრო, როდესაც პირველ მრბოლს ვარდისფერი მანიკიურით ვიხილავთ".

შედეგი: 70 პროცენტით ბექჰემი.

**ხუან-პაბლო მონტოია:**

"პირადად მე მომწონს ხუანი, რადგან არასდროს ფიქრობს იმაზე, რასაც ლაპარაკობს. უხეშია, მაგრამ ბავშვური მომხიბვლელობით სავსე. ერთხელ იხუმრა: მაგიდის ქვეშ მექანიკოსთა ბათინკები თასმებით გადააბა ერთმანეთს. მისი მომხიბვლელობა მოჩვენებითი არ არის. ის, მართლაც, ასეთია. და ის, რომ დაქორწინებულია, არც კი ეტყობა".

შედეგი: 60 პროცენტით ბექჰემი.

**კიმი რაიკონენი:**

"თავდაპირველად ის ძალიან უკარება, მოსაწყენი და, ამასთან, უღიმღამო ლაწირაკი იყო. ახლა ის ძალიან თბილია - მართლა "Iceman-ია!" საცოლედ ფინელი სუპერმოდელი ჰყავს. ხანდახან ძალიან მხიარულ და საინტერესო ფრაზებს ამბობს. საკმაო პოტენციალი აქვს იმისთვის, რომ სუპერვარსკვლავი გახდეს. ყოველ შემთხვევაში, მაყურებელი კიმის მადლობელია იმისთვის, რომ მას შეუძლია დალიოს და მერე იხტიდან გადმოვარდეს (ნოვა მაიერჰენრიხი კიმის შვებულებაში გადამხდარ ამბავს იხსენებს).

შედეგი: 40 პროცენტით ბექჰემი.

**რალფ შუმახერი:**

"საკუთარ სიტყვებს არც ის უწევს ანგარიშს. ხანდახან მონტოიას ან ფრენკ უილიამსს ჰკბენს ხოლმე. რალფს აქვს იახტა. დროდადრო მისი ნახვა საღამოებზეც შეიძლება, მაგრამ მაინც რაღაცნაირია, ზედმეტად გლუვი, ზედმეტად საყვარელი, ზედმეტად შეუმჩნეველი. ბევრს ეჩვენება, რომ კორა (რალფის ცოლი) გასაქანს არ აძლევს".

შედეგი: 10 პროცენტით ბექჰემი.

**მიხაელ შუმახერი:**

"იგი წარმატებულია, რაც მას სექსუალურს ხდის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არ განეკუთვნება "ბექჰემის" ტიპს. მიხაელი იდეალურია როგორც ტრასაზე, ისე ცხოვრებაში. ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას არა აქვს ადამიანური სისუსტეები. ის კი არა, მოდური ტანსაცმელიც კი არაფერს ცვლის მასში: ბექჰემი მარტო მოდა და ვარცხნილობა არაა".

შედეგი: 5 პროცენტით ბექჰემი.

**რუბენს ბარიკელო:**

"ყოველთვის მხიარულია, ბრწყინვალე პილოტი და ოჯახის მამა, მაგრამ არ განეკუთვნება იმ მრბოლთა რიცხვს, რომელთა პორტრეტებსაც კედლებზე აკრავენ. "ფერარიში" მეორე ნომრად ყოფნა მას სექსუალურობას არ მატებს".

შედეგი: 0 პროცენტით ბექჰემი.

მოკლედ

# ფრთხილად, თვლა არ აგვერიოთ!

რა ხანია, ფიფას და კოკა-კოლას მიერ გამოქვეყნებულ ყოველთვიურ რეიტინგში საქართველოს ნაკრები ქვევით მიექანება. თანაც, ისე, რომ 2003 წლის 3 დეკემბრის შემდეგ 19 საფეხურით დაქვეითებულა და ახლა 112-ე პოზიციაზე შეჩერებულა, 4 აგვისტოს გამოქვეყნებული რეიტინგის მიხედვით კი დღემდე სამი საფეხურით დავქვეითებულვართ. თუმცა, ამ საქმეში მარტონი არ ვართ. ჩვენს ბედს იზიარებენ ჩრდილოკორეელებიც. ერთი უპირატესობა აქვთ: შარშან, დეკემბრიდან, ჩვენგან განსხვავებით, მხოლოდ ხუთი საფეხურით დაუხევიათ უკან და 112-ე ადგილს "გვეცილებიან".

ერთი სიტყვით, საფეხბურთო სამყაროს მიღმა ვართ. რაც შეეხება ბობოლათა რეიტინგს, აქ ისევ პირველ ადგილზეა ბრაზილია, მეორეზე საფრანგეთი, ხოლო მესამეზე - ესპანეთი. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამ მხრივ საუკეთესო ათეული 4 აგვისტოს რეიტინგის მიხედვით კვლავაც ძველ პოზიციებზე დგას.

709 ქულით მე-14 ადგილზე დარჩა ჩვენი მეტოქე, ევროპის ჩემპიონი საბერძნეთის ნაკრები. გთავაზობთ პირველ ათეულსა და საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ადგილებსა და ქულებს:

| | |
|---|---|
| 1. ბრაზილია - | 848 |
| 2. საფრანგეთი - | 802 |
| 3. ესპანეთი - | 788 |
| 4. არგენტინა - | 775 |
| 5. ჩეხეთი - | 760 |
| 6. ჰოლანდია - | 746 |
| 7. ინგლისი - | 732 |
| 8. მექსიკა - | 728 |
| 9. იტალია - | 722 |
| 10. აშშ - | 717 |
| 13. თურქეთი - | 711 |
| 14. საბერძნეთი - | 709 |
| 15. დანია - | 707 |
| 87. უკრაინა - | 499 |
| 94. ალბანეთი - | 479 |
| **112. საქართველო -** | **418** |
| 145. ყაზახეთი - | 304 |

ოლიმპიზმი

# 37 მილიარდი ოლიმპიადისთვის

ჩანს, რომ პეკინის 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ოქროსი იქნება, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ჩინეთის მთავრობამ უკვე ახლა, ოლიმპიადის დაწყებამდე ოთხი წლით ადრე, განაცხადა, რომ მზად არის, თამაშების ორგანიზაციას სამჯერ მეტი თანხა მოახმაროს, ვიდრე საბერძნეთმა. ათენს ეს მსოფლიო მასშტაბის ღონისძიება 12 მილიარდი დოლარი დაუჯდა. ჩინეთი კი 37 მილიარდის გამოყოფას აპირებს. ჩინეთი ოლიმპიადას ამ ლოზუნგით ჩაატარებს: "მწვანე ოლიმპიადა მაღალი ტექნოლოგიის საფუძველზე". თითქმის სარწმუნოა, რომ ჩინეთი შეძლებს ამ ლოზუნგის განხორციელებას. 37 მილიარდი დოლარი, მართლაც, ფანტასტიკური თანხაა და ის პატარა ქვეყნების მთელი წლის ბიუჯეტს რამდენჯერმე აღემატება. თუმცა, თუ დავუკვირდებით, სად აპირებს ჩინეთის მთავრობა ამ ფულის დახარჯვას, მაშინ ასეთი თანხაც ადვილად დასახარჯად მოგვეჩვენება.

მარტო ორი მილიარდი დოლარი მოხმარდება ოლიმპიური ობიექტების ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვას. დაახლოებით სამი მილიარდი დასჭირდება ამ ობიექტების მშენებლობას. დაახლოებით 31 მილიარდი კი მოხმარდება პეკინის მთელი ინფრასტრუქტურის დახვეწასა და ტრანსპორტის პრობლემების გადაჭრას. კიდევ ერთი მილიარდი წვრილმანი ხარჯებისთვისაა გათვალისწინებული. მას ვერც კი შეამჩნევენ.

ოლიმპიადების ისტორიაში საუკეთესო თამაშების მოწყობის მიზნით, ჩინეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა, ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა 2006 წელს დაესრულებინა, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მას ურჩია, არ აჩქარდეს და მშენებლობა 2007 წლის ბოლოს დაასრულოს. როგორც ჩანს, თამაშების ორგანიზაციაში ჩადებული ხარჯი უნდა გამართლდეს. ჩინური პრესა ხმამაღლა აცხადებს, რომ შინაურ კედლებში ჩინეთის ნაკრებს შეუძლია, 45 ოქროს მედალი მოიგოს, რაც საბოლოო ჯამში გუნდური გამარჯვებისთვის საკმარისი იქნება. ზოგიერთი გაზეთი კი მკითხველს მოუწოდებს, ეიფორიაში ნუ ჩავარდება, მაგრამ ამ მოწოდებას ყურს არავინ უგდებს. იმაში, რომ პეკინში გამარჯვების უმთავრესი პრეტენდენტი სწორედ ჩინეთი იქნება, ეჭვი არავის ეპარება. ამერიკა თანდათან პოზიციებს თმობს. რუსეთმა კი ეს პოზიციები უკვე დათმო.

ათენში ჩინეთმა მხოლოდ ამერიკას დაუთმო პირველობა, თანაც, გამარჯვებისთვის მხოლოდ სამი ოქროს მედალი დააკლდა. ეს კი ჩინელებს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს. საბერძნეთში გამგზავრებამდე ჩინეთის ოლიმპიური კომიტეტი 20 ოქროს მედლის მოპოვებას გეგმავდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ნაკრების უმრავლესობა პეკინშიც კონკურენტუნარიანი იქნება. კაცმა რომ თქვას, ჩინეთს ათენშიც შეეძლო პირველობის მოპოვება, მაგრამ ზოგიერთი გამოცდილი სპორტსმენი, რომელსაც ოქროს მედლის პრეტენზია ექნებოდა, შინ დარჩა. მიზეზი მარტივია: ეს გამოცდილი სპორტსმენები პეკინში ასაკის გამო ველარ იასპარეზებდნენ და გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ოლიმპიურ თამაშებზე ახალგაზრდები გაეგზავნა, ისინი, ვინც ოთხი წლის შემდეგაც მედლებისთვის იბრძოლებენ. ჩინეთში უაღრესად დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდა სპორტსმენების აღზრდას, განსაკუთრებით ცურვასა და მძლეოსნობაში, ანუ იმ სახეობებში, რომლებშიც ჩინეთი არასოდეს ყოფილა ძლიერი.

ბევრმა არც იცის, რომ ჩინეთში ბავშვები ტესტებს გადიან იმაზე, თუ სპორტის რომელ სახეობაში შეიძლება მიაღწიონ წარმატებას. ტესტების მიხედვით ყველაზე ნიჭიერ ბავშვებს უშვებენ სპეციალურ სპორტულ სკოლებში, რომლებიც მთლიანად სახელმწიფო კმაყოფაზეა.

სიდნეიში ჩინეთის ნაკრები მხოლოდ 14 სახეობაში იყო წარმოდგენილი, ათენში - 26-ში. პეკინში კი, როგორც მასპინძელს, უფლება ექნება, 28-ვე სახეობაში გამოიყვანოს გუნდი. თანაც, ჩინელები ყველგან ისეთ სპორტსმენებს გამოიყვანენ, რომლებსაც მედლებისთვის ბრძოლა შეეძლებათ. ხოლო 37 მილიარდი დოლარი ისეთი ქვეყნისთვის, რომლის ეკონომიკა სწრაფი ტემპით ვითარდება, პრაქტიკულად არაფერია. ყოველ შემთხვევაში, ეს საკმაოდ ზომიერი თანხაა იმის სანაცვლოდ, რომ მოიპოვო პლანეტის უდიდესი სპორტული სუპერქვეყნის სტატუსი.

TV-სპორტი

## ხუთშაბათი. 2 სექტემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:30 NBA TV. საწვრთნელი ბანაკი: "DENVER NUGGETS". მე-3 ნაწილი
07:00 NBA TV - საზაფხულო ლიგა. "DENVER NUGGETS" - "SAN ANTONIO SPURS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "პონტე პრეტა" - "პალმეირასი"
14:00 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. არგენტინა - ეკვადორი
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:55 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. პერუ - ვენესუელა
18:40 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
19:10 "FUTBOL MUNDIAL"
19:40 თავისუფალი დარტყმა
19:55 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:05 ბრაზილიის ჩემპიონატი. "პონტე პრეტა" - "პალმეირასი"
21:50 ამერიკის თასის საუკეთესო მატჩები. ბრაზილია - კოსტა რიკა. შესვენებისას (22:40) - თავისუფალი დარტყმა
23:45 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:45 00:45-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
04:00 NBA TV - საზაფხულო ლიგა. "CHARLOTTE BOBCATS" - "UTAH JAZZ"

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:00 პრესცენტრი
10:20, 21:00 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჰოკეი. მსოფლიო თასი. ჩეხეთი - შვედეთი
13:35 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
14:05 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
18:30 ჰოკეი. მსოფლიო თასი. კანადა - სლოვაკეთი. შესვენებისას (20:00) - პრესცენტრი
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:15 ჰოკეი. მსოფლიო თასი. ფინეთი - გერმანია. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 რბოლა გასაბერი ნავებით. "სანკტ პეტერბურგი 24 საათი". მეორე ნაწილი. შესვენებისას (00:30) - ახალი ამბები
01:15 01:15-დან 02:45-მდე შესვენება
02:45 ჰოკეი. მსოფლიო თასი. აშშ - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 აფროსნობა
11:00 გოლფი. ევროპული ტურნირი გერმანიაში
11:30 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
12:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი იაპონიაში
13:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი სამსუნგი ბელგიაში
14:00 "ოლიმპიკ ექსტრა". ტელეჟურნალი
14:30 ძალოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
15:45 ჩოგბურთი. ახალბედა
16:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
19:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:45 ახალი ამბები
02:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

# სახლი ვაშლების ბაღში

## ინტერნაციონალური ინტერმედიები

ნოდარ მალაზონია

როცა რედაქტორის კაბინეტის კარი შევაღე და მძაფრი "ტრაინოი ოდეკოლონის" სუნი მეცა, შევცბი, მაგრამ იქვე სავარძელში საგანგებოდ დავარცხნილ-შეპუდრული რუსი რომ დავინახე, დავმშვიდდი.

სტუმარი რედაქტორმა გამაცნო, იგი საკავშირო გაზეთის "სელსკაია ჟიზნის" თანამშრომელი გამოდგა. სრტუმარ-სამასპინძლო საკითხი, ნიკალაი დავიდოვიჩმა (ნიკო შველიძე, ჟურნალ "ნიანგის" რედაქტორი სამოციან წლებში) უყოყმანოდ გადაწყვიტა და საპატიო სტუმართან ერთად, რედაქციის შინაურ-გარეული აქტივი, სოღანლუღში, მალაქიას "აფხაზურას" და კაი ჩამოსხმა რვა ნომრის, "სადეგუსტაციო რეიდზე", დაუყოვნებლივ გავედით.

გადავრიეთ რუსი, ქეიფი დუღდა და გადმოდუღდა. რა არ ვთქვით რუსულად და რა არ ვიმღერეთ ქართულად: - "რა ყოფილა ეს რუსები, შეგვიჭამა რესურსებიო", "ჩერჩილმა თქვა ბეზ სტალინა, სკუჩნო სტალო ნა სვეტეო" და "სნებო ზვიოზდოჩკა უპალა, ნა პლეჩო გაგარინა, პოლუბილი მი ხრუშჩოვა კაკ რადნოვა სტალინაო"... მოკლედ ავიწყვიტეთ. წამოსვლისას მანქანაში ღვინით სავსე ბოთლებიც ჩაყარეს ბიჭებმა და სტუმარი, სასტუმრო "თბილისამდე", გრიალით რომ მივიყვანეთ, ოტია პაჭკორიამ იყვირა: - "ნომერში, ნომერში ბატონებო!.. ნომერში გავაგრძელოთ ქეიფიო". რომ ვიუარე, შემარცხვინეს.

მაგრა უგრიალიათ. ალიონზე, მეიდანზე ხაშიც დაურტყიათ და გრიალ-გრიალით რუსი აეროპორტამდე მიუცილებიათ.

ერთი-ორი კვირის შემდეგ შევდივარ რედაქტორის კაბინეტში და ამას ვის ვხედავ, აგერ არ ზის ისევ ჩვენი დავარცხნილ-ჩაჰალსტუხებული რუსი?

როცა რედაქტორს გავხედე, სიფათი არ მომეწონა, ძალიან ჭარხლისფერი გადაჰკრავდა, თავი ზედმეტად ვიგრძენი და კარი გამოვიხურე. მოგვიანებით, რედაქტორთან გამოსამშვიდობებლად შევედი, მე ხომ სამი თვით შემოქმედებით მივლინებაში მაგზავნიდა მხატვართა კავშირი.

ამჟამად როსტოვიდან ჩამოფრენილა ეს ჩვენი ნაპატივები რუსი. მივლინებაში ფული შემოაკლდა და მოსკოვში დასაბრუნებელი ბილეთის ფულს ხომ ვერ მასესხებთო - შეუჩივლია რედაქტორისთვის.

- გადასარევი პირდაპირ, - თვალებიდან ლამის ნაპერწკლები გადმოყაროს რედაქტორმა, - გაგონილა ასეთი რამ? როსტოვიდან თბილისში ჩამოსაფრენი ფული თუ ჰქონდა მაგ ოჯახაშენებულს, მოსკოვში იქიდანვე ვერ გაფრინდა? უფრო ახლო არ იყო?

ქოთქოთებს ნიკალაი დავიდოვიჩი და კიდევ უფრო ედება ალმური სახეზედ.

- ტყუილად ბრაზობთ, ბატონი ნიკო, - ვცადე რედაქტორის დამშვიდება.

- რატომ არ უნდა ჩამოსულიყო?! ფეხით რომ ერბინა როსტოვიდან თბილისამდე, მე ის არ გამიკვირდებოდა; ნეტავ კიდევ სად ნახავს ასეთ ქვეყანას მთელი მსოფლიო რომ შემოირბინოს?!.

იმ დღით "პრაზდნიკი" აღარ შედგა.

■ ■ ■

სწორედ იმ წელს, ეკრანზე რომ "მაგდანას ლურჯა" გამოვიდა, მე, გიგლა ფირცხალავა და თენგიზ აბულაძე ერთ ვაგონში მოვხვდით.

მე მოსკოვთან ახლოს - "ჩელიუსკინსკში", გიგლა, "კროკოდილში", თენგიზი კი ფილმის ჩასაბარებლად მივემგზავრებოდით სსრკ-ს დედაქალაქში.

თბილისის ვაგზლის პერონზე ტაშფანდურით, ჩურჩხელ-ნაზუქებითა და გროვა თაიგულებით, ქართველებმა ვიღაც რუსი მანდილოსანი შემოაცილეს ჩვენს კუპეში და უსაშველო პროშნაპრუშნის შემდეგ დატოვეს.

დაიძრა თუ არა მატარებელი, რომ დაჯდა ეს რუსი ქალბატონი ფანჯარასთან და ხელი შუბლზედ შემოიდო, სამი დღე და ღამის განმავლობაში კრინტი ხმა არ გაუღია. არადა, ჩემი ყურით რომ არ გამეგონა მასპინძლებს რა ვაი-ვიშით და "ბლაგადარნოსტებით" გამოეთხოვა, ვიფიქრებდი ყრუმუნჯია-მეთქი.

ცოტა ხანს ჩვენ ხან აქედან ვუგორეთ კოჭი და ხან იქედან, მაგრამ გაგიგონიათ -ზედაც არ შემოგვხედა. შემდეგ გავანებეთ თავი, ვიყავით ჩვენ ჩვენთვის და ის თავისთვის.

მესამე დღე რომ გათენდა, გაილვიძა თუ არა და მოსკოვის სურნელი იგრძნო, ქაჯანასავით ამოიდგა ენა და ცივად მოგვახალა.

- ხვატიტ ვამ გრუზინამ, ვიბრალი ხოროშოე მესტო!..

მას აქეთ რაც დრო გადის, თანდათან ვრწმუნდები, რომ მისებრ არავის დარჩენია თვალი საქართველოზე.

■ ■ ■

ბილეთზე აღნიშნული დაბის პერონზე ჩამოვხტი, ერთხელ კიდევ შევამოწმე ჩემი შემოქმედებითი საგზურის რეკვიზიტი, იქაურობას თვალი მოვავლე და პირველსავე შემხვედურს შევეკითხე:

- უკაცრავად, საით არის მხატვრების სახლი?

- აი, ტყის განაპირას, ეგერ, ჰე... ვაშლების ბაღში, - მითხრა იქაურმა კაცმა და წავიდა.

თვალუწვდენელი ფიჭვნარის განაპირას, როცა ფიცრული ღობით შემოვლებულ ვაშლების ბაღში ფინური სახლი დავლანდე, თვალი კიდევ ერთხელ მოვავლე იქაურობას, მანძილი პერონიდან იმ სახლამდე გავზომე, მხარზე ჩემოდანი შემოვიდგი და გაუცნობიერებელი მღელვარებით იქეთ მივაშურე.

იმჟამად იქ მხატვარ-გრაფიკოსები იყვნენ თავმოყრილნი. გრაფიკოსები უფრო საჟურნალო სატირის განხრით. თითქმის ყველა რესპუბლიკიდან თითო მხატვარი, სულ ოცამდე თუ ვიქნებოდით.

ჩვენ, ასე თუ ისე, მალე ადვილად გამოვნახეთ საერთო ენა. ყოველ ჩვენგანს საკუთარი ოთახი გვქონდა. იქვე, დამხმარე სათავსოში კი ვიკვებებოდით.

რატომღაც, ყველაზე უფრო ჩქარა ლენინგრადელ ივანოვს შევეგუე, არკადი ივანეს ძეს. ჩვენს შორის ყველაზე უფროსი და პატივსაცემი ბიძა იყო.

- შენ, ნადირ! (ვერაფრით ნოდარი ვერ ვასწავლე) იცი, რას გეტყვი? - მითხრა არკადი ივანეს ძემ, - დამიძახე ძია არკადი, ან თუ გინდა, უბრალოდ, ივანოვი.

ახლა დანამდვილებით ვერ გეტყვით, რით იყო ჩვენი ასეთი ნაადრევი ურთიერთსიმპათია გამოწვეული, მაგრამ ზოგი რამ კი შემიძლია მოვიგონო, თუ, რასაკვირველია, ეს საკმარისი იქნება ზემოთქმულის არგუმენტად.

ჯერ ერთი, კარგად ყურის დაგდება ვიცოდი მისი. მან კი უსაშველოდ საინტერესოდ იცოდა თავისი ფრონტული ამბების მოყოლა (ყველას აქ ვერც კი დავტევ). მე ბევრჯერ მომისმენია ომგადახდილი ჯარისკაცისთვის, მაგრამ არკადი ივანეს ძე რაღაც სულ სხვანაირად ხედავდა ყველაფერს.

- ყოველი შეტევის წინ წვერს ვიპარსავდი ხოლმე, - მეტყოდა იგი, - რატომ იცი? ჯერ ერთი, ლამაზი მინდოდა მომკვდარიყავი, თუ მოვკვდებოდი, და მეორეც ხომ იცი, ლამაზს ტყვია ნაკლებად იმეტებს.

სადილის შემდეგ ერთად გავიპარებოდით ხოლმე სახლის უკანა ეზოდან.

- რიგითო მალაზონიავ, დაწექით! - გასცემდა განკარგულებას ივანოვი. მე ბალახში გავიშხლართებოდი და მეორე განკარგულებას დაველოდებოდი: - წინ, ხოხვით! მომიწვებოდა თუ არა გვერდით, ჩუმად ჩამიჩურჩულებდა იგი და ჩვენც მუცელზე ხოხვით მესრის ქვეშ გავძვრებოდით (ეს საიდუმლო ხვრელი ივანოვის მიერ იყო აღმოჩენილი) და სირბილით რკინიგზის ბაქნისაკენ მოვკურცხლავდით, სადაც ცივი ლუდი გვეგულებოდა. ივანოვი მუდამ უკან, ქოშინით მომდევდა და ხმამაღლა, ისე, მე რომ გამეგონა, გაუჩერებლივ ბურტყუნებდა.

- ეხ, ნადირ, კარგი მზვერავი ვიყავი, კარგი! ნემსის ყუნწში გავძვრებოდი, განა ასეთი ბლაყუნა ვიყავი?! მეთაური მეტყოდა: - ივანოვ, წახვალ ენის მოსაყვანად?

- წავალ ამხანაგო უფროსო! - და წავიდოდი, მე შენ გეტყვი, ხელცარიელი დავბრუნდებოდი?! ნურას უკაცრავად! აფსუს! რა ბიჭი ვიყავი! ერთხელ, მახსოვს, სმოლენსკთან ვართ. მორიგი დავალება მივიღე და უკუნეთ ღამეში გადავეშვი. ამოცანა გადაუდებელი იყო, მოენის საშუალებით უნდა გაგვეგო, რა ხდებოდა ჩვენს წინ. მივხოხავ და ვიყნოსები ძაღლივით. აბა თვალით ხომ არაფერი ჩანს?! აბა, ნადირ, თუ იცი შენ, რა არის მთავარი ამ დროს მზვერავისათვის?

- პაპიროსი არ მოსწიოს! - დაუფიქრებლად ვუპასუხე.

- უყურე შენ! ეგ საიდან იცი? - გაიკვირვა ივანოვმა.

- მაგას რა ცოდნა უნდა, აანთებ და მორჩა!




იდეა პლაკატისათვის. 2003 წელი. ნოდარ მალაზონია.

- ეხ, ნადირ! ანთებას როგორღაც მოახერხებ, განა მთავარი ესაა?! მთავარია მახორკა ყელში არ გაგეჩხიროს, დაახველებ და - მორჩა! თავი გება და აღარ გაბია! არადა ისეთი გაბმული ხველა იცის, ყივანახველა მოგაგონდება, თუ დაიწყო, მოგჭამა ჭირი. ჰოდა, მივდივარ, მივძვრები და აქეთ იქეთ ვიყნოსები. უიმე, ერთი ამას დამიხედეთ, აგერ არ წამოსკუპებულა ვაჟბატონი?! კი ვერ ვხედავ, ნადირ, მაგრამ ვგრძნობ. ჩაუშვი ახლა ამას თავში და საქმე მოთავებულია! ავდექი და მეც ჩავუშვი კეფაში გემრიელად. ერთი რაღაც სხვანაირად კი ამოიკვნესა საცოდავმა და ძირს მოადინა ზღართანი. მე ვეცი, რომ პირი ავუკრა. რა ვიცი იქნებ ისევ გონზეა და არ იბღავლოს. და ჩემთვის ვბურტყუნებ: აი, ესეც შენ, შე შობელძაღლო-მეთქი! ამ დროს ჩემთვის გასაგებ ენაზე მესმის: - რა მოგივიდა, შე სულელო, შენიანებს ვეღარა ცნობ?! - რაც მე იმას ბოდიშები ვუხადე და ვეფერე! ღმაეთ-მეთქი, კაცი არა ხარ?! შენ არ შეგშლია რაიმე?! უნდა გამიგო-მეთქი! ამ საქმეებში ვარ გართული და ვიღაცამ მე არ ჩამიშვა კეფაში?! სულ რაღაც ერთი წამით ადრე კი მოვასწარი გაფიქრება: ვაი შენ, ჩემო თავომეთქი! მაგრამ მოასწრებ რამის თქმას? ნელნელა აზრზე მოვდივარ და ვგრძნობ ახლა მე არ მეფერებიან?! - უნდა გაგვიგო ძმობილო, რას იზამ, უკუნეთი ღამეაო. - აი, ღმერთმა დაგსაჯაო, - სიცილით იგუდება ჩემი კლიენტი. არადა, მთავარი დამავიწყდა: მახორკაზე ხომ უკვე გითხარი, ნადირ, აი, ჩარტყმაზე კი არ მითქვამს. ისე უნდა ჩაარტყა, არც მწვადი დაწვა და არც შამფური, თორემ ჩვენთან, პოლკში ერთი კუზმინი იყო, მოიყვანდა, კი არ მოიყვანდა, მოათრევდა, ვნახავდით, უკვე მკვდარია. ვერაფრით ვერ ვასწავლეთ, როგორ უნდა ჩაეშვა, გაიგე? ვერ ვზომავო, თავს იმართლებდა. აილეს და სხვაგან გადაიყვანეს - შენგან მზვერავი არ გამოვაო! ასეთია ფრონტი, ჩემო ნადირ! ხანდახან შენიანიც ვერ გაგირჩევია. არადა, თუ ცოტა შეგეშალა, მორჩა! შენ რა გგონია, ფრიცი იდიოტია ან არიფი? ისეთი გაიძვერაა, ისეთი ოსტატია თავისი საქმისა, რომ ზოგჯერ შეგშურდება კიდეც. არადა, ახლა უნდა გამოგიტყდე, ნადირ, დაიხედავ ძირს და უკვე მიქელ-გაბრიელს მიუღია, შეხედავ და გიკვირს, ისეთი ფრანტები არიან. ეს პირველად, იცოდე, პირველად - გაპარსულები, კოხტაპრუწები, მაგრამ რა? - ლამაზი კი არც ერთი არ არის, ცხრა ეშმაკის მათხოვრებს გვანან. ყველა ისეთი საზიზღარია, რომ ზედაც არ გინდა შეხედო. აი, ჩვენს ჯარისკაცს დახედავ და გული მოგიკვდება: შემოგლეჯილი ფარაჯა, წვერგაუპარსავი, მაგრამ "კრასავეცია", ნამდვილი "კრასავეცი"! არა, ანგელოზი, რაინდი! გინდა, უყურო და იტირო, იტირო გულამოსკვნით. აბა, ერთი, დაიხარე და სცადე ავტომატის ხელიდან გამორთმევა?! ვერ გამოგლეჯ! მკვდარია და ლომის მკლავი კი ისევ ზედ აბია!

არკადი ივანეს ძემ ამბის მოყოლა დაამთავრა. ფეხების ბაკუნით ბაქანზე ავდივართ, თითო კათხა ცივ ლუდს გემრიელად ვწრუპავთ. ივანოვი ას გრამსაც აყოლებს და მერე, თვალებგაბრწყინებული მოულოდნელად მეკითხება:

- ნადირ, საქართველოში კოლექტივი არის?!..

- ...

- ესე იგი, კოლმეურნეობაა... შრომადღე...

- ...

- გაუგებრად ვამბობ?! რატომ არ მპასუხობ. საბჭოთა მეურნეობაა...

- გავიგე, გავიგე, - როგორც იქნა ამოვღერღე ერთობ მძაღედ.

- მერე?!

- რა მერე ივანოვ?!. საქართველოში არც კოლექტივია, არც კოლმეურნეობა, არც ობლიგაციები და კიდევ იცი რა?!.

- რა?! - პირი გააღი ივანოვმა.

- და არც დედისერთა შვილები გაუწვევიათ ჯარში, სამამულო ომში...

- დედავ ძვირფასო... - გაუკვირდა ივანოვს. - მე კი გაუგებარი რაღაც - რაღაცეების ეჭვები მღრღნიდა...

- მოიცა! და თუ გსურს სრული სიმართლე იცოდე, არც ოცდაჩვიდმეტი ყოფილა საქართველოში და ყველაფერი ეს ხომ კარგად იცი ვისი წყალობით?!.

- ვთქვი ეს და საჩვენებელი თითი მკერდზედ მივადე ივანოვს.

- ეხლა უკვე ამლაშებ ნადირ. განა ასე საბურთაოდ გასამეტებელი ვარ? მიმიხვდა ქილიკს ივანოვი.

- ვითომ რატომაც არა, - არ გავიტეხე იხტიბარი მე. ნახევარი კათხა ლუდი იქვე დახლზედ დავდე, მებუფეტეს ფული მივუგდე და პერონის კიბეებზედ დავეშვი.

- ეე... მოიცა ნადირ, - დამედევნა შეშფოთებული ივანოვი.

- შენ რა ბუტია ვინმე ყოფილხარ... ნადირ, განა იმიტომ მიყვარდი?! ამხანაგო, დაგავიწყდა წყვდიადი რუსეთის შვილი რომ ვარ?!. ნადირ... - მკლავზედ ჩაფრენილი მანჯღრევს ივანოვი და წინ მელობება, რომ შემაჩეროს.

- მიდი ბარემ ამოშაქრე ბოლომდე, მე ხომ ვიცი, შენ კიდევ რაღაცა ისეთი გინდა მკითხო, რისი თქმაც ჯერ ვერ გაგიბედია.

- მაგარი ხარ, როგორ გამოიცანი?

- ...

- მაშ კარგი, კიდევ ორი კითხვა და მერე გინდაც აქვე ჩამქოლე... ოღონდ ბოლომდე მათქმევინე, ფხუკიანო ქართველო "კაცო". ბოლო სიტყვა "კაცო", სწორედ იმ ინტონაციით თქვა, ჩვენ, ქართველებს ერთობ რომ გვალიზიანებდა, შემდეგ თბილად გამიღიმა, მომეხვია და ყურში ჩამჩურჩულა: - მზად ხარ?..

- ერთობ!

- მაშ ყური მიგდე. პირველი; ორმოცდაცამეტის მარტში, ისევ მენშევიკური ხელისუფლების აღდგენას ითხოვდით?

თქვა ეს და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

- პოლკოვნიკ ივანოვ, შენ რა დღეს, სულ გააფრინე?

თავი ვეღარ შევიკავე მე და სიცილი ამიტყდა.

- ჯერ ერთი მე, თადარიგის უმცროსი ლეიტენანტი ვარ, მეორე შენი კოლეგა და მესამე - დავუშვათ გავაფრინე, რა მოხდა მერე, ჩვენ ხომ მეტად საჭირბოროტო საკითხებზე ვსაუბრობთ, ასე არ არის?!

- მასეა, ივანოვ, მიდი ბარემ მესამეც!

- მესამე?!.

- დიახ!

- მესამე!!! რატომ ცხოვრობთ თქვენ ქართველები უკეთ და ჩვენ რუსები ცუდად?!

- ოო... ეხლა კი ნამდვილად მოხსენი ბანკი ივანოვ. ნეტავ რა გეშველებოდა მე რომ არ შემხვედროდი? ან დღემდე ამდენ ბოლმას ერთად როგორ ატარებდი?

- რატომ ბოლმას, ეს ბოლმა სულაც არ არის.

- მაშ რაა?

- უბრალოდ, ადამიანური ინტერესია...

- და მეტი არაფერი?

- მდაბიურად ეგრეა. თუ კი შეიძლება ამას ასეთი კვალიფიკაციაც მივანიჭოთ. - სოციალურ-მორალური, გნებავთ პოლიტიკური... რას იტყვი?

- რას ვიტყვი? მოდი ერთი აქ, ჩამოვჯდეთ, მოდი, მოდი.

- და ჩვენ იქვე, ხის ძირას ფიცრულის სკამზე ჩამოვჯექით. ივანოვმა თავისი "ბელამორკანალი" დააძრო და მადიანად გააბოლა.

- მხოლოდ ემოციების გარეშე ნადირ!

- შევეცდები. მეთანხმები თუ არა, რომ ჩვენ ორთავე ამ ცოდვილი ქვეყნის "პროდუქტები" ვართ?

- მასეა. მაგრამ აჯობებს, ნაყოფი.

- ეგრე იყვეს. ნაყოფი; რომელიც ერთი ჩრდილოეთში ხარობს და მეორე სამხრეთში. შესაბამისად ამისა, ჩვენ სხვადასხვა შეფერილობისანი ვართ და გემოც სხვადასხვანაირი გვაქვს, რომლებიც ერთნი ადრე მწიფდებიან მეორენი...

- გვიან! - დამასწრო წინადადების დამთავრება ივანოვმა. გაიცინა და გააგრძელა.

- ერთობ ფილოსოფიურად ხომ არ გამოგვდის?!.

- მდაბიურ ფილოსოფიურად. - დავაზუსტე მე და გულიანად გავიცინე.

- კარგი. მიგიხვდი სათქმელს და ბარემ აქვე ჩაგეკითხები. მაშინ ამაზედ რას მეტყვი, როცა თქვენი მეტად ფასობს და ჩვენი კი იაფად?!.

- ჰოო... აი, ეხლა კი სწორედ მაგაზედ მოისმენ შეუდრეკელ პასუხს. რომელსაც საიდანაც არ უნდა შემოუარო, კარებს ვერ უპოვი.

- ნუ თუ?!

- დიახ!

- მითხარი და დამაწყნარო იქნებ.

- "პროსტო მი ვიბრალი ხოროშოე მესტო", - მომაგონდა "პასაჟირკას," ეს შესაშური ინტერპრეტაცია და გულიანად გამეცინა.

- ეგ, როგორღა გავიგო?! - გაუკვირდა ივანოვს.

- როგორ და თურმე, როცა "სამოთხის ბაღში", ერთობ მომრავლდნენ და იქაურობა ლამის კომუნალურ "ოფშეჟიტიად" გადაიქცა, ადამის მოდგმამ სხვადასხვა გზით დაიწყო სარჩო-საბადებლის საძებრად განფანტვა...

- მერე, მერე, - გახალისდა ივანოვიც.

- მერე, ზოგი აღმოსავლეთით გაჭრილა, ზოგიც დასავლეთით. ზოგიც სამხრეთით...

- ძალზედ შთამბეჭდავია, - წამოიძახა ივანოვმა და არ მაცალა წინადადების დამთავრება, - ასეთი, რამ არც არსად წამიკითხავს და არც გამიგონია.

- გატყობ მოგწონს, მაგრამ ამ მითოლოგიის საფუძველს, არც მე ვიცნობ. ისე კი შემიძლია დაგიფიცო, რაც ვთქვი, ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი.

- მაგარია! ჯერ გაიფანტნენ და შემდეგ, ვინც საით მოისურვა, იქეთ გარეკა არა?!.

- მაშ! თანაც, "ხაროშოე მესტო", მისწრებაზედ ყოფილა. ვისაც ჯანი ეყო, "მეორე სამოთხეს" უფრო ჩქარა მიაღწია; ხოლო ვისაც ქანცი გაეცალა...

- ქანცი და ჯანი ერთად. მანდ ალბათ, მთავარი სხვა იყო,. - თქვა და ხელი მაღლა ასწია, - მიმართულება! მიმართულება ნადირ! - მეთაურის იერით მითხრა, შემდეგ გაიღიმა და თქვა: - საჩემო საქმეა, მზვერავის, ვერაფერს, რომ ვერ ხედავ და ყნოსვით იკვლევ გზას. აღმა სჯობს სირბილი თუ დაღმა, - შემდეგ საგანგებოდ შემათვალიერა და ერთობ სერიოზულად მკითხა:

- ესე იგი გამოდის, რომ ჩვენ თუ სამხრეთით გავიქცეოდით, თქვენ კი ჩრდილოეთით... მაშინ?!.

- მაშინ რა?!. - მივუხვდი სათქმელს, მაგრამ მაინც ვკითხე.

- მაშინ რა მოხდებოდა, იქნებ ესეც თქვა, - ეხლა უკვე მეტად გამომწვევად, მკითხა ივანოვმა.

- არაფერი განსაკუთრებული, - მშვიდად ვთქვი მე.

- ვითომ რატომ?! - ჩამაცივდა ივანოვი.

- იმიტომ ძია არკადი, რომ თქვენ, აღმოსავლეთით გაიქეცით, სამხრეთითაც, დასავლეთითაც და ჩრდილოეთითაც... მაგრამ!..

- რა მაგრამ! - ეხლა მძაღედ კბილებიდან გამოსცრა ივანოვმა.

- მაგრამ ის, რომ ისევ რუსებად დარჩით?!

- დიახ.

- მაშ რას მიაცვ-მოაცვამ. თქვი უფრო გასაგებად.

- უფრო გასაგებად ასე ვიტყვი. ჩვენ სამოთხის ბაღშივე იმთავითვე რუსებად და ქართველებად გავჩნდით და ერთი მეორისაგან მხოლოდ შეფერილობითა და სურნელით კი არ განვსხვავდებოდით, არამედ...

- არამედ!.. - აუწია ხმას ივანოვმა.

- არამედ, მადითაც! ვთქვი და გამეცინა.

- ო, ჰოოო... ეს, კიდევ რაღაც ახალი ბლინია! მადა, ძმობილო ჭამაში მოდისო, ნათქვამია, - ჯერ წაიხუმრა ივანოვმაც, შემდეგ კი, დამრიგებლური ტონით მითხრა: - ხოლო, გემრიელად და სარგებლად რომ ჭამო ამას, ჩემო ნადირ, თავისი შნო და ლაზათი სჭირდება.

- გააჩნია თქვენ რას გულისხმობთ, შნოსა და ლაზათში. ჩვენ ძია არკადი, სხვის ბოსტანზედ არასოდეს გაგვქცევია თვალი. პირიქით - რაც გვებადა, მუდამ იმას გვედავებოდნენ და გვაწიოკებდნენ. რაც შემოგვრჩა, მხოლოდ მამასისხლად.

- ჩვენ რა, დალხინებულები გვნახე ნეტავ?! ჩვენ რა, განა დაწიოკება გვაკლია?!.

- არც თქვენ და არც არავის ამ ქვეყნად, მაგრამ ჩვენ მაინც სხვადასხვა ოფოფები გვიზის თავში.

- მაინც როგორი?!

- აკი ვთქვი, ძია არკადი.

- "ბოსტნის", ფილოსოფია არა?! - სევდიანად თავისთვის ჩაილაპარაკა ივანოვმა.

- თუნდაც.

- და შენ ეს გიკვირს?! განა კაცობრიობის ისტორია, მიტაცების და დაწიოკების ისტორია არ არის?!

- აღორძინებისაც, ძია არკადი.

- არა, გეთაყვა, არა! მიტაცების, მხოლოდ და მხოლოდ მიტაცების ხარჯზედ.

ალაფი! ნახე როგორ მედიდურად ჟღერს?! ზოგი დედის რძესავით ირგებდა, ზოგსაც, ძმრად ადენდნენ ცხვირიდან.

- ჩვენი კი, როგორც ხედავ, განგებამ ეს შნო და ლაზათი არ გვარგუნა.

- რისი შნო და ლაზათი? - ისე სხვათაშორის მკითხა ივანოვმა.

- მიტაცების, ძია არკადი. თორემ? ისე მომეცა ლხენა, აბა წარმოიდგინე, საქართველო - ინგლისის ან საფრანგეთის ტოლია. ტა, ტა, ტაა.. - მომეწონა ჩემი ნათქვამი და იქვე, ღლაბუციით მივაყოლე, - მე შენ გეტყვი, ნაპალეონს ვერ გამოვნახავდით, ფუშეს თუ ნელსონს?!

- ერი ჰაა... ეხლა მე მომისმინე ყმაწვილო, ჯერ ერთი, შესაშური არაფერი გაქვს, რადგან დიდ-პატარის უკეთესობა არავის შეუფასებია! მეორე...

- მადაზედ რას იტყვი?! - ეხლა მე არ ვაცალე ივანოვს სრულად სათქმელის დასრულება.

- მადა, რომ უმადობას სჯობს, ეს ფაქტია! მეთანხმები?

- მადას გააჩნია.

- ესეცაა და კიდევ სხვაც! რასაც ჩახეთქავ, იმის მონელება უნდა შეძლო, ისიც სარგებლად, გაიგე?!. სარგებლად ნადირ! თუ უკვდავება გსურს, რასაკვირველია.

- უკვდავება პირობითი მცნებაა და თანაც არა მარადიული.

- ყოჩაღ! სწორი ხარ. ვულკანსა ჰგავს. ვისთვის ვარსკვლავებს აფრქვევს ვისთვის ცეცხლსა და ლავას.

- და მთავარი ამ ქვეყანაზედ მაინც სულ სხვაა!!! მოულოდნელად საგანგებო არტისტული ინტონაციით წამოვიძახე მე და იქვე ხის ტოტებზედ ჩამოვეკიდე.

- რა?! - წამოიჭრა ივანოვი დაფეთებული.

- სხვა კიდევ რა?!. თქვი, თქვი, ხომ არ შეიშალე. ფეხებში წამავლო ხელები ივანოვმა და მექაჩება.

- აბა, გამოიცან ძია არკადი! - დავხტი ძირს თუ არა, ერთგვარი პათეტიკით მივმართე ივანოვს და შემდეგ მეორე ტოტზედ დავიწყე კონწიალი.

- შენ გინდა, რომ ვთქვა: ფული, ოქრო, ბრილიანტი, და ...

- არა!

- მაშ ქალები?! - სცადა ჩემი დამშვიდება ივანოვმა.

- არა, არა! - ეხლა, ჰამლეტისამებრ ჩამოვძახე მე.

- მაშ რა ჯანდაბაა... - ქოთქოთებს ივანოვი. - ჯანმრთელობა?!..

- არა, არაა!!! მთავარია, ად...ადა...მი...

- ად...ამი..აა... - ასო, ასო, მომდევს ივანოვი.

- ადამი...აა - ვცდილობ, წავეშველო ივანოვს.

- ადამიანობაა!!! - ერთხმად წამოვიძახეთ ჩვენ.

- ადამიანობა?! - მშვიდად თავისთვის თქვა ივანოვმა, ისე თითქოს ერთხელ კიდევ სურს გაერკვეს ამ უჩვეულო თეზაშიო.

- დანარჩენი კი?!.. - ისევ დავაცხარი თავზედ ივანოვს.

- დანარჩენი კი?! - იმეორებს ივანოვი და თვალს არ მაცილებს.

- დანარჩენი; მთხლე! - ისევ ვიყვირე მე.

- დანარჩენი... მთხლეა. - თქვა ივანოვმა და სიცილი აუტყდა. - მთხლე, მთხლე.

დანარჩენი მართლაც ყველაფერი მთხლეა, - იმეორებს ივანოვი და სიცილისაგან იფხრინება.

- მთხლეეე!!! - ერთხელ კიდევ ერთად შევძახეთ ჩვენ და ისევ ძუნძულით ვაშლების ბაღისაკენ გავეშურეთ.

*(დასასრული ხვალინდელ ნომერში)*

# ფასიანი ალიბი მოღალატეებისთვის

## გერმანელებმა მორიგი გამოგონებით გააოცეს რქიანი მეუღლეების საზოგადოება

მადი სერებრიაკოვა

ღალატი, გარდა იმისა, რომ არცთუ კეთილშობილური საქციელია, საკმაოდ ძვირი სიამოვნებაც არის. ავიღოთ მაგალითად ცოლქმრული ღალატი: თავის დაძვრენის ნაირ-ნაირი მეთოდები ნერვებისა და ფინანსების ხარჯზე, რომ აღარაფერი ვთქვათ, კეთილდღეობისა და კომფორტის დანგრევის საფრთხეზე. ერთი გონებამახვილი გერმანელის გამოგონების წყალობით, შესაძლოა მოღალატე მეუღლეებს საქმე ცოტა გაუადვილდეთ. რა თქმა უნდა, გარკვეული ანაზღაურების ფასად.

"იდეალური ალიბი" - ასე ჰქვია სააგენტოს, რომელიც იენს შლინგენზიფმა გერმანიაში გახსნა. იგი მოღალატე მეუღლეებსა და სხვა სახის აფიორაში გახვეულ პიროვნებებს ალიბის სთავაზობს, რომელიც მათ ნათესავების, მეგობრებისა და ახლობლების თვალში გამოაშკარავებისა და სირცხვილისგან იხსნის. სააგენტოს ისტორია არაკომერციული მიზნებით დაიწყო. შლინგენზიფის მეგობარი ძალზედ უხერხულ ისტორიაში გაეხვა. ხანმოკლე ინტრიგას მისთვის ცხოვრება რომ არ დაენგრია, შლინგენზიფმა დიდებული ისტორია შეთხზა და მეგობრის ცოლს უტყუარი ალიბიც წარუდგინა. ეს ამბავი მალე ბევრ ახლობელს მოედო და ავტორმაც საკუთარი მომსახურების დაფასება მოინდომა. ასე შეიქმნა პირველი სააგენტო "იდეალური ალიბი", ერთგვარი ფანტაზიების ფაბრიკა, რომელიც მოღალატეებს დამაჯერებელ ალიბის მოუფიქრებს სწრაფად და იაფად.

გარდა წარმოუდგენელი ისტორიების შეთხზვისა, სააგენტოს თანამშრომლები ამ ისტორიების გავრცელებასა და დამკვიდრებაშიც ეხმარებიან დამკვეთს. ისინი ქმნიან არარსებულ კომპანიებს, ყალბ მდივნებსა და რეფერენტებს, კომპანიონებსა და დამკვეთებს, რომლებიც ისედაც მოტყუებულ მეგობარსა და მეუღლეს საფუძვლიანად "დააბოლებენ". ვთქვათ ურეკავ მეუღლეს, რომელიც ამ დროს ახალგაზრდა სიმპათიური საყვარლის მკლავებშია. ტელეფონს უპასუხებს ფიქტიური მდივანი, რომელიც სასწრაფო შეხვედრის შესახებ გაცნობებთ და სხდომის დღის რეჟიმსაც სიამოვნებით გაცნობებთ. ანდა, თუ გსურთ მეუღლე დაარწმუნოთ, რომ მივლინებაში ხართ საზღვარგარეთ, სინამდვილეში კი ძვირფასი სატრფოს აგარაკზე ერთი კვირის გატარებას გეგმავთ, "იდეალური ალიბის" აგენტები თქვენს მეუღლესთან მუდმივ კონტაქტს იქონიებენ, გამოუგზავნიან ღია ბარათებსა და არარსებული კონფერენციის ბუკლეტებს შორეული ქვეყნებიდან. მეტი დამაჯერებლობისთვის, შეიძლება შემთხვევით სახლში დარჩენილი რაიმე საბუთიც გააგზავნინონ გაურკვეველი მიმართულებით.

საინტერესოა, რომ ამ სააგენტოებმა სახელმწიფოსა და პოლიციასთანაც კარგად მოაგვარეს ურთიერთობა და გადასახადებსაც პირნათლად იხდიან. მათი მომსახურება მხოლოდ პრივატულ სფეროზე ვრცელდება და არ ეხმარება მათ, ვისაც საგადასახადო ინსპექციების, ოფიციალური ფინანსური კრედიტორების, ან პოლიციის გაცურება განუზრახავთ.



"იდეალური ალიბის" სააგენტოებს, რა თქმა უნდა, ყველა სიხარულით არ შეხვედრია. რქიან ქმრებსა თუ მოტყუებულ მეგობრებს ის ფაქტი სულაც არ დაამშვიდებს, რომ მათი პარტნიორების მიერ ამგვარ მომსახურებაში გადახდილი ფული საპენსიო ფონდსა და საქველმოქმედო პროგრამებს მოხმარდება. ამგვარ სააგენტოებს სასტიკად ეწინააღმდეგება კათოლიკური ეკლესიაც და მას გარყვნილების ბუდედ მიიჩნევს. თუმცა იდეის ავტორი უკან არ იხევს: "ვიცი რომ კათოლიკური ეკლესია ეწინააღმდეგება ჩვენს საქმიანობას, მაგრამ საბოლოოდ ჩვენ ხომ კარგ საქმეს ვაკეთებთ. ჩვეულებრივ, კავშირები, რომლის დაფარვაშიც ვეხმარებით ადამიანებს, ხანმოკლე ინტრიგებია. ისინი მალე მთავრდება და ოჯახურ კეთილდღეობას არ ემუქრება. ამგვარი კავშირების დაფარვით, კი ჩვენ უბრალოდ ზედმეტ განცდებს ავაცილებთ ადამიანებს."

"იდეალური ალიბის" აგენტები ამტკიცებენ, რომ მათი მომსახურებით პოლიტიკოსები და ცნობილი ადამიანებიც სარგებლობენ. მათი მომსახურება დღეში 14-იდან 800 ევრომდე ღირს. ფასი იმის მიხედვით დგინდება, თუ რა სირთულისაა ინტრიგა და რამდენად მახვილგონივრულ გამოსავალს მოუფიქრებენ დამკვეთს. ზოგჯერ მიზეზი სრულიად უვნებელია ხოლმე. მაგალითად, ერთ გავლენიან ჰამბურგელ ბიზნესმენს ძალიან უყვარს გოლფის თამაში. იგი რამდენიმე ხნით ამერიკაში გაემგზავრა გოლფის სათამაშოდ, მისი ცოლი კი ბერლინიდან იღებდა წერილებს, ვითომდა იქ მიმდინარე ბიზნეს-ფორუმში მონაწილე მეუღლისაგან. ზოგიერთები სააგენტოს მომსახურებას უფრო კეთილშობილური მიზნებისთვისაც იყენებენ. მაგალითად, ერთ თავგადაკლულ შეყვარებულს საცოლესთვის გრანდიოზული დღესასწაულის მოწყობა უნდოდა. საორგანიზაციო საკითხები კი დიდ დროსა და ხარჯებს ითხოვდა, რომელსაც "იდეალური ალიბის" წყალობით სასურველ მომენტამდე გულდასმით უმალავდა ბედნიერ საცოლეს.

ყველაზე ძვირადღირებული "მუდმივი ალიბია". ეს იმ კლიენტებს სჭირდებათ, რომელთაც საკუთარი პიროვნების გაყალბება სურთ. სააგენტოს თანამშრომლები ასეთ შემთხვევაში ყალბ მეგობრებს, თანამშრომლებს ქმნიან, არიგებენ ფალსიფიცირებულ სავიზიტო ბარათებს, ჰყვებიან არჩადენილ საგმირო საქმეებს და ა.შ. ამ მომსახურების გამოყენება ვინმეს გაქურდვის, დაყაჩაღების ან სხვა მსგავსი მიზნით, აკრძალულია. სამაგიეროდ, შეიძლება უიღბლო შეყვარებულს გამოადგეს, რომელიც სატრფოსთვის საკუთარი ღირებულების დამტკიცებას შეეცდება.

სტატისტიკის მიხედვით, გერმანიაში მეუღლეების 40 პროცენტი ღალატობს პარტნიორს. შესაბამისად, "იდეალური ალიბის" ბიზნესს კარგი პერსპექტივები აქვს. ასეთი სააგენტოების გახსნას უკვე გეგმავენ ბრიტანეთში. როდის გაიხსნება სააგენტო საქართველოში, ჯერ უცნობია. თუმცა, თუ ამ ბიზნესში ჩართული ორგანიზაციები გადასახადებს პირნათლად გადაიხდიან... ეგებ, ღირდეს კიდეც.






# აფიშა

## კლუბები

**"კლუბი 22"**
პროექტი "სამშაბათი გასულია"
ექსპერიმენტული ფილმები
დას: 19:00 სთ

## კინოთეატრები

**"ამირანი"**
"ცხოვრება მართლაც მშვენიერია"
"ნატალი"
დას: 18:00; 20:00; 22:00 სთ

## გალერეები

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## TV პროგრამა

*2 სექტემბერი*

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** სერიალი "ქრისტეფორე კოლუმბი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "კავკასიელი ტყვე ქალი" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სერიალი "ქრისტეფორე კოლუმბი" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "ავარია". მთ. რ-ში: კურტ რასელი, კეტლინ კუინლენი (18)y

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ბერლიოზი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **12.15** ექიმი სილვესტრი. ტელესერიალი. **14.05** საოცარი მოგზაურობა. ტიპი და კოალები. დოკ. ფილმი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: ისინი მოგვითხრობენ თავიანთ თავგადასავალს. **23.00** დიდი მოლაპარაკებები. ბორის სირულნიკი. **24.30** ქიმწმენდა. მხ. ფილმი. რეჟისორი ანი ფონტენი. 1997.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** "მიამბეთ თქვენზე" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "კასანდრა" **13.00** "ნაშუადღევს" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ედიტ პიაფი" **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი **17.10** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **17.35** "ჰოლივუდის ვარსკვლავები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტიბუბუ **21.05** სერიალი "კასანდრა" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "შერეკილები არდადეგებზე" (15)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ვიპ-შოუ და კენო (განმ.) **13.00 - 19.00** ტვ-შოპი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმაციური ფილმი "დარდუბალა" (განმ.) **20.00** ვიპ-შოუ და კენო **21.00** ტვ-შოპი **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** მ. მშვილდაძის შოუ **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**09.00** "ფარული კამერა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "ფანტაზიების კუნძული" **12.00, 21.45** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.05** მხ. ფილმი "ყველაფერი მარტას შესახებ" (გ) (ნ. ჰეკმანი) **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "თოვლის დედოფალი" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ფარული კამერა" **18.50** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** "ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია" **00.00** მხ. ფილმი "ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან" (18)

### იმედი

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 16.50, 17.20, 02.25** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერაილი "უკიდურესი ზღვარი" **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** "მუღამები" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.55** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ფორტი საგანი" **15.15** სერიალი "დანაშაულებათა საიდუმლოებანი" **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.40** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "დანაშაულებათა საიდუმლოებანი" **21.30** საქმე ტ **23.00** მხ. ფილმი "ჯოჯოხეთური საქმეები" (გ) (ე. ლაუ)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** Мультсериал "Кошки-мышки". **11.40** Дисней-клуб: "Утиные истории". **12.10** Александр Филиппенко в фильме **"Я СДЕЛАЛ ВСЕ, ЧТО МОГ" 13.40** Теория невероятности. "Лечение животными". **14.10** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20** Комедийный сериал **"АНГЕЛ НА ДОРОГАХ"**. Закл. серия. **16.30** Большой взрыв. "Детское сердце". **17.00** Док. фильм "Вера Мухина. Испытание". **18.20** Док. детектив. "Поединок прокуроров". Дело 2001 г. **20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00, 23.30** Время. **22.40** "Человек и закон" **23.50** Ударная сила. "Небесный меч". **00.20** "Гении и злодеи". Сальвадор Дали. **00.50** Доу. фильм "Гуру - воин". **01.20** Чак Норрис в приключенческом фильме **"ИДУЩИЕ В ОГНЕ" 03.00 Кубок мира. Хоккей. Сборная России - сборная США**. Прямой эфир из США.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.20** "Преступление в стиле "Модерн". "Петербургская история". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI". 13.35** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА". 14.30** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ". 15.35** Криминальная Россия. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ТАКСИСТ". 18.35** Криминальная Россия. **19.40** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI: МЕРТВЫХ НЕ СПРОСИШЬ". 20.50** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ". 22.00** "Страна и мир" **22.40** "К барьеру!" Ток-шоу **23.55** Кевин Костнер в остросюжетном фильме **"НЕТ ВЫХОДА" 02.40** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ"** .

წინა კროსვორდის პასუხი



## სკანვორდი



# მოგახსენებთ, რომ...

ანა კორძაია-სამადაშვილი

დღეს დიდი ბრიტანეთის წიგნის მაღაზიების დახლებზე კრის ჰისის მიერ დაწერილი რობი ვილიამსის ბიოგრაფია Feel გამოჩნდა. მერე რა, რომ რობი სულ ახალგაზრდა კაცია, 30 წლისა - მას სტრიპტიზის მოცეკვავეებთან და მეძავეებთან სექსის დიდი გამოცდილება ჰქონია, ნარკოტიკების გამო ათასგვარ უბედურებაში იყო გახვეული, მოკლედ, მასალა იმდენი დაუგროვდა, რომ ერთი კი არა, ათი მწერალი შეძლებდა მის შესახებ წიგნის დაწერას.

თუმცა, Feel მაინც სულ სხვა დონეა - ავტორიზირებული ბიოგრაფია ყოფილა, შესაბამისად, მასში მხოლოდ სიმართლე წერია. "ობსერვერმა" წიგნიდან ცალკეული ნაწყვეტები გამოაქვეყნა და ისეთი ამბები გავიგე! გასაოცარი, შოკირებადი, შთამბეჭდავი, მოკლედ, ძალიან მაგარი.

მაგალითად, რობი ჰყვება, როგორ მოიტაცა ელტონ ჯონმა. ამ თავს სწორედ ასეთი სათაური აქვს: "ელტონ ჯონის მიერ მოტაცების ამბავი". თურმე, ერთ დღეს ელტონ ჯონს რობი ვილიამსისთვის სიცოცხლე გადაურჩენია, და იმავე დღეს მისი და ვილიამსის მეგობრობა დასრულებულა. დღეს ვილიამსი ამბობს, რომ "ელტონს სიკეთის გაკეთება უნდოდა, მაგრამ ის, რაც მან გააკეთა, პერვერსია იყო".

რატომ იყო ეს ამბავი პერვერსული, მე ვერაფრით მივხვდი. ალბათ, ასეთი რამის გასაგებად მთელი წიგნის წაკითხვაა საჭირო. მაგრამ იქნებ თქვენ მაინც მიხვდეთ?

ეს მოხდა 1997 წელს. ვილიამსი ჰყვება, რომ ეს მისი ცხოვრების "ყველაზე მძიმედნარკოტიკული ხანა იყო". ჰეროინი, კოკაინი, ექსტაზი - რობი ყველაფერს იღებდა, რაც კი ხელში უვარდებოდა.

ელტონ ჯონმა მას დახმარების ხელი გაუწოდა. "ერთ დილას," - ჰყვება ვილიამსი, "როცა ცუდად ვიყავი, დავუძახე და ვუთხარი, რომ დახმარება მჭირდებოდა". ელტონმა და მისმა მეგობარმა, დევიდ ფარნიშმა, ის თავიანთ სახლში მიიყვანეს.

ელტონმა უთხრა: "თუ ახლავე არ იმკურნალებ, მოკვდები".

რობიმ უპასუხა: "ჯერ ალბომი მაქვს დასამთავრებელი.

მერე ორივეს უტირია.

ხომ ძალიან მაგარი ამბავია?! წარმოგიდგენიათ, კიდევ რა საოცრებებს ეზიარება იმ წიგნის მკითხველი!?



ნიკოლ რიჩი და პერის ჰილტონი



რობი ვილიამსი



ელტონ ჯონი

საერთოდ, ნარკოტიკების მოხმარების ისტორიები ძალიან მაგარი მოსასმენია, სულ ერთია, ქართველი მამაკაცი ჰყვება თითების ჭაჭყვით, როგორ დაბოლდნენ ის, ეკო, მეკო, შაკო და თეკო, თუ პერის ჰილტონის დაქალი, 22 წლის ნიკოლ რიჩი. რიჩი გვიზიარებს თავის დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას: როგორ ლოთობდა, როგორ ეწეოდა და 13 წლისა კოკაინსაც როგორ ეძალებოდა.

ოპრა ვინფრის ტოკ-შოუში, რომელსაც მილიონობით მაყურებელი ჰყავს, ნიკოლ რიჩიმ ცოდვები საჯაროდ მოინანია: "13 წლისა ვიყავი, როცა სმა დავიწყე. იმავე ასაკში ნარკოტიკებსაც ვიღებდი - ჰაშიშს ვეწეოდი და კოკაინიც გავსინჯე. დილის ექვს საათამდე არ შევდიოდი ხოლმე სახლში. ყველაფერს გავუსინჯე გემო".

ლაიონელ რიჩის შვილობილი ჰეროინსაც გასთამაშებია, მაგრამ - ამას განსაკუთრებული არტისტიზმით და შთაგონებით ჰყვებოდა - გული არევია. "გული სულ მერეოდა და მერეოდა!"

ის, რომ ნიკოლი ნარკოტიკულ წუმპეში აღმოჩნდა (ეს სიტყვათშეთანხმება მისეულია), სულ მისი მამობილის, ლაიონელ რიჩის ბრალი ყოფილა. "თავს მიტოვებულად ვგრძნობდი," - დაიჩივლა ნიკოლმა. თავად ლაიონელიც ამბობს, რომ გოგონასთან ურთიერთობას იშვიათად ახერხებდა, მაგრამ როცა საქმე "გადაგდებაზე" მიდგა, გვერდიდან არ მოსცილებია.

ცნობისთვის: ლაიონელს რომ არ ეშვილებინა, წუმპე მაშინ გენახათ! ნიკოლი ლაიონელის ჯგუფის ერთი წევრისა და ვიღაცის უტვინო ასისტენტი გოგოს შვილი იყო. გაჭირვების გამო ის სამი წლის ასაკში რიჩისთან გადასახლდა და ექვსი წლის შემდეგ უკვე ოფიციალურად იყო ლაიონელის მიერ აშვილებული. "და ცოტა ხნის შემდეგ ნარკოტიკების ჯოჯოხეთში აღმოვჩნდი," - ჰყვებოდა ნიკოლი, რომელიც, როგორც ხედავთ, არა მარტო საოცრად ჭკვიანი, არამედ პოეტური ქალიშვილიც ბრძანდება.

სხვათა შორის, დაქალიც ასეთივე ჰყავს - ჭკვიანი და პოეტური. პერის ჰილტონი მეგობრებს გულმოდგინედ ირჩევს ხოლმე, ძირითადად, სწორედ ამ ორი კრიტერიუმით. ასეთია მისი ახალი მეგობარიც, ფოტოგრაფი დევიდ ლაშაპელი, ბოლო დროს მისი განუყრელი თანამგზავრი, რომელთან ერთადაც პერისი ბოლოს MTV-ს ჯილდოების გადაცემის ცერემონიაზე ვიხილეთ. ისინი პაპარაცების გულის გასახარად იქცეოდნენ: ნახევრადშიშველი პერისი დევიდს შეჰხაროდა, შესციცინოდა, მოკლედ, გონს არ იყო.

ერთადერთი უბედურება ისაა, რომ დევიდს, რომელიც ვიტნი ჰიუსტონს, კრისტინა აგილერასა თუ ჰაიდი კლუმსაც იღებდა და საერთოდ, ვარსკვლავია, პერისი მხოლოდ "სოციალური პრინცესას" სტატუსით აინტერესებს. პერისის, ისევე როგორც ნებისმიერი მდედრის ქალური მომხიბვლელობის მიმართ ლაშაპელი აბსოლუტურად გულგრილია - მას სულ სხვა მისწრაფებები აქვს და დასავლეთის ყვითელი პრესა სიხარულით ბეჭდავს სტატიებს ასეთი სათაურებით: "პერის ჰილტონს ახალი დაქალი ჰყავს", "დევიდს გოგონები მხოლოდ ობიექტივით უყვარს"... და სხვა და სხვა.

მოკლედ, პერისს მამაკაცის არჩევანში არ გაუმართლა. სამაგიეროდ, კემერონ დიასი ატანს ცხოვრებას გემოს: ის თავის ჯასტინ ტიმბერლეიკთან ერთად წყნარი ოკეანის სანაპიროზე ისვენებს და, შურიანების და ჭორიკანების გულის გასახეთქად, ძალიან ბედნიერია.

მართალია, კემერონს სერფინგი იტაცებს, ჯასტინს კი - არა. მას საერთოდ არ სიამოვნებს წყალში შესვლა: ზვიგენების ბავშვობიდან ეშინია. მაგრამ კემის ეშხით რას არ იზამს.

აი, ისწავლეთ, მამაკაცებო - ესაა ნამდვილი სიყვარული!




საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.